


Handwritten notes in Georgian script at the top left of the page.

Handwritten initials or a signature at the top right of the page.

# ივერია

1885

№ II, თებერვალი



თბილისი.

ექთიმე სულაძის სტამბა.

1885

## შინაარსი:

I. მთხი ღღე, მოთსრობა გარმინისა თარგმ, ა. ფრონელისაგან . . . . .	5
II. ასული ფარაონისა (ისტორიული რომანი) გეორგ. ებერსისა, ნაწილი პირველი. . . . .	24
III. სახალხო ლექსები . . . . .	92
IV. <u>თბილისის აღება ალა-მაჰმად-ხანისაგან 1795 წ.</u> (მოთსრობა თვალთ მხასველისა) . . . . .	94
V. მართული თეატრი 3—სი. . . . .	107
VI ბუზი (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა . . . . .	123
VII * * (ლექსი) ავ. ცაგარლისა . . . . .	124
VIII შინაური მიმოხილვა. . . . .	128
IX მედიატორეთა განჩინება . . . . .	139
X მანმარტებითი წერილი . . . . .	145
XI მანცხალეზანი	

## რედაქციისაგან.

ამ ნომრისთვის დამზადებული და აწყობილი წერილი  
«პედაგოგიური მოსაზრებანი» კერ დაბეჭდა.

# ივერია

საკოლიტიკო და სალიტერატურო  
ქუჩა

წელიწადი მეცხრე

№ II



თბილისი

ექვთიმე სელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე  
1885

6 054



Дозволено цензурою. Тифлисъ 11 Февраля 1885 г.

## განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — დროების» რედაქციაში; ქუთაისში — მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსკო ნათაძესთან; თელავში — ვანო რუსთომასვილთან; გორში — ალალო თუთაჯეთან.

ფასი გაზეთისა მთელის წლით — 9 მან., 6 თვით 5 მან.

იქვე და იმავე პირობებთან, რომელნიც ზემოთ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ჟურნალს

„ივერიისზედ“

კინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ჟურნალს «ივერიისა», უნდა გამოგზავნოს წლის ხვედრი ფული შეიღო მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) «დროების» რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ въ Редакцію «Дროება» ანუ Въ Редакцію журнала «Иверія».

ვისაც უფრო ემარჯუებოდეს, შეუძლიან «დროება» და «ივერიას» ერთის წერილით დაიბაროს და ამისთვის ხვედრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს «დროებისკუ» ადრესით.

რედაქცია «ივერიისა» ჰსთხოვს მათ, ვისაც წერილების და სტატიების გამო საჭმე უჭმნება რედაქციასთან, მიჰმართონ თვითონ რედაქტორს უაკუფ-დღე დღის რვა საათიდან დღისკუ ათს საათამდე გარდა კვირა დღეებისა და უჭმეებისა — ახალ ბუბუთოკის ქუჩაზედ, სახლარ № 1.

რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

გაიხსნა ხელის-მოწერა 1885 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთის

„მ წ ყ ე მ ს ჯ ე დ“

და «მწუჟმსი»-ს რუსულ თვიურ დაგაბეგაჟი.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატეობინოს სამღვდელთა და საერო წოდებას ეკლესიის განვარდნა და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სასოციალურ მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამტაცება შესაძლო იქნება; 2) განვრცოლოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო ცოდნა; 3) განვრცოლოს საქართველოს სამღვდელთა და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობისათვის კეთილი ზნეობისა და საწმინდოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელთა და საეკლესიო მისამართურ პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცდილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი «მწუჟმსი» გამოვა წინსული წლების მსგავსად, ორ კვირისში ერთხელ, ორ საბუკდავ ქალაქდის ფურცელზე.

რუსული დამატება «მწუჟმსი»-სავე პრეზუმბით და მიმართულებით გამოვა ორ საბუკდავ ქალაქდის ფურცელზე — თვეში თითოჯერ.

«მწუჟმსი»-ს ფასი მთელი წლის გაგზავნით — რუბრი მანათი. ნახევარი წლის — სამი მანათი. «მწუჟმსი»-ს ფასი რუსული თვიური დამატებით ერთი წლისა ექვსი მანათი, ნახევარი წლისა ოთხი მანათი. ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა — სამი მანათი, ნახევარი წლისა ორი მანათი.

წერილები და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა უვირილაში, რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію «МЦКЕМСИ». (უვირილაში, «მწუჟმსი»-ს რედაქციაში.)

## მთხი დღე.

მოთხრობა გარშინისა.

(ვუძღვნი ჩემს მასწავლებელს ს. მგალობლიშვილს.)

მე კარგად მახსოვს, როგორ გავრბოდით ტყეში, რა მწარედ უზუნუნებდენ ტყეები, როგორ ცვიოდენ დაღეწილი ხის ტოტები, როგორ დაკვირვებოდით გარეული ფშატის ძეძვებში. თოფის გრიალი თან-და-თან ხშირი შეიქნა. ტყის პირში რაღამაც წითლის ფრად გაიფლავა. სიღრმეში, პირველი წახმის ახალ-გაზდა სალდათმა (ასიდან მოჭყვა ჩვენ წრეშია? გამოეფლავა მე ფიქრმა), უცბად ჩაიჩოქა და მღუძარებით გადმოხდა თავისი დიდროვანი, შეშინებული თვალებით. სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა პირიდან. დიად, ეს მშვენივრად მახსოვს; მახსოვს აგრეთვე, იქვე ტყის პირში, ხშირ ძეძვებში როგორ დავინახე... ის. ის იყო უშეკლებელი მხარბუჭიანი თათარი, მაგრამ მე მანც პირდაპირ მისკენ გავრბოდი, თუმიც ძალიან სუსტი და გამხდარი ვარ. მე მომეჩვენა, რომ რაღაცას ბერტყა მოხდა, თითქო ჩემ წინ უზარმაზარმა კაცმა გაიზინაო; ყურებმა წივილი დაძიწეს. «ეს უთუოდ მე მესროლას», ვიფიქრე ჩემთვის. ის კი შეშინებული შემაძრწუნებელის ბლავილით უხრგით მიგვრია ფშატის ძეძვს. მას შეეძლო მოჭყვარებოდა ძეძვს, მაგრამ შიშისგან აღარა ეუფრე-

ბოდა-ჩა და პირდაპირ ეკლას ტოტებს ეძებრა. ერთის და-  
კერთ მუ დავაგდებინე თოფი, მეორე მოქნიკასე საცალა  
ჩეერტო ჩემი შუბი: რაღამაც საშინლად დაიბლავლა, დაიკვნესა.  
შემდეგ მე წინ გავიქეცი. ჩვენები გამწარებით აუჩასა ყვირ-  
დენ. ტყაზა-ტყუებით ეცემოდენ ძირს, თოფებს ცლიდენ. მას-  
სოგს, მეც გავისროლე რამდენჯერმე, როცა ტყიდგან გამოკე-  
დით. უცბად გაისმა აუჩასაგრიალი და ჩვენ ხელახლად გავ-  
ქანდით წინ. ესე იგი, ჩვენ კი არა, ჩვენები, რადგან მე უკან  
ჩამოვრჩი. მე ეს ძალისან მეუცხოჯა. უფრო საკვირველი ის  
იყო, რომ უცბად ყველაფერი გაჭქრა, კიყინა და თოფის  
ხათქა-ხუთქი შესწყდა, მე აღარა მესმოდა-ჩა, ვხედავდი მარტო  
მოღუფჯო გამარას; უთუოდ ეს ცა იყო. შემდეგ ესეც გაჭქრა.

ამისთანა საკვირველ მდგომარეობაში აღსაღეს არა  
ყოფილვარ. ვგონებ მუცელზედ ვწევარ და ვხედავ ჩემ წინ  
მხლოდ ვაწაწკინტელა მიწის ნაჭერს. რამდენიმე ბალახი,  
ჭიანჭველა, რომელიც ერთი ბალახიდან ძირს მოღოღამს, რა-  
ღაც ნაკის მსგავსი ბალახ-ბუფახებისგან შემდგარა გროვა—აი  
რასა ვხედავ მე ვარშემო. ამასაც მარტო ცალი თვალთ ვხე-  
დავ, რადგან მეორე თვალი დახუტულია მეძვის ტოტით, რა-  
მელზედაც ჩემი თავია დაბჯენილი. მე საშინლად უხერხულადა  
ვარ, ძალიანაც მინდა განძკვას, მაგრამ, ვერ მივხვედრილვარ,  
რატომ ვერ ვახერხებ გასწორებას. ამ გვარად მიდის დრო.  
მესმის ჭრიჭინას ჭრიჭინი, ფუტყრის ბზუილი. სხვა ამის მე-  
ტი არაფერი. ბოლოს, მოვიკრიფე, რაც ძალი და ღონე მქონ-  
და, გავანთავისუფლე მარჯვენა მკლავი, ტან-ქვეშ დაულოილი,  
დავუბჯინე მიწაზედ ორთავ ხელებით და მოვიწადინე მუხლებზე  
დადგომა.

მწკავებს და მსწრაფლმა ტკივილმა ელვასაებ გაიბინა მთლად ჩემ სხეულში, მუხლებიდან დაწოხილი გულამდინ და თავამდინ, და ხელმეორედ დახუცდი. წინანდელებს სეკდამ და წუგდიადმა მოიცვა ჩემი აჩსება.



გამომეღვიძა. რაღა ვხედავ ვაჩსველაებს, რომელნიც ასე ნათლად კაშკაშობენ ლურჯ-მომავალ ბოლგაჩის ცაზედ? განხ მე ვაჩსავში არა ვარ? რისთვის გამოველ იქიდან? მივინძ-მოვინძერ და საშინელი მტანჯველი ტკივილი ვიგძენ ფეხებში.

ესლას ვა მივხვდი, რომ ბრძოლაში დაეუჭრიავართ. საშინა თუ არა ჩემი ჭრილობა? გაუსინჯე ფეხები: იქ, საცა მტკიოდა. ორთავ ფეხები, მარჯვენაც და მარცხენაც შედეგბუფს სასხლს დაეფარა. რაღა ფეხებს ხელებით შევეხები, ტკივილი ერთ-ორად ძლიერდება. ტკივილი ისეთი მაჭკვს, ცოცხარც კბილის ტკივილი გამოგეცანდნოთ: მუდმივი, სულის დამდაგველი. უფრები გამიბრუნდა, თავი დამიძიძიდა ბუნდად ვიგძინობ, რომ მე ორთავ ფეხებში ვარ დაჭრილი. რას ნიშნავს ესა? რატომ არ მიპატრონეს? ნუ თუ თათრებმა დაგვამარცხეს? ხელ-ნელა ვიგონებ, რაც მე შემემთხვა, ვიჩველად ბუნდად, გაურკვეველად, შემდეგ ცხადად და ბოლოს ის დაკასკენა, რომ ჩვენთვის სრულებითაც არ უფობნიათ. იმისთვის, რომ წავიქეცი (ეს ვი აღარ მახსოვს; მხოლოდ მახსოვს, რომ ვეკლანი წინ გაიქეცენ და მე არ შემემღლა გაქეცვა, თვალთ დამიბნელდა)—ამ პატარა გორაკას ვეღზედ, რომელზედაც მიგვითითა ჩვენმა პატარა რაზმის უფროსმა. აბიჭებო, ჩვენ უნდა იქ ვიუკეთა შემოგვძახსა თვისი უარისაებ წკრიალა სმითა და ჩვენც ერთ წუთში ვავინდით ამ გორაკას

გულზედ; მაშასადამე, ჩვენ დამარცხებულნი არა ვართ.... მაშ რატომ არ მიპატრონეს? ეს მინდობი სომ გაშლილი აღაგია, აქედამ ვეკლავთ სჩანს! უეჭველად, მარტო მე არა ვგდივარ აქ, რადგან თოფის გუგუნის ისე ხშირ-ხშირად ისმის. თავი როგორმე უნდა მოვაბრუნო და მივიხედ-მოვიხედო. ეს ესლადვილი მოსახერხებელია, რადგან წელან, ცოტა რომ გამოვფიქროვდეთ და დაკინახე ბაღასი და ჭიანჭველას თავ-დაღმა მომბობლავი და ვსტდილობდი თქვსე წამოდგომის, გულ-აღმა ვიყავ. უთუოდ ვარსკვლავებსაც იმისთვის ვხედავ, რომ გულ-დაღმა არა ვგდივარ:

მე წამოვიწიე და დაუჯექი. ეს ძნელი მოსახერხებელია, როცა ერთავ თქვები მინიხვრეული გაქვს. რამდენჯერმე სასო-წარკვეთილებაში ჩავარდი; ბოლოს, როგორც იყო, მოვახერხე დაჯდომა, მაგრამ სიმწარისაგან თვალებზედ ცრემლებმა დაზა-ღუბი იწყეს.

მალა, ჩემ-ზემოდ მოჩანს შავი-მოლურჯო ცის ნაგლე-ჯი, რომელზედაც ბღღვრიალებს ერთი უშველებელი დიდი ვარ-სკვლავი და რამოდენიმე პატარა; გარშემო ვი წყვილია. ეს ბეძეობა. ეკლიან ბეძეებში ვგდივარ; ვერ უზოვნივართ!

მე ვგრძნობ, რომ ჭიხორი ღელავს ჩემს თავზედ.

მაგრამ ამ ბეძეებში საიღამ გავჩნდი, როდესაც მალა გულზედ შეუხუნა ტყვიამ გამხინდა. უთუოდ ტკივილმა ისე შემაწუნა, რომ აღარ მახსოვს, ძირს როგორ ჩამოვფოფოვდი. უფრო საკვირველი ის არის, რომ ესლა განბრკვასაც ვერ ვახერხებ, და მაშინ ვი ამ ბეძეებამდინაც მომიღწევა. აღბად, მაშინ ერთი ჭრილობის მეტი არა მჭონდა და მეორე ზეზუნა ტყვიამ აქ მომიღო ბოლო.

მკრთალი ვარდის ფერი წინწკლები მომიფარნენ, გაშეაშა

ვარსკვლავი გაცრიაკდა. წამდენიმე წვრილი ვარსკვლავები სრულიად განჰქრენ. მთვარე მოიპარება—ეს იმის ნიშანია. რა კარგია ესლასახლში უოფნა!...

უცნაური გოდება და კვნესა მესმის... თითქოს ვიღაც მწარედ კვნესოდეს. დიად, ეს ნამდვილად კვნესაა. ჩემსაებ მივიწეებულაი, დამსხვრეულაი თეებეით, მუცელში ჩარჩენილი ტყვიით ხომ არავინა გდია? არა, ეს უთუოდ შეცდომა უნდა იუოს; ჩემ გვერდზედ არავინა გდია და კვნესა კი ასე ახლოდამ მესმის. ღმერთო ჩემო, ეს ხომ თვითონ მე ვარ! წუნარი შესახარადისი კვნესა წვრილით გასმის ჭარში; ნუ თუ მართლა ასე საშინლად მაწეებს ჭრილობა? უთუოდ აგრე უნდა იუოს, მაგრამ მე კი ვერა ვგრძნობ ამ ტვივილს, რადგან თავი ტყვიასაებ დამძიმებულაი და გაბრეებულაი მაჭკს. სჯობს კი ისეკ დავიძინო, ვიძინო, ვიძინო სამუდამოდ... მაგრამ განა ოდესმე გაკვივებ? ეს სულ ერთია.

იმი წუთში, როდესაც მე ვევირები დაწოლას, მერთალმა ნათელმა სავსე მთვარისამ გააშუქა ის ადგილი, სადაც ვწევარ; ცხადად დავინახე რაღაც უშეკლებული, გაშაკებული, რომელიც ხუთ ნაბიჯზედ ეგდო ჩემს მოშორებით. ალაგ-ალაგ მთვარის ნათლისგან ბწწინავს. ეს ან ღილეები უნდა იუოს, ან იარადი. უთუოდ ან იძოვრია, ან დაჭრილი ვატი.

სულ ერთია, მე მანც დავწეები...

მაგრამ არა, არ შეიძლება, რომ ჩვენები წასულიყვნენ. ისინი აქ არიან, გარეკეს თათრები და დარჩენ ამ პოლიციასზედ. მაშ რატომ არ ისმის ან ხმაურობა, ან ჭკაბების რახარეხი? მაგრამ რას გავიგებ, როდესაც მე სისუსტისგან არა მესმის-რა. ისინი უთუოდ აქ არიან.

მეიშეკლეთ!... მეიშეკლეთ!...

ხრინწიანი, სეკდინი კენესა ამოსკდა ჩემის გულიდგან, მაგრამ ხმა, ხმა შებრალებისა არსით მომესმა. ბზრალით გა-  
ვრცელდა ჩემი ამოკენესა ღამის ჭაერში უნუგეშოდ, უზასუნოდ.  
მთელი ქვეყანა მღუმა რება. მარტო ჭრიჭინები ჭრიჭინებდენ  
მოუღაღავად. მხოლოდ მთოვარე დამტკეროდა სიბრაღეულით  
თავის ბადრის სახით.

ჩემი მეზობელი რომ მარტო დაჭრილი ყოფილიყო,  
უთუოდ თვალს ახსელდა საზარელის ძახილის შემდეგ. ეს  
მძოვრია. ჩვენია, თუ თათარი? რა, ღმერთო ჩემო, განა სულ  
ერთი არ არის! და მიბინარდენ ძილ-მოკრეული ჩემი დაჭინტული  
თვალები.

თვალბ-დახუჭული ვწევარ, თუმცა ვაი ხანია რაც გამო-  
შეღვიძა. თვალის გახელა არ მინდა, რადგან ქუთუთოებსედ  
გგრძნობ მზის მწკაკე სხივებს; რომ გავასილო, შეკუდივით  
დაშეკბული ნათელი თვალს მომჭრის. გუშინ, (მოგონი, ეს გუ-  
შინ იყო?) მე დამჭრეს; ერთმა დღე და ღამემ გაიარა, გაიკ-  
ლის მეორე, მეორე მოკვდები. სულ ერთია. სჯობიან ვი რომ  
არ ვირხეოდე; სჯობს, რომ სხეული უძრავად ეგდოს. რა  
კარგი იქნებოდა, რომ შეიძლებოდაც ტვინის მოქმედების შე-  
ჩერებაც, მაგრამ კერაფრით გაასერებ. ფიქრები, მოგონებანი  
ფუსფუსით ირგვიან თავში. მაგრამ დიდ ხანს არც ეს გა-  
გრძელდება, მალე ყველაფერს ბოლო მოელება. მარტო გა-  
ზეთში დარჩება რამდენიმე სტრიქონი, რომ ჩვენი ზარალი  
ძალიან მცირედია; დაჭრილია ამდენ-ამდენიო; მოკლეულია  
ჯარის-კაცი ივანოვი, ნება-ყოფლობით წასული ღაშქარშიო.  
მაგრამ არა, გვარსაც არ დასწერენ; მოკლედ იტყვიან: ერთი  
მოკლეული, ერთი ჯარის-კაცი!...

ცეცხლის ალივით იფეთქა ჩემს წარმოდგენაში. მთელმა სურათმა. ვაი ხანია მას აქეთ, რაც ეს შემთხვევა მოხდა. მაგრამ სუფუქლათური, მთელი ჩემი სიცოცხლე, ის სიცოცხლე, როდესაც მე აქ არ ვეგდე დამსხვრეული ფეხებით, დიდი ხანია, რაც იყო... ქუჩაში მივდიოდი; ხალხის გროვამ შემახერა. ხალხი იდგა გაჭკვებულად და მღრმარებით ჩასჩერებოდა ერთ ალაგას, სადაც რაღაცა თეთრის მსგავსი, სისხლში მოთუთხნული, საცოდავად წმებულებდა. ეს იყო პატარა ღამის ფინია; ცხენის რინის გზის ვაგონმა გასრისა საწყალი. ერთმა შეკარემ გააზო-ხალხის გროვა, წავლო ხელი ფინიას კეფაში და წაიღო. ხალხი დაიშალა.

ნეტა მეც წამიღებს ვინმე? ანა, უნდა ვეგდო აქ და უდროვოდ გამოკუთხოვო წუთი-სოფელს. სიცოცხლე ვა ტკიბილია... იმ დღეს (როცა ფინიას უბედურება შემთხვა) მე ბედნიერი ვიყავი. იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ მთვრალს ვგავდი ქუჩაში ხეტიალის დროს. მოგონებანო, ნუ მტანჯავთ! დამანებეთ თავი! წარსული ბედნიერება, აწინდელი ტანჯვანი... ნეტავი მარტო ტანჯვანი დამჩენოდა! ნუ შთაუთქამთ, მოგონებანო, გულს იმით, რომ მანარებინებთ წარსულს აწმეოსთან. ოხ, სეკდავ, სეკდავ! იარაზე მწარე ხარ!

სიცხე თან და თან მატულობს, მიზე იკბინება. თავლები გავაჭედიტე, დავინახე ისევე ის ძეძვები, ისევე ის რა იმ განსხვავებით, რომ ესლა მზისგან იყვნენ განათებულნი. აგერ ჩემი მეზობელიც. დიად, ეს თათარია, მძოვრია. რა უზარ-მზარია! მე ვცნობ. ეს ის არის, რომელიც....

ჩემგან მოკლეული კაცი წინ მბდევს. რისთვის მოკვალა? გასისხლიანებული მოკლეული საცოდავად გღია ჩემ გვერდზედ. ბედმა რისთვის მოაწყვიტა აქა? ვინ არის? ეგება ჩემსავით ამა-

საჯ ჭეკავს ბებერი დედა? ამისი დედა, ვინ იცის, რომდენჯერ  
სალამ-სალამოთი დაჯდება თავის ქონის დირეზედ და მწუნარე,  
ცრემლიანი თვალებით გახედავს შორეულ ჩრდილოეთს: ხომ  
არ მოდის ჩემი თვალის ჩინი, ჩემი დამტირებელი და მარჩე-  
ნალია.

მე?... მეც აგრე ვარ... კიდევაც გაუცვლელი მას ჩემს  
ბედს. რა ბედნიერია! არაფერი არ ესმის, არა გრძნობს  
არც მომაკვდინებელ სევდას, არც ტვივილს იარებისაგან და არც  
წყურვილს. შუბმა გაუგვირავს გული... მის მუნდირზედ საშინე-  
ლი დიდი გაშაკებული ჭრილობა მოჩანს; მის გარშემო სის-  
ხლია. ეს—მე ჩავიღინე.

მე სრულებითაც არ მინდოდა ჩამედინა ეს საჭმე. ლაშქარ-  
ში რომ მოკვდიოდა, არავისთვის ბოროტი არა მდომებია. ის  
აწრი, რომ მეც მომიხდებოდა ხალხის ყლეტა, როგორღაც  
არ მომდიოდა თავში. მარტო ის მქონდა წარმოდგენილი,  
როგორ მივუშვირდი მტრის ტყვიას ჩემ გულს. აგრეც მო-  
ვიქეცი. წავედი და მივუშვირე გული.

მერე რა გამოვიდა? უგუნურო! უგუნურო! ეს უბედური  
ფელლასი (მას ეკვიბტელის მუნდირი აცვია) ხომ უფ-  
რო ნაკლებ არის დამნაშავე. კიდრე სტამბოლში არ მო-  
იკვანეს გემით, გაგრილი არც ვი ქქონდა არც რუსე-  
თის, არც ბოლგარიის სახელი. უბრძანეს წადიო და ისიც  
წამოვიდა. თუ უარს იტყოდა, კარგად გაჯოხამდენ; ან შეიძ-  
ლება რომელსამე ფაშას დამნაშაით ტვინი გაეხეროტა მისთვის.  
რამდენი მწუნარება ნახა, კიდრე სტამბოლიდან რუმისუგამდის  
მოაღწევდა! ჩვენ თავს დაკვით, ის გვიგერებდა. როცა რომ

დაინახა, რომ ჩვენ საშინელი ხალხი ვართ, რომ არ გვეშინიან მისი ნაჭიკაკები ინგლისური შიშისა და მარტინის მაყაროსი, რომ სულ წინ ვიწვევთ, შიშით გულს გაუსვდა. გაქცევა რომ დააპირა, ვიღაც პატარა კაცი, რომელსაც ერთის თავის შავი მუშტის შეშოკებით სულს გაუფთხოვდა, წამოეწია და შიგ გულში დაასო შუბი.

განა დამნაშავე?

მე რომელი ვარ დამნაშავე, თუმცა კი კაცი მოკვალა? რაში ვარ მტყუანი? რისთვის მტანჯავს წყურვილი? წყურვილი!.. ვინ იცის რას ნიშნავს ეს მტრული სიტუა! მაშინაც კი, როცა ორმოც გრადუსიანი სიცხეში რუმიანიში დღეში ორმოც-დათო კერსს გაკვივლიდით ხალხი, არ მიგრძენია ის, რასაც ეხლა ვგრძნობთ. ახ, ეხლა რომ მოვიდოდეს ვინმე!

დემეტო ჩემო! უთუოდ იმას ამ ვეებერთელა ხელადაში წყალი ექნება. მაგრამ იჭამდის მიღწევა უნდა. ძვირად კი დამიჯდება. სულ ერთია, როგორც იქნება მივაღწევ.

მე მივუფრთხილ. თუკნებს მივათრევ, დასუსტებული ძვლები ვაბ-ვაგლანით აბრუნებენ უმრავ სხეულს. მძივრამდის სულ ორი საყენია, მაგრამ ჩემთვის ათი კერსის გავლანსედ უფრო ძნელია. რაც უნდა იყოს, მაინც უნდა მივუფრთხიდე. ხახა გამიშრა, მეწვის, თითქოს გენია ანთიაო, უწყლად. უჭკველია, მალე მოკვდება. წყალი რომ მიქონდეს, ეგებ...

და მეც მივუფრთხილ. თუკნებს დედა-მიწას ებღოჭილება და უკველი შენძრევა სხეულისა აუტანელ ტვიკვილებს მაგრძნობინებს. ტვიკვილით გამწარებული გბლავი, გბლავი უნუგემოდ, შემაძრწუნებელის ხმით, მაგრამ მაინც მივუფრთხილ. ძლივს, აგერ ისიც. აგერ ხელადაც... დემეტო, რა ბევრი წყალია შიგ!

მგონი ნახეარსედ მეტია. ოო! წყალი დიდ ხანს მუეოფა...  
სიკკდილამდის!...

შენ, ჩემო მსხვერპლო, შენ მისხნი სიკკდილისაგან. ერთ-  
ნიდაეზედ დაკეუდე და ისე ვიწუე ხელადის ჩამოხსნა; უცბად  
დამძლია თავი და ჩემი მსხნელის გულზედ დაკეცი. მას უკვე  
მძოკრის სუნი ასდიოდა.

წუურვილი მოვიკალი. წყალი თუძცა თბილი იყო, მაგ-  
რამ გათუჭება არ ეტუობოდა; ამას გარდა ბლოძადაც იყო.  
ვიდეკ ვიცოცხლებ რამდენსამე დღეს. მასსოკს, თეზიოლოგია-  
ში სწეკრია, რომ კაცს უსაჭმლოდ შეუძლიან ერთ კვირზე მე-  
ტი იცოცხლოს, თუ კი წყალი აჭესო. იჭვე მოთხრობილია ერ-  
თი თავის მკვლელის ისტორია, რომელმაც მოიკლა თავი. ში მ  
შილით. იმან დიდ ხანს იცოცხლა, რადგან წყალი ჭჭონდა.

მაგრამ რა? თუნდაც რომ ვიცოცხლო ვიდეკ ხუთი,  
ექვსი დღე, რა გამოვა? ჩვენები წავიდნენ, ბოლგარები გაიფან-  
ტნენ; გზა ახლო არსად არ არის. სულ ერთია—ხომ სიკკდილს  
ვერ ავსცდები. განსხვავება ის იქნება, რომ სამი დღის ტან-  
ჯვის მაგივრად, მთელი კვირა ვიტანჯები. არა სჯობს, რომ  
ერთბაშად მოვისპო სიცოცხლე? ჩემი მეზობლის გვერდზედ  
გღია მშვენიერი ანგლისური თოფი. ხელის გაწკდნის მეტი  
არა უნდა-რა; მეჩემე—ერთი წამი და გათავდება უკვლაფერი.  
ტყუია-წამალიც იჭვე გვერდზედ ჭეკია; დახარჯვა ვერ მოუ-  
სწვრია.

მაშ მოვისპო სიცოცხლე, თუ ვუცადო? მაგრამ რასა?  
ხსნას? სიკკდილს? უცადო, როდის მოკვლენ თათრები და გა-  
დაძრობენ ტყუას ჩემ დაჩენილ ფეხებს? სჯობს ისეკ თითონ  
მე....

მაგრამ არა, სულათ დაცემა არ უნდა; კიბრძოლები ბოლომდის, სანამ უგანასკნელი ძალა არ მიღალატებს. რომ მიზოკონ, სომ გადაჩენილი ვიჭნები მაშინ? ეგები ძველები ხელ უხლებულნი არიან; მაშინ აღვივად მომარჩენენ. მერმე... ვნასავ სამშობლას, დედას, მაშვიკოს...:

შემოქმედო! ნუ გააგებინებ იმით ნამდვილ აშბავს! სჯობს იფიქრონ, ვითომც მე ერთ წუთში გამომსალმა ქვეყნიერებას მტრის ბასრმა მახვილმა. ვინ იცის, რა დაემართებათ, როცა შეიტყობენ, რომ ჯოჯოხეთის ტანჯვით ვიტანჯე ორი, სამი, ოთხი დღე!

თავ-ბრე მესვეკვა; მუზობელთან მგზავრობამ სრულად დამტანჯა. ამასთანავე ეს საშინელი სუნი! რა ნაირად გამაგდა მძოკრე!... ხვალ და ზეგ რაღა უნდა იყოს? მე კი გვერდზედ მივხუტებოვარ, რადგან ძალა არა მაქვს, რომ მოვმოკდე ცოტათიც არის. დავისკვნებ და ეგები ისევე ძველ ალბას ავლადდე; ქარი ბარელამაც იქილამ მთქქრის და სიმუკალეს მომაცოლებს.

ვწევარ და საშინელ უძლეულებას ვგრძნობ. სახეს და ხელებს უწვალად სწვამს მზე. არა მახადია-რა, რომ დავიფარო. ღამე მაინც ძალე დადგეს; ვგონებ, ვს მეორე უნდა იყოს. იფიქრები აირ-დაირიგუნ და დავიწყებაში ჩავარდი.

მე კარგა ბლომად მეძინა, რადგან, როცა გამომეღვიძა, უკვე ღამე დამდგარყო. უკვლავი ისევე ძველებურად იყო: იარები მტკიოდა, უშველებული მუზობელი ისევე ასე უძრავად ეგდო.

ვცდილობ, რომ არ ვიფიქრო ამხედ, მაგრამ ვერ ვახერხებ. ნუ თუ იმისთვის განემოკრდი უკვლავი, რაც კი ძვირფასი და სანუგავი იყო ჩემთვის, ათასი კერსი ღამე მძოკრე.

ბაში გაიარე, დაიდაგე შიმშილისგან, სიცივისგან, სიცხისგან, წყურვილისგან; ნუ თუ ეხლაჯე ვიტანჯვი მარტო იმისთვის, რომ ჩემის მიხედვით ეს უბედური გამოსთხოვებოდა თავის წუთი-სოფელს? სამსედრო საქმისათვის ხომ ამ ერთი მკვლელობის მეტი არა გამოითვლება-რა?

მკვლელობა, კაცის მკვლელობა... ისიც კინ?... მე!

რომში წასულა რომ ავიხარე, დედამ და მამიკომ არ დამიშალეს; თუმცა კი ბევრი იტირეს. გატაცებული საგნით, დახრმაკებული იდეით, ვერ ვხედავდი მათ ცრემლებს. მე მაშინ არ მეუერებოდა (ეხლა კი მივხვდი), რა ტანჯვა მივაყენე ჩემთვის შეიროფას ქმნილებათა.

ღირს კი მოგონებად? წარსულს ხომ ვერ დავაბრუნებ.

ბევრმა ნაცნობებმა უცნაურის თვალთ კი შემოხედეს ჩემს საქციელს. «უ საცოდავი რაღას გჩინებს აქ, საცა არა გაეგება-რა!» რა ნება ქვინდათ ამის თქმისა? მათი წარმოდგენა ვაყ-ვაცობაზე, სამშობლოს სიყვარულზე და სხვა ათას ამ გვარ საგნებზე, როგორ ეთანხმება ამ სიტუაციას? მე ხომ წარმოდგენდი უკვლას ამ ღირსებას იმათ თვალში? მაინც და მაინც, მე—საცოდავი ვარ.»

აი, გავწიე ვიშინიოვისკენ, აქ ამვიდეს გუდა-ნახადა და სხვა სამსედრო სამკაულნი. ჩემთან რამდენიმე ათასი კაცა მოდის; იმათში ხუთიოდე კაცი თუ მოიძებნება, რომელნიც ჩემსაზე თავის ნებით მოდიოდნენ. დანარჩენები დიდის სიამოვნებით დარჩებოდნენ სახლში, თუ კი ნებას დართავდნენ. მაინც მოდიან, როგორც ჩვენ, «შეგნებულები», და იბრძვიან თუ უკეთესად არა, ნაკლებ ხომ არა და არა. ისინი ასრულებენ თავიანთ მოვალეობას რიგიანად, თუმცა კი ეხლავე მოგურცხლამდენ შინისკენ; თუ კი ნებას მისცემდნენ.

დილის ნიაკმა დაჭბურა. ბებებო შეინძრენ, ფრთები შე-  
 მოჭკრა საამურად ნამძინარეკმა ჩიტმა. ვარსკლავები მიბინარდენ,  
 მუქი, ლურჯის ფერი ცა გაცრიაკდა, ჰატარ-ჰატარა მტრედის-  
 ფერმა ღრუბლებმა დაჭფარეს ცის კამარა, დედა-მიწას ღამის  
 სიბნელე ხელ-ხელა შორდებოდა. დაიწყო მესამე დღე... რა  
 გუწოდო მას? სიცოცხლე? უგანასკნელი სულის კვეთება?

მესამე დღე... განა რამდენი დარჩა? მანც, რაც უნდა  
 იყო, ცოტა. ძალიან დავსუსტდი, და, როგორც ვატყობ, მძოვრ-  
 საც კერ მოკშორდები. მალე მეც მაგისტანა შევიქნები და აღარ  
 შეგეზინდებით ერთიერთმანეთს.

საჭირთა წყლის დალევა. დღეში სამჯერ დაულევა: დილით,  
 შუადღისას და საღამოთი.

მზე აღმობრწყინდა. მისი დილის მოკამკამე სხივები გაი-  
 ფანტენ ბებების ტოტებში და სისხლივით წითლად მოჩან-  
 დნენ. დღეს უთუოდ ეცხელება. რა გახდება დღეს ჩემი მე-  
 ზობელი!... შენ ესლაც საზარელი ხარ.

დაად, იგი შესაზარი იყო. თმა გასცვიინდა. მისი ბუნებით  
 შავი კანი გაფითრდა, გაუვითლდა, გასიკუბული ზირის-სახე იმ-  
 დენად დაიჭიმა, რომ ყურს უკან გასკდა; იქ მატლებმა დაიწ-  
 უეს ფუსფუსი. ფეხები გაუსივდა და სარკეთილიდგან ამხეთქა  
 ჩიჩქმა და ბყელმა. თითონაც ტიკავით გაიბურა, რას უზამს  
 დღეს ამას მზე?

ასე ახლო მასთან წოლის ატანა შეუძლებელია. რაც უნ-  
 და მომივიდეს, უნდა გადავფოფებდე. მაგრამ შევიძლებ? ხელის  
 აღებას ვახერხებ, ხელადის ზირის მოხსნასაც, წყლის დალევა-  
 საც, მაგრამ უძრავი, ტუკასახე მძიმე სხეულის გათრეკას ვი-

ვერ... მანც რაც უნდა იყო, ვითრითსებ ცოტათიც არის, თუნდ ნახევარ ნახევარ ნაბიჯს მანც გავივლი საათში.

მთელი დღია ამ ხოხვაში გავატარე. თუმიცა ტკივილი ძლიერია, მაგრამ რა? მე აღარა მესმის-რა, მე გიდეკაც შევეჩვიე ტკივილებს. მანც ამ დღისადე იმდენი ვისხე, რომ გავხეხდი რა საყენსად და წინანდელ აღავს მივაღწიე. წმინდა ჭაერთ მანც დიდ ხანს არ მისარგებლია, თუ გი შეიძლება იყოს წმინდა ჭაერი ექვს ნაბიჯად ზურღლებული ლეშისაგან. ჭარი მობრუნდა და ხელმეორედ იმისთანა სიმურალე მომივიდა, რომ გულ-მუცელი ამერია. ცარიელი მუცელი დაიგრუნხს და დაიკლავს; შიგნეულობა ამიქოთდა. ამურალეული და დაშხამული ჭაერი გი შიგ ცხვირ-პირში მომდიოდა.

სასაწარკვეთილება მომეკვეთა და ვიწუე მწარედ ტირილი...

გონება ამერია, მიზნულია, ცნობა-მისდილი ვედეურებად... დაქსაქსული წარმოდგენა ხომ არ მატუეებს? მეგონა, რომ არა. დიად, ეს ხმაურობაა. ცხენების თქრიალი, ხალხის ძხილი. მე ვინაღამ არ დავიღრიალე, მაგრამ შეეჩვიე. თათრები რომ იყვნენ? რა შიმივა მისინ? აწინდელ მწუნხარებს მიემატება უარესი, უფრო საზარელი, იმისთანა რომ ქარხანი უაღუხედ დადგება, მარტო გახეთქილ რომ წაიკითხონ: კანს გადაგაძრობენ და დამსხვრეულ ფეხებს მიწადივით შესწვენ... ვიდევ ვარვი, თუ ეს გაკმარეს, მაგრამ კაცის ტანჯვაში ისინი მოხერხებულები არიან. ნუ თუ უკეთესი იქნება იმათ ხელში სიკვდილი, სანამ აქ დაღუბობა? მეკე ჩვენები რომ ივენენ? რა! წუეულო მეძებო! სქელს ღობესავით შემომტყმისხართ გარს!.. მაგათ იქით ვერაფერს ვერ ვხედავ; მხოლოდ ერთ აღავს ტრტეში სანთურავით ღია სარკმელი დაჩენილა და იქიდან

გხედავ შორს პატარა ღელეს. მგონი იქ ნაკადულის, საიდანაც ომის წინად წყალსა ვსვამდით. დიად, აგერ უშველებელი ფილანტი მოჩანს, ხიდივით გადებული ნაკადულზედ. ისინი უთუოდ ამ ხიდზედ გაივლიან. ღრანცელი შესწყდა. ვერ გავიგე, რა ენაზედ ლაპარაკობდენ, სმენაც დამისუსტდა. ღმერთო! ჩვენები რომ იყვნენ... ბე დაკუყვირებ, უთუოდ გაიგონებენ ნაკადულიდანაც. ბაშბუზუყების ხელში ჩავარდნას, ეს უკეთესი იქნება. რაღას იგვიანებენ, რატომ არ მოდიან? მოუთმენულობა სულს მიხუთავს; ლეშის სუნს ვერც კი ვგრძნობ, თუძცა სიმურალე სრულებითაც არ შეძვირებულა.

ნაკადულის გადასაკლელთან უცხად გამოჩნდნენ ყაზახები! ლურჯი მუნღირები, შუბები, წითელი ზოლები! ორმოც-დასათ კაცადის იქნებოდა. წინ მიუძღოდა კოხტა ცხენზედ შავ-წვერ-უღვამა აფიცერი. გავიდენ თუ არა წყალს, აფიცერი მარჯვდ მორტრიალდა უნაგირზედ და უბრძანა აეჩქარებინათ ცხენები.

— შეჩერდით, შეჩერდით, ღვთის გულისათვის! მიშველეთ, მიშველეთ, ძმანო! კვირადი გაშმაგებული, მაგრამ გააფთრებული ცხენთა თქრიალმა, ხმალთა წკრიალმა და ყაზახების ხმაურობამ დაჭყარა ჩემი ხრინწიანი კენესა. ვერ გაიგონეს ჩემი ხმა!...

აო, წყუგლო ჩემო ბედი! შეჩვენებულად ყოფილხარ! მიბნედილი, ძალა-მიხდილი დაკუნი პირქვე და დაიწყო ქვითინი. წაქცეული ხელადიდამ იღვრება წყალი, ჩემი სიცოცხლე, ჩემი ხსნა, ჩემი სიკვდილის დამგვიანებელი. მაშინ შევნიშნე ესა, როცა ხელადაში ნახეკარ სტაქანზე მეტო წყალი აღარ დარჩა, დანარჩენი გასურებულმა, ხარბმა დელა-მიწამ ჩანთჭა.

განა შევიძლებ მოვიგონო ის გაშეშება და გაფიხსება,

რომელიც მე დამეძარტა ამ საშინელის შემთხვევის შემდეგ? კუნძივით ვგებო დაბლუტილი თვალებით; ქარი სშირად იცვლუ-ბოდა, ხან სისინით დამქროდა და მოჭქონდა წმინდა გრი-ლი ჭკერი, და ხან გამზნუდადა ხოლმე სიმურალოთ. ჩემმა მე-ზობელმა ამ დღეს ისეთი საშინელი სახე მიიღო, რომ აღწე-რაც ვი ძნელია. ერთხელ ავასილე თვალი, რომ შემესედა და შეეძრწუნდი. შირის-სახე აღარ ჭქონდა. ცარიელი ძვლები-და იყო. საშინელი ცივი ღიმილი, მუდმივი ღიმილი ისეთი სა-ზიზღარი და შესაზარი მეჩვენა, როგორც არადეს, თუძცა არა ერთხელ მჭერია ხელში თავის სარქველი და მიჯიჯგინა კლინიკაში. ამ ჩონჩხმა, მუნდირში გახვეულმა, ბჭყვრიალა ღი-ლებით განკალი დამაწყებინა. «ეს—ამია, ვიფიქრე მე.—ამ მისი ხატება.»

მზე ვი წინანდებუარად იგბინება. შირის-სახე და ხელები, დიდი ხანია, რაც სრულებით დამეხრუგა. წყალი სუფ დაკლიე-თუძცა დავაპირე ერთი ყლაპის დალევა, მაგრამ წყურვილმან ისე შემაწუნა, რომ ერთბაშად შეესვი. ახ! რატომ ძალიან ხმა-ძაღლა არ დაუყვირე ვაზასებს, როცა ისინი ისე ახლო იყვნენ ჩემსედ! თათრებიც რომ უოფილიყვნენ, მანც უკეთესი იქნე-ბოდა. ბეკრი-ბეკრი გეტანჯეთ საათი ან ორი, თორემ აქ არ ვიცი, რამდენ ხანს უნდა ვგებო და ვიტანჯო. დედა-ჩემო, ძვირფასო ჩემო დედა! თუთრ ნაწინაგებს გაბდღვნი, კედელს თავს ახლი, დასწეველი იმ წუთს, საათს, როცა მე დამბადე, დასწეველი მთელ კაცობრიობას, ჭკუყანას...

მაგრამ შენ და მამიკო, მგონი, ვერც ვი შეიტყობთ ჩემ ტანჯვას. მშვიდობით დედილო, მშვიდობით, ჩემო საცოლო, ჩემო პიტკელო სიყვარულო ოხ, რა სამწუხაროა და უნუგემო ჩემი ბედი! გუფზედ რაღაც მომაწვა და მღრღნის შეუბრალებლად.

ისევე ის თეთრი ფინია მელანდება! მეგარეს ის არ შეს-  
ცნადებია, უხეთქა თავი კედელზედ და გადაადგო ორმოში, სა-  
ცა ნაგასა ჭერთან და ნარეცხს წყალს ასხამენ. ჯერ კიდევ ცო-  
ცნალი იყო და იტანჯა მთელი დღე. მე იმაზედ უბედური ვარ,  
რადგან ვიტანჯვი მთელი სამი დღე. ხვალ—მეოთხე იქნება,  
მერმე მესუთე, მეექვსე... უღმობელო სიკვდილო, სადა ხარ?  
მოდო, მოდო, გვედრები, და მომისპე მწარე სიცოცხლე!

მაგრამ სიკვდილი არ მოდის და არ მიუვუვარ. კვდივარ  
საშინელ სიცხეში და არა მარტო ერთი წვეთი წყალი, რომ გა-  
ვიგრძელო აღგზნებული ხახა; თან ლეშიც მშხამავს. იგი მთლად  
დაიშალა. მიჯიონზედ მეტი მატლები ცვივიან მისგან. ოო,  
რას ნაირ ფუსფუსებენ! როცა იმას შეჭამენ და მუნდირისა და  
ძვლების მეტი არა დარჩება-რა, მერე—ჩემი რიგი მოვა. მეც  
აგრე დამხრამენ.

გაიარა დღემ, გაიარა ღამემ. ისევე ისეა, როგორც წინად  
იყო. დადგა დილა. ისევე ისეა, როგორც იყო. მიდის კიდევ  
დღე...

ძებვები შეინძრენ და შრიალებენ, თითქოს ერთიერთმ-  
ნეთს ემუსაიფებანო. ააი, მოკვდები. მოკვდები, მოკვდები».   
ღუღუნებენ ისინი. ავერა ნახამ, ვერა ნახამ! უზასუხებენ ძებ-  
ვები მეორე მხრიდან.

— აჰ იმათ რას დაინახამ! წგრალით გაისმა კაცის ხმა ჩემს  
გვერდზედ.

მე შევეჭრთი და უცბად გონს მოკვდი. ძებვებიდგან ჩაჩე-  
რებით მიცქეროდენ ჩვენი ეფრეიტორის, იაკოვლევის, კეთილი  
თვალები.

— ნიჩბები! ჭევირის იგი, — აჰ კიდევ ორია. ჩვენი და იმა-  
თი!

— საჭირო არ არის ნიშნები, ნუ დამძარსამთ. ცოცხალი ვარ! მინდა დაგიუვირო, მაგრამ მხოლოდ სუსტი კენესა-და ისმის მიმხმარე ტუჩებიდან.

— დემეტო ჩემო! ცოცხალსა ჭტავს! ბატონი ივანოვი! ხალხო, მომხმარეთ, ჩვენი ბატონი ცოცხალი უოფილას! არიქათ, ჩქარა ექიმში!

ნახევარ წუთის შემდეგ პირში ჩამიშუეს წყალი, არაუი და სხვა სასმელები. მერმე უველაფერი გაჭჭრა.

მშვიდად, დინჯად ინძრევა ტახტრეკანი. ამ გვარი მშვიდო ნძრევა ნანინასავით მამშვიდებს. მუ ხან ჩამეძინება, ხან გამომეღვიძება. შესვეული ჭრილობანი აღარა მტკიავს; რაღაც ტვბილმა, გამოუთქმელმა გრძნობამ დაურბინა ჩემ სხეულს...

პეტრე ივანეს მუ, ჩვენი ღაზარეთის აფიცერი, კაცი მაღალი, გამხმარი და ძალიან კეთილი ერთგულად აძლევს ბრძანებას, თუ როდის დაუშვან ტახტრეკანი, როდის ასწიონ, რომელი რაზმის სანიტარებმა იმოქმედონ და სხვ., საზოგადოდ ხერხიანად თადარიგებობს. იგი ისე მაღალია, რომ მოვიხედამ თუ არა გვერდზედ, უოველთვის ვხედავ მის მხრებს, თავს და თხელ გრძელ წვერებს, თუმცა ტახტრეკანი მიაქვთ ერთხ ზობა საღდათს.

— პეტრე ივანიჩ! წავსხურჩულე მუ.

— რა იყო, ჩემო თვალის სინათლე?

პეტრე ივანიჩმა ჩემსკენ დაიხარა თავი.

— პეტრე ივანიჩ, რა გითხრათ დოქტორმა? ჩქარა მოვკვდები?

— რას ხუმრობ, ივანოვი! რა მოგვლამთ, რომ არც ერთი ძვალი არ გაქვთ გატყხილი. აი ბედნიერი კაცი! არც ძვლები,

არც არტერიები არა აქვს დაშავებული. ეს სამ-დღე-ნახევარი  
როგორ გაძლეოთ? რას სჭამდით?

— არაფერს.

— სასძელი?

— თათარს ავსუნნი ხელადა. პეტრე ივანოვი, ესლას არ შე-  
მიძლიან ლაპარაკი. მერმე.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, დაიძინე ჩემო კარგო.  
ხელმეორედ ძილი, მივიწყება...

დივიზიის ლაზარეთში გონებაზედ მოკვდი, თავს მადგა-  
ნან ექიმები, დანი მოწყალეებისა, ვხედავ აგრეთვე ნაცნობ გამო-  
ჩენილს პეტრე-ბურკის პროფესორს, რომელიც, წელში დას-  
რილი, ჩემს ფეხებს დასცქერის. მისი ხელები სისხლშია მო-  
თუთხნული. დიდ ხანს არ უპროწიალია ჩემს ფეხებთან, შემ-  
დეგ მომიბრუნდა და მითხრა:

— ბედნიერ კარსკვლავზედ ყოფილხარ დაბადებული, უმაწო-  
ლო? სიკვდილს გადაჩიოთ. ერთი ფეხი თუმიტა ჩვენ დავიტო-  
ვეთ, მაგრამ რა გუერთ, ეს არაფერია. შეგიძლიანთ ლაპარაკი?  
ლაპარაკი შეკვლ და გუამბე უკვლავი, რაც აქ არის  
დაწერილი.

ა. შრონელი.

ქ. ხარკოვი.

10 იანვარი, 1885 წ.

# ასული შარაონისა

ისტორიული რომანი

(გაგრძელება \*)

## III

სტუმრები წავიდ-წამოვიდენ.

აუკავებულ მდგომარეობაში მოსულს სეტყვასავით მოხვდა სიბნელის სიტყვები სტუმრების გამხიარულებულს გულს; თვით როდოპისი გაფითრებული იდგა და თრთოდა დაცარიელებულს მოთუფს ოთახში. გაკაშკაშებულის სინათლის მაგივრად უსიამოვნო სიბნელე მოეთინა არეულ-დაჩეულს სუფრას. გაღებული კარებიდან ცივი ჰაერი შემოდინდა, რადგანაც თენდებოდა და ეგვიპტეში უკვლავად ძალიან მზის ამოსვლის წინად აციკდება ხალხი. სუბუქად ჩაცმული მოხუცებული როდოპისი კანკალებდა. უცრემლო თვალებით ათვალიერებდა დაცარიელებულს ოთახს, რომელიც ამ რამდენსამე წამის წინად გამხიარულებული იყო სტუმრებით. იგი აღარებდა თავის გულის მდგომარეობას ამ დაცარიელებულს ოთახს. იმას ეკონა,

\*) «ივერია» № 1, 1885 წ.

რომ რაღაც უხრამდა გულის და სისხლი ძარღვებში ეუნი-  
ბოდა.

დიდ ხანს იდგა ასე, სინამ არ მოვიდა მისი ძველი მო-  
ახლე მონა და არ გაუნათა საწოლი ოთახი.

მდუმარედ იდგა როდოპისი, როდესაც მოახლე ტანისა-  
მოსს ხდიდა, მდუმარედვე იყო, როდესაც ფარდა გადასწია,  
რომელიც მის საწოლს მეორე საწოლისაგან ჭყროფდა. ამ მეო-  
რე საწოლის შუა ნაკერხლის ხის კრაოტი იდგა და მასზედ  
ეგო მატულის ნააღი, თუთკის ზეწრით და ბაცი ცის-ფერის  
საბნებით გადაფარებული, მასზედ განისვენებდა მომხიბლავი,  
მშვენიერი ქმნილება; ეს იყო საძოვ, როდოპისის ქალი-შვილი.  
ეს ნაზი მდიდრული ტანი, ეს მშვენიერი მოყვანილი სახე  
ეკუთვნოდა ქალს, რომელიც ეს იყო ახლად იფურჩქნებოდა,  
ხალხი ნეტარი, მშვიდი ღიმილი—უდარდელს ბედნიერს ბავშვს.

ერთი ხელი, რომელზედაც განისვენებდა მშვენიერი თაბი  
მძინარე ქალისა, დამალული იყო სქელს მუჭ წაბლის ფერს  
თმებში; მეორე ხელი ოდნავ ეხებოდა მწვანე ჭკისაგან გაკეთ-  
ბულს თილისძას, რომელიც ყელზედ ეკიდა. დასუტულის თვა-  
ლების გრძელი წამწები ოდნავ ირხეოდნენ; მძინარას ლაყუბი  
ნაზი ვარდის ფრად ღვიოდნენ, ცხვირის ჰატარა ნესტოები  
ეხებოდნენ სუნთქვის გამო. ასე სატაკუნ უმწკრუბას, ასე  
უღიმილება ოცნებითი სიმშვიდე, ასეთს ძილს უგზავნიან ღმერ-  
თები უდარდელს უმაწვილობას.

ფეხის თითებით ეპარებოდა როდოპისი ამ მძინარე ხრ-  
სებს. გამოუთქმელის სინაზით დაჭყურებდა იგი მძინარის მდი-  
მარს. პირის-სახეს, ჩუმიად და მდუმარად დაიჩოქა კრაოტის წი-  
ნაში, საიფრთხილათ ჩაკერა რბილს საბნებს, ასე რომ მძინა-  
რის ერთი ხელი იმის თმებს ეხებოდა. შემდეგ მან დაიწყო

ტირლი, თითქოს უნდოდა ამ ცრემლებით ჩამოეხანა თავისი უწინდელი შეურაცხება და მოზღვაკებულ მჭმუნვარებას.

ბოლოს იგი წამოდგა, ერთი აკოცა მძინარეს შუბლზედ, ლოცვით აღაშერო ზეტისადმი ხელები და დაბრუნდა თავის ოთახში ისევე ჩუმად და ფრთხილად, როგორც მოვიდა.

მას დახვდა ლოკინთან ბეჭდი მოახლე, რომელიც მას ელადა.

— ამ დროს აქ რათა ზისარ, მელიტა? უთხრა მან მშვიდად და ალერსიანად. წადი დაიძინე, ხომ იცნა რომ შენ ჩემთვის საჭირო აღარა ხარ. მშვიდობით, ხვალ სინამ არ დაგიძახო, არ მოხვიდე. მგონია, მე ამაღამ არ დამეძინება და დღად გამეხარდება, თუ დღით მანც ჩამთვლემავს.

მოახლე ყოყმანობდა: ეტყობოდა რისამე თქმა უნდოდა.

— შენ, ბეტეობა, გინდა რამე მთხოვო? ჭკითხა როდღობისმა.

როდღობისი ისევე ზეზე იდგა და უცდიდა პასუხს.

— თქვი, რაღა, ძალე თქვი!

— მე განახე შენ, როგორც ტირილი, დაიწყო მოახლემ: შენ ან გაჯავრებული ხარ და ან უჭკითვოდა. არ შეიძლება მთელს დამეს შენთან დავრჩე? მითხარ, რა გაწუხებს? შენ არა ერთხელ გამოგიცდია, რომ, როდესაც შენს დარდას სხვას გაუზიარებ, გული გამშვიდდება და მწუხარება მცირედც არის გიჟარდება. დღესაც მანდვე შენი მწუხარება; ეს შენ ტვირთს მოგხსნის და დაუბრუნებს შენს გულს დაგარგულს სამშვიდეს!

— არა, მე ლაპარაკი არ შემიძლიან, უთხრა როდღობისმა, შემდეგ მან განავრძო საუბარი მწარის ღიმილით: — მე კვალად დავრწმუნდი, რომ არც ერთს ღვთაებას არ შეუძლიან აღგაცხ

კაცის წარსული და რომ უბედურება და შერცხვენა განუყრელნი დაძმანი არიან! მშვიდობით, თავი დამანებე მელიტა.

მეორე დღეს, შუა-ღამის დროს, აგვიკ ნაუი, რომლითაც წინა-ღამეს ათინელი და სპარტანელი მოვიდენ, მოადგა რომდობისის ბაღს.

მზე ბრწყინვალედ და მხიარულად აეურებოდა ეგვიპტის ლაჟვარდის ცივად, ეველგან წმინდა ჭყერი მეფობდა, ჭრიჭინები მხიარულად ჭრიჭინობდენ; მენაგენი მადლის სმით მღეროდენ, ხილასის ნაპირები ჭყვადენ, ზაირადები ფრიალობდენ, ერი მოძრაობდა; ბზა, აკაცია და სხვა ხეები ისე მშვენივრად აჟვავებულყუნენ, რომ მგზავრი იფიქრებდა, — ამ არემარქდამ ყოველივე უბედურება განდევნილიაო, რომ აქ არის სადგური ბედნიერებისა და სიხარულისა.

როდესაც სოფლის ახლოს გავივლით სოფლე, რომელიც აჟვავებულს ხეხილებშია ჩათულელი, რამდენჯერ გვიფიქრია, რომ ეს სოფელი მეუდრეობისა, გულ-ვეთილობისა და ბედნიერების სადგური იქნებაო. მაგრამ საკმაოა ამ სოფლის სახლებში ერთხელ შესვლა, რომ დანახო მათში, როგორც ყოველგან, სიღარბე და სიგლახავე, სურვილი და გულის-თქმა, შიში და სინანული, ჭმუნვა და მწუხარება, სიხარული ეი საუბედუროდ ეველახედ ნაკლებად არის! ვინ იფიქრებს, რომ ეგვიპტეში, სადაც მზე ყოველთვის ბრწყინვალეა, რომლის ცაც არასოდეს არ მოიდრუბლება, ხალხი ყოველთვის მოწუნილია და გაბრაზებული? ვის მოუვიდოდა ფიქრად, რომ რომდობისის მშვენიერს, ევაილებში შთანთქმულს სახლში სძგერს გული, დატვირთული ღრმა მწუხარებით? რომელი სტუმარი იფიქრებდა, რომ ეს გული ეგუთენის რომდობისს, რომლის სახესაც ყოველთვის დიმილი ეთამაშებოდა?

ფერ-მკრთალი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მშვენიერი და ალერსიანი იჯდა იგი ჭანესთან ერთად შადრევანის ახლო-ეტიუბოდა, რომ იგი ტირიდა. ათინელს დაეჭინა მისი ხელები და ნუგეშის-ცემას ცდილობდა.

როდღაც მათ მიმინებით უგდებდა მას ყურს, ხან მწარედ გაღდიმებდა და ხან კმაყოფილების ნიშნად თავს უქნევდა. ბოლოს მან გააწყვეტინა საუბარი თავის მეგობარს და უთხრა:

— გმადლობ ჭანეს! ადრე თუ გვიან ეს შეუქრაცხება უნდა დავიწუებულ იქმნას. დრო ვარკვი მკურნალა. მე რომ სუსტი ხსათათისა ვიყო, ნაუგრატისს დაუტრეკებდი და განმარტოებულს ადგილას მხოლოდ ჩემი ქალიშვილისთვის ვიცხოვრებდი. ამ ნორჩს ქმნილებასში მთელს ქვეყანას სძინავს. ათასჯერ განმი-ჩრახავს ეკვიპტის დატოვება და ათასჯერვე დამითრგუნია ეს სურვილი. მე ამისთვის როდი ვრჩებოდი აქა, რომ მიმეღო შენის სქესის გაცემისაგან თავიანის-ცემა; ამოდენა თავიანის-მცემელნი მეუანდენ, რომ დიდი ხანია გული ასუეებული მაქვს. მე სუსტს ქმნილებას, ერთხელ საზიზღარს მონად უოფილს, ის მანუგეშებდა, რომ მე შემიძლიან მცირე ოდენი სარგებლობის მოტანა და ზოგჯერ უსათუოდ საჭიროც ვიყო თავის-უფალ კეთილშობილ პირთათვის. რა-ვი მიჩვეული ვიყავ ვაყ-გატათა შორის მოქმედებას, მე არა კმაყოფილდებოდი ერთს საყვარელს არსებაზედ მზრუნველობით; მე გავსმებოდი ნაყოფიერ ადგილიდამ უნაყოფო ადგილს გადაჩვეულ მცენარესავით და ჩემი ქალი-შვილი სრულიად ობლად დარჩებოდა ამ ქვეყნად. მე ეკვიპტეში დავრჩები!

— ესლა, შენი წასვლის შემდეგ, მე სწორედ საჭირო ვიქნები ჩვენი მეგობრებისთვის. ამასისი მოხუცებულა; თუ რომ ამის შემდეგ ფსამეტისი დაჯდება მეფედ, ჩვენ დიდ გავრცელებას-

თან მოკვიბდება ბრძოლა ელინთა თავისუფლებისა და კეთილ-  
 დღეობისათვის. ეს არის საგანი ჩემის ცხოვრებისა. ამ საქ-  
 მეს მით უფრო გულ-მოდგინედ ვემსახურები, რამდენადაც ქა-  
 ლი იშვიათად გაბედავს ამისთანა საქმეს ემსახუროს. და  
 სთქვან, რომ ჩემნაირი მოქმედება ქალს არ შეუგნის. ამ ღამეს,  
 რომელიც ჯრემლების ღვრით გავატარე, ვიგრძენ, რომ გავნ-  
 თავისუფლებულვარ ბევრი ქალური უღონობისაგან, რომელიც  
 ერთსა და იმავე დროს ჩემს სქესის ბედნიერებასა და უბედუ-  
 რებას შეადგენს. დავიცვა ჩემს ქალი-შვილში ეს უღონობა,  
 რომელიც შესამებულთა ნაწი ქალურს ქცევასთან, შეადგენს ჩემს  
 უშიშროებას სურვილს; მეორე ჩემი სურვილი ის არის, რომ  
 ქალური გულ-ჩვილობა დაუტოვო, მაგრამ იმდენი დონე არა  
 მაქვს, რომ ჩემი ბუნება დაკლდეთ და თვით მე არ დავმარცხდე.  
 როდესაც მე მწუხარება მტანჯავს და მზად ვარ სასოწარკვეთი-  
 ლებას მივეცე, მაშინ ერთად-ერთი ჩემი წამალი ის არის, რომ  
 მოვიგონო ერთი შორის საუკეთესო ჩემი მეგობარი პიფაგო-  
 რი და მისი სიტყვები: დაიცვე ზომიერება ყველათურში, ერთ-  
 დე როგორც უდიდეს სინარულს, ისე უდიდეს მწუხარებას,  
 და ეცადე შეინახო შენი გული ისე ჰარმონიულად და ტკბი-  
 ლად, როგორც კარგა მომართულის ქნარის სამები! ამ პი-  
 ფაგორულს სულიერს ქვეყნას, ამ დროს დაურღვეველს სუ-  
 ლის სიმშვიდეს ყოველ-დღე ვხედავ ჩემს საძირში. ესაა მე  
 დამშვიდებული ვარ! შენ კერ წარმოიდგენ, რა დიდი გავლენა  
 აქვს ჩემსად, როდესაც მოვიგონებ ამ ფილოსოფოსს, ამ და-  
 მშვიდებულს და თავ-დაჯერილს ვაცს. ამ ვანის მოგონება ისე  
 მატკობს, როგორც ტკბილი და ნაზი საკრავის ხმა. შენც  
 კარგად იცნობდი მას და ჩემი მასად საუბარი რაღა საჭიროა.  
 ესაა გთხოვ მითხრა, რა გაქვს ჩემთან სათხილავი, ჩემი გუ-

ლი ისე დამშვიდებულა, როგორც ნილოსის ზვირთები, რომელიც ჩვენს წინ ასე მშვიდად აქანავებს თავის ტალღებს. კარგია თუ ცუდი—ეს შენ მითხარი და მე უფრო დაგიგებო.

— აი სწორედ ეკ მამწონს შენი, უთხრა ათინელმა. — შენ რომ უფრო ადრე მოგეგონებინა სიბრძნის კეთილშობილი მეგობარი, — როგორც პიჭაგორი ეძახოდა თავის-თავს, — მაშინ შენი გული გუშინვე იგრძნობდა სამშვიდეს. მასწავლებელი თხოულობს, რომ ჩვენ უკველ დამ შევიძოწოთ შემთხვევანი, გრძნობანი და აზრნი გაკლილის დღისა. შენ რომ ასე მოქცეულიყავ, შენის თავისთვის უნდა გეთქვა, რომ შენი მეგობრების არა ფარისეველურს გაკვირვებას დამთურალი კაცის ღანძლვა ერთი-ათასად სჭარბობდა; შენ შენი თავი ღმერთების საუფარლად უნდა ჩაკეთვალა, რადგან შენს სახელში უკვდავ არსებათა მომადლეს კეთილშობილს მოხუცს უდიდესი ბედნიერება, როგორსაც ვი კაცს ბედი არგუნებს, შემდეგ დიდის ხნის ტანჯვისა; ბოლოს ღმერთებმა, მოგაშორეს რა მეგობარს, მაშინვე მოგანიჭეს სხვა, უფრო ღირსეული, მეგობარი. წინაღმდეგობა ნუ გამიხდები და ნება მიბოძე გითხრა ჩემი სათხოვარი.

«შენ უკვე უწე, რომ მე ხან ათინელს შეძახიან და ხან გალიკარნასკეს. იონიელნი, დორიელნი და ელელინი დაქირაკებული კაცები დიდი ხანია ვერა რიგდებიან კარიელს კაცებთან; ამისთვის ჩემთვის, როგორც ორივე ნაწილის უფროსს, განსაკუთრებით სასარგებლო იყო ჩემი ორ-გვარი ჩამომავლობა. რაც უნდა საუკეთესო ღირსების კაცი იყოს არისტომასი, ამასისი ჩემს მოშორებას მაინც იგრძნობს; მე ადვილად მოვაროებდი ხელმე ჩემი რაზმის სხვა-და-სხვა ჯურს კაცებს, მაშინ როდესაც სპარტანელს ეს ძალიან გაუჭირდება.

«ამ ჩემს ორ-გვარ ჩამომავლობას შემდეგი მიზეზი აქვს.

მამა-ჩემმა გალიკარნასელი ქალი შეირთო და. როდესაც დედა-ჩემს დედ-მამა დახტოდა, მამა-ჩემს გალიკარნასში ეცხოვრა მემკვიდრეობის მისაღებად და აი, სწორედ ამ დროს დაებადებულვარ მეცა. თუმცა მესამე თვეს მე ათინაში წავეყვანეთ, მაგრამ მე მაინც კარბელი ვარ, რადგანაც კაცის სამშობლო ის არის, სადაც დაიბადება.

«ათინაში მე, როგორც ახალ-გაზდა წარმომადგენელი გამოჩენილის აიაქსის გვარისა, აღვიზარდე არისტოკრატიული ამპარტახებით. მამაცი და ბრძენი პიზისტრატე, რომელიც ჩვენსთანავე გვარისა იყო და შთამომავლობით არა გვეფობდა (მამა-ჩემის გვარზე გამოჩენილი გვარი არ არის) მოახერხა უძალესი უთვლების ხელში ჩაგდება. შეერთებულის ძალით არისტოკრატამ ორჯერ მოახერხა მისი დამარცხება. როდესაც მან მონღომა დაბრუნება მესამედ, ლიდლამის, ნიკოსელის, არგოსელების და ერკოტრიელების შემწეობით, ჩვენ მას წინააღმდეგობა გაუწიეთ. როდესაც საუზმის წინ მსხვერპლსა ვსწირავდით დიერთს ქალს, გონიერი მმართველი უეტრივ თავს დაგვესხა, შეება ჩვენს უიარაღო ჯარს და მცირე-ოდნად გაიმარჯვა. რადგანაც ჯარის ნახევარი, რომელიც მტარკაქს ემორჩილებოდა, მე მომანდგეს, ამისათვის გადავწუვიტე მოკმეკვდარიყავ და უკან ვი არ დამეწია. მე ვიბრძოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვამხსნეებდი მეომრებს და არ ვბრუნდებოდი უკან, სინამ შუბით მხარში არ დამჭრეს.

«პიზისტრატები შეიქმნენ ათინის მმართველნი. მე გალიკარნასში გავიქცევი, ჩემს მეორე სამშობლოში, სადაც თან გამოძევა ცოლი ჩვენის შვილებით, რა-გი ეგვიპტის დაქირავებული ჯარის უფროსობა მივიღე, — რადგანაც ჩემი სახელი განთქმულად იყო ვაყ-კაცობით.

ჩემი ცოლი წარსულს ზაფხულში მოკვდა: შვილები — ვაჟი თერთმეტის და ქალი ათის თვისანი გალიკარნასში დაჩხენ თავის დეიდასთან. მაგრამ დეიდაც მალე მოუკვდათ. ამ რამდენიმე დღის წინად მე განკარგულება მოვახდინე, რომ ჩემი შვილები აქ მოიყვანონ; მაგრამ იგინი ნაუკრატისში სამსკვირავზე ადრე არ მოკვლენ და უსათუოდ ეხლა წამოსულნი იქნებიან, ასე რომ მეორე ჩემი განკარგულება ვეღარ მიუსწრობს.

აორი კვირის უკან ეკვიპტიდამ უნდა წავიდე, ჩემს შვილებს აქ ვერ დავუხვდები.

მე გადავწყვიტე წავიდე ჭრავიის ხერსონესში, სადაც ბიძა-ჩემი, როგორც შენც იცო, დროსონების ერმა მიიწვია. დაე იქ წავიდენ ჩემი შვილებიც. კორაკსი, ჩემი ერთგული მონა, ნაუკრატისში დაჩხება, რომ ჩემი შვილები ჩემთან მოიყვანოს.

ათუ რომ გინდა შეგობრობა დამიმტკიცო, ჩემი შვილები მიიღე და იქამდის გეყადენ, სინამ ჭრავიაში რომელიმე გემი არ წამოვიდეს, დაუმალე იგინი ტახტის შემკვიდრის, შესამეტისის, ჯაშუშებს. შენ იცო, რომ მე მას სამინლად ვძულებარ, და იქნება ჩემი ჯავრის ამოყრა ჩემს შვილებზედ განიზრახოს. მე შენ გთხოვ ამას პირველად იმისთვის, რომ შენი გულ-კეთილობა ვიცი; მეორედ იმისთვის, რომ შენი სახლი, მეფის ფარმანის გამო, არის სადგური, სადაც ჩემი შვილები პოლიციის კამპოთხვას ასცილდებიან, რადგან პოლიცია ვალდებულია იცოდეს ყოველი უცხო ქვეყნელი, მათ შორის ბავშვებიც.

ახედავ, რა დიდი პატივისცემა მაქვს შენი: მე გახარებ შენ ერთადერთს საუნიჯეს, რომელიც მე სიცოცხლეს არ მიძულებს. არც სამშობლოა ჩემთვის ძვირფასი, სამარცხვინოდ

მტარვალის წინაშე იდრეკება. გსურს დაუბრუნო მშვიდობა ზღვლებულს მამის გულს? გსურს თუ არა?...

— მე ყველაფერზედ თანახმა ვარ, ჭანეს! უთხრა როდღაცისმა სინარულთ.— შენ მე არაფერს არა მთხოვ, პირაქით მასწიქებ. ოხ, რა ნაირად მინარინ ბავშვების მოსვლა! და რა ნაირ გავხარდება საძოვს, როდესაც საყვარელი არსებანი მოკლენ და გაამხიარულებენ! მაგრამ წინადაკე გუბნებში, ჭანეს, რომ მე არასოდეს არ ვიზამ, რომ ჩემი პატარა სტუმრები ჭრავიაში პირველად წამოსული გემით გამოვიგზავნო! შეიძლება ნახევარს წელს დასთმო იგინი; პირობას გაძღვე, რომ აქ ყოველისფერს კარგად ვასწავლით.

— მე მაგისტრის არ შეგწუხდებოდი, მიუგო ჭანესმა მადლობის ღიმილით:— მაგრამ მე მანც გთხოვ, რომ იგინი პირველად წამოსული გემით გამოვიგზავნო. მე ძალიან მეშინიან მსამეტისის ღვარძლიანის გულისა. წინადაკე გიხდით მადლობას ჩემის შეილების საყვარულისათვის, მეც ვი პოუქრობ, რომ იგინი კარგი გამრთობნი იქნებიან საძოვსა.

— მას, გააწყვეტინა როდღაცისმა და დაღუნა თავი: რადგანაც შენ აგრე ერწმუნები ჩემს დედობრივს გულ-კეთილობას, აღარ მივაქცევ ყურადღებას იმ შეურაცხებას, რომელიც ლოთმა კაცმა მომაყენა! მაგრამ აი საძოვც მოდის!

#### IV

ხუთმა დღემ რომ გაიარა როდღაცისის სახლში ნადიმობის შემდეგ, საიისის ნავთ-სადგურში რაღაც დიდ-ძალი ერის მოძრაობა სჩანდა. ყველა წოდების და სქესის აგვიპტელები

წყლის ნაპირს იდგნენ. პოლიციელები, შეიარაღებულნი გრძელის ჯოხებით, წესიერებას იცავენ.

ერთს მხარესაც ეკვიპტელის დიდებულნი და მხედრობანი იდგნენ. მათ შორის ჩვენი ნაცნობი არისტომანც იყო; იგი იდგა რაკდენსამე ბერძნის ჯარის-კაცებთან ერთად მოკლანსკელ, რომელსედაც ვსამეტიხ 1-ის ძეგლი იდგა და წყალს გადაჭურებდა. მათ წინ მდიდრულად მოართული ტახტის შემკვიდრე ვსამეტიხი იჯდა ვერცხლით მოჭედელს სულსედ; გას ესვია სისახლის დიდებულნი და მეფის მეგობარნი, რომელთაც ხელში სირაქლემას ფრთებით შემკული ჯოხები ეჭირათ.

„ერი დიდი ხანი მოუთმენელად უვიროდა, მღეროდა და იცინოდა; ქურუმები და დიდებულნი კი მღუშარედ იდგნენ. მაგრამ აგერ გამოჩნდნენ გემის ცისფერი და წითელი ფარჩის აფრები.“

„ერი აღტაცებაში მოვიდა, დაიწყეს უვირილი: «მოდიან, აგერ ისინი! — გაფრთხილდი, გატას ფეხი არ დაადგა.» — «ძიძუ, ბავშვი ძაღლს დაიჭირე, რომ დანახოს რამე!» — «შენ მე ვიცი წყალში გადამაგდებ!» — «შეხედე, ფინიკულა, ბავშვები წვერში ეგლებს გესვრიან.» — «ელნილო, არ გეგონოს, რომ ეკვიპტე მარტო შენ გეგუთვნოდეს, რადგანაც ამასისი ნებსს გამლგვთ წმინდა მდინარის ნაპირზე იცხოვრო!» — «უსვინადისოები არიან, ეს ბერძნები! დაიკარგონ!» დაივიარა ერთმა. «დაიკარგნენ ღორების მჭამელები, ღმერთების უარ-მყოფელები!» იძახოდნენ აქედ-იქიდან.

უსათუოდ ჩხუბიც მოხდება, თუ რომ პოლიციელებს არ დაემშვიდებინათ მოჩხუბარნი. თან და თან უფრო კარგად გამოჩნდნენ გემები. ესლა კი დიდებულნიც და ტახტის შემკვიდრეც ფეხსედ წამოდგნენ. მეფის მუზიკამ დაუკრა და პირველი გემი-

წელის ნაპირს მოადგა. ნაეი მდიდრულად იყო მოართული; შუაზედ ოქროს პალდასინი იდგა. გემის წინ ორივე მხარეს თორმეტ-თორმეტი მომსმელები იდგნენ და ნიჩბებს უსვამდნენ. ბაღდასინის ქვეშ ექვსი კაცი იწვა, მდიდრულად მოართულნი და წამოსადგენი. სინამ გემი ნაპირას მოდგებოდა, უნცროსი მათგანი, რომელსაც ქერა სუჭუჭი თმა უმშვენებდა თავს, გადმოსტა წელის კიდურად. მის დანახვასზედ ბუკრმა ეგვიპტელმა ქალმა შეჭყვირა და თვით დიდებულმა ქალებმაც კაილიმეს. კაცს, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა ქალები, ბარტია ერქვა და იყო შვილი გადაცვალებულის და მის ცოცხალის სპარსეთის მეფისა. ბუნებას მისთვის ყოველისფერი მიენიჭებინა, რასაც კი თორმეტი წლის უმაწვილი ანატრებს. მის თვალებში სჩანდა სიცოცხლე, მხიარულება, გულ-კეთილობა, გამბედაობა და ამპარტაუნება; მისი კეთილშობილური სახე, რომელიც ის იყო წვერით ახლად იმოსებოდა, ღირსი იყო დახატვისა: მოყვანილი ტანი ღონესა და სიმარღეს უმტკიცებდა. ტანისამოსის სობრწყინვალე მის სიმშვენეირეს ეფერებოდა, მაჭუბსზედ ძვირფასი სამაჭურები ჭქონდა გაკეთებული. გულზედ ოქროს ბეჭეტი ებღო.

ეს უმაწვილი პირველად გადმოსტა ნაპირზედ. მას გადმოჭყვა დარი ჭისტასპის შვილი, მეფის ჩამომავლობის უმაწვილი კაცი, როგორც ბარტია, მხოლოდ უფრო ცოტა სადად ეცვა. მესამე იყო ჭადრა-თმიანი მოხუცი, რომელსაც სახეზედ, უმაწვილური გულ-კეთილობა, მოხუცის გამოცდილება და გაყვანის გონიერება ეტეობოდა. იგი სრულიად სადა შეხედულობის კაცი იყო, მასშინ რომელსაც ეს სადა მოხუცი, რამდენიმე წლის წინედ იყო ისეთი კაცი, რომელსაც ყველანი შურით უნტქროდნენ და რომლის სახელსაც ორი ათასი წლის შემდეგ

ძალის მდიდარს კაცებს ვაჩქივეთ ხალხი. ეს იყო კრწანის, ტახტიდამ გადმოგდებულ ლიდის მეფე, რომელიც, როგორც მეგობარი, მამის კამბიზის სასახლეში სტოპობდა და რომელიც ესაა ბარტის თან მოჭყა.

მათ თან გადმოჭყენენ: არქისასში, სპარსეთის მეფის ელჩი, ზოპირი, მეღობის შვილი, კეთილშობილი სპარსელი, მეგობარი ბარტისა და დარისა; ბოლოს გამოჩნდა, მოყვანილი ტანისა და თერ-მერთალი შვილი კრწანისა—გიგესი, რომელიც ოთხის წლისა დამუნჯდა და კვლავ ამოიღა ენა, მამის შესასებ შიშის გამო, როდესაც მტრმა სადღესი აიღო.

შინაგეტის სტუმრების მისაგებებლად წავიდა. იგი ცდილობდა მხარულად ყოფილიყო. დიდებულნი, რომელნიც მას თან მიადგოდნენ, უცხო ქვეყნელების წინ თითქმის დაემხნენ და მერე ხელე-ჩაშკებულნი დადგნენ. სპარსელებმა გულზედ ხელე-ბი გადიჯვარდინეს და ტახტის მემკვიდრის წინ თავი მოიხარეს. ამის შემდეგ, ბარტამ, რომელიც მიჩვეული არ იყო ამისთანა ამბავს, თავის ქვეყნის ჩვეულებისამებრ, გადაუგონა ყოველი ლოყები ეგვიპტის მემკვიდრეს და წავიდა ტახტკვანებისკენ, რომელნიც მათთვის იყვნენ მომზადებულნი საისის სასახლეში მისასვლელად.

ერთი ნაწილი ერისა უცხო ქვეყნელებს უკან გაჭყა; მაგრამ მომეტებული წილი მათურებელთა კი თავის ადგილზედ დაჩნენ, რადგანაც სხვა, უფრო კარგს სანახავს მოკლდნენ.

— აქნება შენც განდა მოერთულს მამუნებს უკან გამოუდგა? ჭკითხა ტახტის მოსამსახურებ თავის მეზობელს, რომელიც ჭკრეგი იყო.

— მეც გუბნები და უმაღლესმა ქურუმისცა სთქვა, რომ ეს უცხო ქვეყნელები არაფერს კეთდს არ მოუტანენ ჩვენს ქვეყ-

ნას! სად გაჭჭრა ძველი კარგი დრო, როდესაც კერც ერთი უცხო ქვეყნელი, რომელსაც გი ძვირად უღირდა სიცოცხლე, კერა ბედავდა ეკვიპტეში მოსვლას! ეხლა ჩვენი ქუჩები საკუნთიანი მატყუარა ებრაელებით და განსაკუთრებით ამ უსივრცელი ელინელებით, რომელთა გაწვევასაც დიქტოსა ვითხოვ! შესედე: მესამე გემი მოდის, რომელიც უცხო ქვეყნელებით არის სავსე. იგი ვინ არიან ეს სპარსელები? უმადლესმა ქურუმმა სთქვა, რომ მთლად მათს სასელმწიფოში, რომელიც ნახევარს ქვეყანას უდრის, არც ერთი არ არის სასიამოვნო დიქტოსისათვის; თავიანთ მიტვალეულებს, პატივისცემით დამარხვის მაგიერ, ძაღლებს და სვაკებს უგდებენ შესატყუელად!

დერცოც დიდი გაკვირება და უფრო დიდი სიბრძნე ეტყობოდა; შემდეგ მან უჩვენა ძინარის კიდურად გაკეთებული კიბე და უთხრა:

— გეფიცები იზიდის შვილს, რომელმაც ტიფონი გაანადგურა, რომ მეჭვსე გემიც მოდის, უცხო ქვეყნელებით სავსე!

— ეს ძალიან ცუდია! უთხრა ტაძრის მსახური: გეგონება მთელი ჯარი აქა გროვდებაო. ამაზისი ასე მოიჭრება იქამდის, სინამ ტახტიდამ არ ჩამოაგდებენ და სასელმწიფოდამ არ გასდებენ და ჩვენ უბედურ მონებად არ გადაგვაქცევენ.

— მეშვიდე გემიც მოდის! შეჭვირს დერცოცმა.

— დაე დამღუბოს ჩემმა მბრძანებელმა ნეიტმა, საისის უდიდესმა დიქტოსმა, სწუხდა ტაძრის მსახური—თუ მე მესმოდა, რას სჩადის მეფე. მან სამი გემი გაგზავნა ღვთის საზიზღარს ნაუკრატისში სპარსეთის ელჩების მოსამსახურეთათვის საჭირო რამეებით დატვირთული; მაგრამ სამი გემის მაგიერ რვა გემი გაამზადა, რადგანაც ჭურჭლისა, ძაღლებისა, ცხენებისა და ეტლების გარდა თან მრავალი მოსამსახურენი მოიყვანეს.

მათ თან მოიყვანეს თავიანთი ქურუმები, რომლებსაც მოგვებს ეძახიან. ნეტა ერთი ვიცოდე, რისთვის უნდათ ეს უქმად მანწანა მოგვები? რად უნდათ ისინი, თუ კი მათ ღმერთები და სატები არა ჰყავთ?

ეგვიპტის მოხუცებულმა მეფემ ამასისმა დიდის ყოფით და სიხარულით მიიღო სპარსეთის საელჩო. ოთხი დღის შემდეგ მან, როდესაც ერთს დილას თავის საქმეებს მოჩნა, კრესთან ერთად გაისეირნა სასახლის ბაღში, დანარჩენი სპარსელები შემკვიდრესთან ერთად წავიდნენ ნილოსის ნაპირებზედ სასეირნოდ და იქიდან შემდისში.

ამასისი და კრესი ბაღის ერთს ხის ქვეშ დასხდნენ, რომელზედაც ახლო იყო შადრეკანი. ტახტიდან ჩამოკლებული მეფე, რომელიც რამდენიმე წლით უფროსი იყო უძლიერეს ეგვიპტის მეფეზედ, უფრო ახალ-გაზდა და ჭარმაგი სჩანდა ამასისზედ. ტანით მძლავრი ამასისი წელში მოხრდილი იყო; მისი მშვენებული სახე აჭა-იჭა დაღმუნჭილიყო. წვიმის-ვალე თვალებში გონიერება ესტებოდა, ხოლო ტუჩებზედ ყოველთვის სიმხიარული და ღიმილი ეტყობოდა. განიერი შუბლი ამტკიცებდა, რომ იგი ძლიერის ჭკუის პატრონი უნდა ყოფილიყო. მან პირდაპირი და ცხარე ღაპარაკი აცოდა.

კრესის ქვედა სრულიად მეფური იყო. მას ეტყობოდა, რომ დაახლოებული იყო საბერძნეთის საუკეთესო კაცებთან. საუკეთესო მეცნიერნი ჭაღესი, ანაქსიმანდრი და ანაქსიმენ მილეთელი, ბიას პრიენელი, სოლონი ათინელი, პიტაკ ლესბოსელი მიდიოდენ კრესთან სტუმრად, როდესაც იგი მეფედ იყო. იმის ტვინი ხმა ამასისის რისიან ხმასთან შედარებით გალობა გებობებოდა.

— ეხლა პირდაპირ მითხარით, დაიწყო ფარაონმა ბერძნულად; — როგორ მოგეწონა შენ ეგვიპტე? შე აჩაგის არ ვიცნობ

ისეთს, რომლის აზრიც შენს აზრზედ ძვირად მიღირდეს, ამისთვის, რომ ვირველად, შენ იცნობ მომეტებულს ეკს და ქვეყნებს; მეორედ, ღმერთებმა შენ უდიდეს ბედნიერებადის აგიყვანეს და კვლად მიწის ჩამოგოყვანეს; მესამედ შენ ტყუილად არ იყავ მოთათბირე უძლიერესის ძეფისა. მე მიხდა, რომ ჩემი საქმე იმდენად მოგეწონოს, რომ შენ დარჩე ჩემთან, როგორც ძმა. ღმერთმანი, კრეზ, შენ დიდი ხანია ჩემი მეგობარი ხარ, თუმცა ღმერთებმა მხოლოდ გუშინ მახვევენს შენი სასუ!

— და შენ— ჩემო მეგობარო, გააწყვეტინა მას ღიღიღუღმა: მე შენი ვაჟ-კაცობა მაკვირვებს იმით, რომ, თუმცა მოწინააღმდეგენი ბევრი გყავს, აკეთებ იმას, რაც კარგად მიგახნია; კმადლობთ იმ ვატრივის-ცემისათვის, რა ვატრივის-ცემითაც ჩემს მეგობრებს ელინულთ ექცეოდით. მე გთვლი შენ ჩემს ნათესავად, რადგანაც ჩვენი ბედი ერთმანეთსა ჰგავს; ამისთვის რომ შენც ჩემსავით ბლომად გამოსცადე ბედნიერება და უბედურება.

— იმ განსსვავებით, უთხრა ამასისმა ღიმილით: — რომ ბედი ჩვენ სხვა და სხვა ნაირად გამოგვცადეთ. შენ ბედმა ჯერ ბედნიერება გარგუნა და მერე უბედურება; მე კი ჯერ უბედურება მარგუნა და მერე ბედნიერება; ე. ი. თუ ვიფიქრებ, დაუმატა ჩათვიქრებით მან: — რომ მე კმაყოფილი ვარ ჩემის ესლანდელის ბედნიერებით.

— მე კი, უთხრა კრეზმა: — როდესაც ვიფიქრობ, რომ ვიტანჯები ჩემის, ესრედ წოდებულის, უბედურებით.

— მას რა მოგივა ვაგდენი საუნჯის დაკარგვის შემდეგ?

— განა ბედნიერება საუნჯეზეა დამოკიდებული? ჰკითხა კრეზმა. — და საუნჯე განა ბედნიერებას? ბედნიერება არის წარმოდგენა, გრძნობა, რომელსაც შურონი ღმერთები უჭონეს უფ-

რო აძლევენ, სინამ ძლიერს. უკანასკნელის მხიარული სახე იღრუბლება ბრწყინვალის საუნჯით და იგი ყოველთვის უნდა იტანჯოს, თუ საქმე კარგად არ მოუვა, წადგანაც გრძნობს ძალას ყოველისფრისადმი მისაღწევად და საქმით ვაყველგან მარცხდება და კერ ისრულებს თავის გულის წადილს.

ამაზისმა ამოიოხრა და უთხრა:

— ნეტავი შექმდეს, რომ მე შენ არ დაგეთანხმო, მაგრამ როდესაც ჩემს წაჩხუტს ვიგონებ, უნდა გამოგიტყდე: რომ იმ დღიდან, რა დღიდანაც ბედნიერება მეწვია, დაიწყო ჩემი დარღიანობაც, რომელიც მთელს სიცოცხლეს მიწამდას.

— მე ვა, უთხრა კრეშმა:— მადლობელი ვარ შენი დაგვიანებულის ხელის აღზერობისათვის, წადგანაც უბედურების ერთმა წამმა მომანიჭა მე ვიწველი, ნამდვილი ბედნიერება. როდესაც სწავრები სარდლის კედლებზე და ვინახე, მე ვწველი ჩემ თავსაც და ღმერთებსაც, სიცოცხლე შექმულდა და საშინელს მძიმე ტვირთად მეჩვენებოდა. თან ვიბრძოდი და თან ჩემის ჯარით უკან ვიწვედი და განწირულებას კედელი. ამ დროს სწავრულმა მეომარმა ხმალი მომიღერა, ჩემმა შვილმა სტაცა მას ხელი და რამდენიმე წლის შემდეგ ვიწველად გავიგონე მისი ხმა. ჩემმა მუნჯმა შვილმა ჰალესმა ამ საშინელი წამის დროს კვლად ამოიღო ენა და მე, რომელიც ღმერთებს ვწველი, დავეძვე წინაშე მათის ძლიერებისა. მონას, რომელსაც ვუბრძანე მოკვალა, როგორც ვი სწავრულებს ტყვედ ჩაუყარებოდი, წაკართვი ხმალი. მე სრულიად სხვა კაცი შევიქნენ და თან და თან მიჭარებოდა მძულვარება ჩემის ბედის და მტრებისადმი. შენ იცი, რომ ბოლოს მე ვიბრძოდი მეგობარი გავხდი, რომ ჩემი შვილი ჩემს ტყვედით თავისუფლად იბრძებოდა და სამშობლო ენას არ ივიწყებდა. ყოველივე, რაც მე მინახავს,

გამიგონის და მომიფიქრება ჩემი დიდის ხნის სიცოცხლის განმავლობაში, უოკელივე ჩემი შვილისათვის გარდამიცა; ეს-  
 ლა ჩემი შვილი შეიქმნა ჩემი სახელმწიფო, ჩემი გვირგვინი და  
 ჩემი სალარო. როდესაც ვხედავ ვირის მოუსვენარს ცხოვრებას,  
 მე შიშით ვიგონებ ჩემს წიარსულს დიდებას და ძლიერებას და  
 უფრო მესმის, სადაც უნდა მოვძებნო ნამდიდი ბედნიერება.  
 უკვლავ ჩვენგანს ბედნიერების დკრიტა უძვეს გულში: კმაყოფი-  
 ლი, მომთმინო არსება, რომელიც მშვენიერების დანახვაზედ  
 აღტაცებაში მოდის, მაგრამ ცხოვრების მცირე მოვლენასაც  
 უფურადღებოდ არა სტოკებს, უოკელსავე მწუნსაებას უძლებს  
 და სტებება წიარსულის მოგონებით. ზომის ცოდნა უოკელს  
 შემთხვევაში, სასიება დმერთების მოწუალებაზედ და ჭეშმარი-  
 ტებით ცოდნა იმისა, რომ უოკელივე, ასე გასინჯეთ, თვით  
 უსამიგონო ამბავიც კი წარმატალია, — უოკელივე ეს ხელს უწ-  
 ყობს ბედნიერების დკრიტის დამწიფებას, რომელიც ჩვენს გულ-  
 ში დამალული და გვაძლევს ძალას დიდილით შევხედეთ მას,  
 რის გამოისათაც ჩვენ განწირულებასა და მწუნსაებაში ვარდ-  
 ბით.

ამაზისა უფურადღებით ისმენდა მის ლაპარაკს და თან თა-  
 ვის ოქროს თავიანი ჯოხით ხატავდა მიწაზედ ძაღლის თავს,  
 შემდეგ უთხრა:

— ჭეშმარიტად, კრუზო, მე დიდი დმერთია, «მზე სი-  
 მართლისა», «მე ნეიტისა», «მხრძანებელი სამხედრო დიდ-  
 ბისა», (ასე მეძახიან მე ეკვიპტელები) შურით გიფურებ შენ,  
 გაცარცულს და ტახტიდამ გადმოგდებულს მეფეს. ერთს დროს  
 მეც შენსავით ბედნიერი ვიყავ, მთელი ეკვიპტე მიცნობდა სა-  
 წყალი ასის თავის შვილს, ჩემი სიმხიარულის და ცელქობის  
 გამო. ჯარის უბრალო კაცებს ხელთ დავუყავდი; უფროსნი

ბეკს ნაკლულევანებს ჰპოვებდენ ჩემში, მაგრამ ბიუ-მაყს ამისთვის ყოველსაფერს უხდებოდა, აფიცრები უჩემოდ ვერ მხიარულობდენ. მაგრამ აი ჩემმა მოადგილემ გოჭრამ გაგვსანა ჩვენ საომრად გირჩინის წინააღმდეგ. უდაბნოში სიარულოთ დამაშვრალთ წინ-წასვლას უარა განვაცხადეთ. იმ ეჭვმა, რომ ვითომც ხელმწიფეს უნდოდა ელინთათვის ჩვენი მსხვერპლად შეწირვა, მღელვარება ჩამოაგდო ჩვენში. მე ჩვეულებისამებრ ხუმრობით ვუთხარ ჩემს მეგობრებს: «თქვენ ხომ უხელმწიფოდ არ დაჩნებით, მოდით და მე გამხადეთ თქვენს მბრძანებლათ; ჩემზე მხიარულს სხვას ვერავის იპოვით მეოქია!» სწავდათებმა ეს სიტყვები გაიგონეს. «ამისთვის ხელმწიფობა უნდა!» გაკარდა ჯარში ხმა. «კეთილი, ბედნიერი ამისის დაე ჩვენს ხელმწიფედ იყოს!» ამ სიტყვების მახლობლად მიმიღო ჯარმა ამდენიმე საათის შემდეგ. ერთმა ჩემმა ამხანაგმა თავს უარის უფროსობის უფრო დაძახა. მე ხუმრობა ნამდვილ საქმედ გადავაჭცი, მომეტეული ჯარი ჩემსკენ გადმოვიდა და ჩვენ გოჭრას შემოვსთან დავამარცხეთ. კრიც შეთქმულებს მოგვემხრო. მე აკედი ტახტზე. მე ბედნიერს მეძახოდენ. აქამდის ეკვიპაჟების მეგობარი, ესლას საუკეთესო მათგანს მტრად გადავეჭცი. ქურუმები მე ჰატივსა მტრედენ და თავის წოდებაში მიმიღეს, იმისთვის რომ იმედი ჰქონდათ, როგორც უნდა ისე მათამაშებდენ. ჩემი წინანდელი უფროსები ან შურით მიუყრებდენ, ან წინანდებურად მეჭვიოდენ. მათი ასეთი საქციელი ჩემს ხალხს წოდებას ადარ შეეფერებოდა და ერთი გაკლუნა დამეკარგებოდა. ერთხელ ჩემს სახლში ჯარის მოჭეიფე უფროსებს, რომელთაც უნდოდათ ასევე ესუბრათ ჩემთან, როგორც წინად, ვუჩვენე ოქროს ტახტი, რომელშიაც ჩვენ ფეხებს ვიბანდით სადილის წინად. ხუთი დღის უკან, როდესაც

იგინი კვლად ჩემთან ჩეიფობდენ, მე კუბრძანე დაეღათ სტოლ-  
 ზედ ოქროსგან ჩამოსხმული დიდი ღმერთის რას სურათი.  
 როგორც კი დანახეს იგი, მაშინვე პირქვე დაემხნენ და თაყუა-  
 ნი-სცეს. როდესაც ადგნენ, მე სვიპტრა ზვილე ხელში, მედი-  
 დურად დაეჭირე მძლავ და წამოკოსტქვი: «ეს ღვთაების სუ-  
 რათი ხელისანმა გააკეთა ხუთი წლის განმავლობაში ამ ჭურ-  
 ჭლისაგან, რომელშიაც ჩვენ ვაფურთხებდით და ფეხებს ვიბან-  
 დით. მეც ერთხელ ამ გვარი ჭურჭელი ვიყავ, მაგრამ ღვთაე-  
 ბამ, თქვენს მეფედ გამხადა. მას დაემხეთ პირ-ქვე და თაყუანი  
 მეცით, ამ დღიდან, ვინც მოჩილი არ იქნება, ან დაივიწყ-  
 ებს ხელმწიფის პატივის-ცემას, რომელიც ქვეყნად რას მო-  
 ადგილება, სიკვდილით დაისჯება». იგინი ყველანი პირ-ქვე და-  
 ემხნენ. მე ჩემი უფლება გადავარჩინე, მაგრამ შეგობრება კი  
 დავკარგე. ესლა ჩემის უფლების დასაყრდნობელი მინდოდა. ამ  
 მისაყრდნობელად ელინები გახდნენ. სამხედრო სამსახურში ერ-  
 თი ბერძენი სჯობიან ხუთს ეკვიპტულს; ეს მე კარგად ვიცო-  
 დი და განვიზრახე ის ამესრულებინა, რაც სასარგებლოდ მი-  
 მახნდა.

მე ყოველთვის დაქირავებული ბერძნები მეყანდნენ დაახ-  
 ლკებულნი. მათის წყალობით ვისწავლე მათი ენა, მათ  
 გამაცნეს უკეთილშობილესი კაცი, როგორც მე როდისმე შემ-  
 ხვედრია, — პიფაგორი. მე ვცდილობდნ შემომელო ჩვენში  
 ბერძნული ჩვეულება და ენა, რადგანაც დაკრწმუნდი რომ სო-  
 სულელა ცუდის ჩვეულების შენახვა იქ, სადაც უფრო კარგი  
 ხელთ გვაქვს.

მე წესიერად გავყავ მთელი ქვეყანა, დავაწესე პოლიცია,  
 რომელიც საუკეთესოდ ითვლება მთელს დედა-მიწის ზურგზედ,  
 და ბევრი რამ მოვიყვანე აღსრულებაში; მაგრამ ჩემი სურვილი

— შემომეღო ბერძნული განათლება, სკოლებსა და ბერძნული დატეობის სიცოცხლით ამ მდიდარს, მაგრამ შავ-ბნელს ქვეყანაში, — ამას სურვილად დარჩა, რადგანაც ქურუმები ყოველს ჩემს განზრახვას ეწინააღმდეგებოდნენ. იგინი მოწიწებით ექცევიან ყოველსავე იმას, რაც უამთავრითაა შემოუღია; იგინი, რომელნიც ყოველს სხვა ქვეყნის ჩვეულებას და თვით უცხო ქვეყნელებსაც თავიანთ უფლების მტრებად რაცხვენ, — განაგებენ ამ ხალხს ისე, როგორც უნდათ. ამისათვის ყოველი ჩემი საუკეთესო სურვილი და განზრახვა მათს სურვილს შეესწირე, ჩემი ცხოვრება ყოველისფრით შევიწროებულია მათგან და მეგობრებ, ისე მოგვკვდები, რომ დარწმუნებული არ ვიქნები, — საფლავში მანინც მომასვენებენ ეს შუამავალი ღვთაებისა და სიკვდილს შორის!

— გეფიცებით ზევებს მსხნელს, ჩემო საწყალო ბედნიერო! უთხრა მას კრეზმა გულის მტკივნეულობით: — მე მესმის შენი ძმუნება. თუმცა ჩემს სიცოცხლეში ბერს ვიცნობდი იმისთანა პირთ, რომელნიც უმხიარულოდ და შავ-ბნელად ატარებდნენ ცხოვრებას, მაგრამ მე მანინც ეჭვი არა მქონია, რომ ქვეყნად ბერნი ისეთნიც სცხოვრობენ, რომელთაც შემკვიდრებით ერგებათ ხოლმე მჭუნვარება სულისა, როგორც მცურავთ შხაში. რამდენი ქურუმები ვნახე გზაზე და შენს სასახლეში, რომელნიც ყოველთვის დაღვრემიანი არიან. თვით უძაწვილინიც, რომელნიც შენ გემსახურებიან, ძალიან იშვიათად იღიმიებიან, მაშინ, როდესაც მხიარულება არის უძაწვილობის საკუთრება, როგორც საუკეთესო ნიჭი ღვთაებისა.

— შემცდარი იქნები, თუ ყველა ეგვიპტელები მოღრუბლულნი გეგონებიან, მიუგო ამასისმა. ჩვენი საწმუნოება მართალია სიკვდილზე დაფიქრებას გვიბრძანებს, მაგრამ, ახა, სხვა ისეთი ერი იპოვე, რომ ამისაკით რხუჯი და, დღესასწაულის

დროს, მეტის-მეტად მხიარული იყოს. ქურუმებს უცხო ქვეყნე-  
ლების დანახვა ეჭვავრებათ და ჩემს დაკავშირებას თქვენთან ძა-  
ლიან უგმაყოფილოდ უტყვიან. ის უმაწვილები, რომლებიც  
შენ მოახსენე, ამ ქვეყნის დიდებულთ შვილები არიან და სა-  
შინლად მიწამლავენ სიცოცხლეს. ივინი მე მოსამსახურე მო-  
ნებად მეყანან და უოკელსავე ჩემს სიტყვას ემორჩილებიან.  
ვინც ამ საქმისათვის შვილებს იმეტებენ, უნდა ჩაითვალოს  
მეფის ერთგულ, უურ-მოჭრილ უმებად, რომელსაც ღმერთსა-  
ვით თაყვანსა-სცემენ, მაგრამ დამერწმუნე, კრეზო, რომ სწო-  
რედ ამ ერთგულებაში, რომელსაც ვერც ერთი მმართველი ვერ  
უარ-ჭყოფს, იმალება ცბიერი და ეშმაკური ანგარიში. უკვლა  
ამ უმაწვილთაგანი—ჩემი მოსამსახურეა და თვალ-უურის დამ-  
ჭერი. მათ გაუგებრად ხელსაც ვერ გაგანძვევ, წადგან უოკელ-  
სავე ჩემს მოქმედებას ქურუმებს ატყობინებენ.

— მას რომელი იტან მაგისთანა ცხოვრებას? გაჭყურე კვ  
უმაწვილები და აიჩიე მოსამსახურენი, მაგ. თუ გინდ მეომარ-  
თა წოდებისაგან, რომელნიც შენთვის ქურუმებსედ ნაკლებ სა-  
სარგებლონი არ იქნებიან.

— მე რომ მაგის ასრულება შეემძლოს! სთქვა ამასისმა ძა-  
ღაღის ხმით. შემდეგ მან ისევ ჩუმად დაიწყო, თითქოს თა-  
ვის ხმისა შეეშინდაო:—მე მგონია, რომ ჩვენს ღაზაგას უურს  
უგდებენ. ხვალ ვუბრძანებ, რომ ის ინდის ხურმის ხე ძირიანად  
მოგლიჯონ. ხალში სუიარნობის მოყვარული ახალგაზდა ქურუ-  
მისათვის, რომელიც იქ დაუმიწიებულს ინდის ხურმის ჭკრე-  
ფავს, უფრო სხვა ნაირი ნაყოფია საჭირო, ხინამ ის, რომ-  
ელსაც ჭკრეფს და კალათში ჭყრის. მისი ხელი ნაყოფს აგ-  
როკებს და უური კი—მეფის ნათქვამს სიტყვებს.

— გუფიცები მამა ზეკესს და აზოლონს...

— მე მესმის შენი გაფხავრება და თანაგიგრძნობ; მაგრამ, რა გაეწეობა, ზოგში მანც უნდა დავემოჩინო ქურუმთა სურვილს. მე რომ მათთან ყოველივე გავშირი გავწევიტო, და-მერწმუნე, ჩემს გვამს აღარც კი დამარჩხავენ. მე უნდა გითხრა, რომ ქურუმები ჰსამართლებენ ყველა მიცვალებულს და არ აძლევენ საფლავში მოსვენებას მას, ვისაც დამნაშავედ იცნობენ. შეიძლება ჩემი შეილის პატრიარქით დამმარხონ, მაგრამ ისინი რაგორ მოექცევიან ჩემს გვამს, რომელნიც ჩემს საფლავსად მსხვერპლს შეწირვას აღასრულებენ...

— შენ რა საქმე გაქვს საფლავთან! საბრძანოთ გააწევიტინა კრეზმა საუბარა. სიცოცხლისათვის უნდა იცოცხლო და არა სიკვდილისათვის.

— უმჯობესია მითხრა, უთხრა ამზისმა და წამოდგა ზეზე: — რომ ჩვენ, რომელთაც ბერძნები მოგაწონან, მშვენებრი ცხოვრება დიდს ბედნიერებად მიგვაჩნია; მაგრამ, კრეზო, მამა-ჩემი ეკვიპტული იყო, ეკვიპტელმა დედამ მაწოვა ძუძუ, ეკვიპტის ნიადაგსად აღვიზარდე და თუმიც ზოგიერთა რამ ელინური შეკითვისე, მაგრამ გულთ მანც ეკვიპტული ვარ. ის, რასაც საიმაწილით გიმღერდენ, რასაც წმინდანად სთვლიდენ, ღრმად იბეჭდება გულში და არ აღმოიფხვრება იქამდის, სინამდემისის არტახებს არ შემოგახვევენ. მე მოხუცა ვარ და დიდი მანძილი აღარ არის იმ სამნამდის, რის იქითაც საუკუნო ცხოვრება იწეობა. ნუ თუ მე, რამდენიმე დღის სიცოცხლისათვის, უნდა ჩავიშხამო დაურელებელი ათი ათასი წელი სიკვდილისა? არა, ჩემო მეგობარო, მე ისევ ეკვიპტულად დავრჩი: ჩემ თანამემამულეებსავით მტვიცვდა მრწამს, რომ შენსგა ჩემს გვამისა, რომელიც სულის სადგურია, მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩემი მეორე ცხოვრების კეთილდღეობასთან; მაგრამ კმარა აბ

უმაღლეს საგნებზედ საუბარი, რადგანაც მე დიდი თეოცი მიმი-  
ცია, რომ ყოველივე ესენი არ შუკატუობინო მას, ვისაც მათი  
სიღრმე და დიდებულება შესწავლილი არა აქვს. უმჯობესია ამ  
კითხვასზედ მომიგო პასუხი: როგორ მოგწონს ჩვენი ტაძრე-  
ბი?

კრეზმა ჩაფიქრებით მიუგო:

— პირამიდების ქვების ნამზღველები, თვალ-გადუწვდენელი  
უდაბნოების ნამოქმედარნი მგონია და ტაძრები ტურთა გ-  
ზაფხულის ნაწარმოებნი. ასევე იზიდავენ თავს იეროკლიძე-  
ბი, მაგრამ თავიანთის საიდუმლოებით ცნობის მოყვარე გონე-  
ბას ვი არ იზიდავენ. თქვენი მრავალ-სახოკანი ღმერთების სუ-  
რათები ყველგანა სდგანან; იგინი ყველას თვალში ეჩხირობიან,  
მაგრამ ყველა ვი გრძნობს, რომ იგინი განსხვავდებიან იმის-  
გან, რისიც სურათები არიან; რომ იგინი არიან წარმომადგე-  
ნელნი ღრმა აზრებისა, რომელთაც კაცის გონება კერ მისწვდე-  
ბა. ყველგან ჩემი ცნობის-მოყვარეობა მოქმედობს, მაგრამ ჩე-  
მი თანაგრძნობა ყოველივე მშვენიერებისადმი არ გამყოფილდე-  
ბა. ჩემს გონებას უნდა გაიგოს თქვენთა ბრძენთა საიდუმლოე-  
ბანი, მაგრამ გული და ცნება უნდა მოშორებულად იყოს თქვენს  
ცნებასთან, რომელზედაც დამყარებულა თქვენი აზროვნება,  
ცხოვრება და მოქმედება და რომელიც ტამცნევთ, რომ სიცო-  
ცხლე მოკლე გზა არის, ამ გზას სიკვდილთან მიჭუქვანარ და  
სიკვდილი ვი ნამდილი ცხოვრება არისო!

— სიცოცხლე, რომელსაც დღესასწაულებში ვამკობთ, ჩვენ-  
შიაც თვსობს, უშინიან საფლავისა და ცდილობენ სიკვდილის  
თავიდან აცილებას. ჩვენი ეჭიბები ასე გათქმულები არ იქნებო-  
დენ, თუ რომ არა სცოდნოდათ სიცოცხლის ვაგრძელება.  
მართლა: მე მოძაგონდა თვალის ეჭიბი ნებენხარი, რომელიც

სურსაში მეფეს გაუგზავნე. ვნახათ, როგორ გამოიჩინს თავს. კმაყოფილნი ხართ იმათ?

— ამისთანა წარმომადგენელი შენის ქვეყნის მეცნიერებას ადობებს, მიუგო კრეზმა. — მანვე მიაქცია კამბიზის უურადლება შენის ქალის სიტუროფესად. ნებუნსარამ არა ერთს ბრძას უშეკლას; მაგრამ მეფის დედა, საუბედუროდ, დღევანდლადის კერა ხედავს. ჩვენ მხალხოდ იმას ვსწუხვართ, რომ ასეთი დასჯელობა ნებუელი კაცი მხალხოდ სიბრძავეს არჩენს. როდესაც მეფის ქალი, ათოსი, ცხელებით ავად გახდა, ჩვენ ნებუნსარის კერას გზით ვერ გავაბედინეთ მისთვის ეჭიმური დარიგება მიეცა.

— ეგ ადვილი ასახსნელია, ამისთვის რომ ჩვენი ეჭიმები უოკელთვინ ერთ რომელსამე ნაწილს სხეულისას სწამლობენ. ჩვენ გუგანან უურისა, კბილისა და თვალის ეჭიმები; გუგანან აკრეთვე მოტენილის და შინაგანი ავად-მყოფობის ეჭიმები. არც ერთს კბილის ეჭიმს, ქურუმების უძველესის კანონის ძალით, არ შეუძლიან, უწამლოს ყრუს, არც ერთს მოტენილის ეჭიმს არ შეუძლიან შინაგანს ავად-მყოფობას უწამლოს, თუ გინდ რომ კიდევ კარგად ესმოდეს შინაგანი ავად-მყოფობის წამლობა. ამისთანა კანონების ძალით უნდათ, რომ ეჭიმებმა უფრო საფუძვლიანად შეისწავლონ მეურნეობის ერთ-ერთი ნაწილი; საზოგადოდ ქურუმები, რომელთა რიცხვი ეჭიმებიც ითვლებიან, გულ-მოადგინედ სწავლობენ მეცნიერებას. აგრე იქ არის სახლი უმაღლესის ქურუმის ნეიტოტებისა, რომლის კარსკვლავთ-მრდცხველობის და გაზომვის ცოდნას თვით ზიფაგორიც აქვდა. ეს სახლი იყოფება ღმერთის ნეიტის ტაძრის ახლო. მე მსურს გაჩვენო წმინდა ჭალა თავის დიდებულის ხეებით, ტაძრის მშენიერი სვეტები, რომელნიც ერთის მთლიანს ქვისაგან არიან გაკეთებულნი, მაგრამ, საუბედუროდ, ქუ-

რუმებმა მთხრავს ტაძრების გალავნების იქით არ შეგეყვანოთ. წავიდეთ ახლა ჩემს ცოლთან და ქალებთან; ამით შენ შეგეყვარეს და მე მსურს, რომ შენც შეიყვარო ჩემი საწუალი ქალი, სინამ ამასთან მოგისდება წასვლა შორს უცხო ქვეყანაშიც, რომლის მეფის ცოლადაც იგი უნდა გახდეს. განა, შენ ამას შენის მიფარველობის ქვეშ მიიღებ?

— მაგაში დარწმუნებული იყავ, უთხრა გრეზმა და ჩამოართვა ამზისს ხელი. მე მამობრძვის სიყვარულით მოკუპყრობი შენს ნიტეტისს და მეც ამისათვის საჭირო ვიქნები, რადგანაც სპარსეთის სსასხლის ქალებისათვის დანიშნულს ოთახების იატაკზედ თუნი ადვილად სხლტება. შენს ქალს დიდის პატივისცემით მოუჭევკვან. კამბიზი კმაყოფილი იქნება თავის არჩევანით და ძვირად დააფასებს, რომ შენს მშვენიერს ქალს მას ანდობ, თუმცა ტახტიც ნიტეტისზედ ნაკლები არ არის, მაგრამ მას აკლავს ეს შედიდური ქცევა, რომელიც ნიტეტისს აქვს და შეჭყერის ვიდრე, როგორც სპარსეთის მეფის მომავალს მეუღლეს. ნებუნსარფ მხოლოდ შენს ქალს ტახტზედ დაზარაკობდა.

— მე მაინც ვგზავნა ჩემს მშვენიერს ნიტეტისს; ტახტიც ისეთი სუსტია და ნაზი, რომ არ შეგონა თუ ის მოგზაურობასა და დედ-მამის განშორებას აიტანდა. მე რომ ჩემი გულისათვის დამეჭვრებინა, არც ნიტეტისი უნდა გამეგზავნა სპარსეთში. მაგრამ ეგვიპტე მშვიდობიანობაში საჭიროებს და მეფე უფრო ადრე გაგხდის, სინამ ამას!

## V

სპარსეთის ელჩების უკუა მსჯელებნი სასიდაძმ ნილით შირამიდებთან მოვიდენ; მხოლოდ ვრეჟსასში დაბრუნდა სპარსეთში, რომ შეეტოვებინა კამბიზისათვის ქორწილის მშვიდობიანად გათავება.

ამაზისის სასახლეში უკუვლან მოძრაობა იყო. კამბიზის ელჩის მსჯელებით, რომელნიც 300 კაცი იყო, სავსე იყო სასახლის უკუა ოთახები. ეზო სავსე იყო დიდებულებითა და ქმეიგებით, ახალგაზდა ქურუმებით და მონებით, რომელნიც მდიდრულად იყვნენ დატოულნი.

რადგან ამ დღეს დღესასწაულად იქნა თავის ქალის ნიშნობის გამო, ამისათვის მეფეს უნდოდა ამ დღეს თავი გამოჩინა თავის სასახლის სიდიდრით და ბრწყინვალეობით.

სტუმრების მისაღები დაწაზი ისე გაბრწყინვალეული და მდიდრულად მოწოდებული იყო, რომ კაცის თავს სიბლავდა. კედლებზედ, რომელნიც სურათებითა და იეროგლიფის ნიშნებით იყო აჭრელებული, ფერად-ფერადი ლამაზები ეკიდა და მზის სხივისავე აბრწყინვალეობა ფერად შუშებიანს ფანჯრებს. ზღლის სკეტების შორის იდგნენ ბვირფასი ხეხილები, ალიანდრები, ბზისა, ბროწყულისა და ფორთოხნაღის ხეები და საუკეთესო ვარდები, ხეხილების იქით შემუსიკენი ისხდნენ, რომელნიც უოკლეს სტუმარს სასიამოვნო ხმის დაკვრით ეკებებოდნენ.

ოთახის შუა სტოლები იდგნენ, რომლებზედაც ეწყო ტბილეული, ხილით სავსე კალათები, ოქროს აზარფები და ფერადი შუშის ვაზები. სტოლების გვერდით იდგნენ მდიდრულად ჩაცმული მოხლები, რომელთაც მიჰქონდათ სტუმრებთან საჭმე-

ლები. ეს სტუმრები ზოგი ფეხზედ იდგნენ და მუსაიფობდნენ და ზოგნი ძვირფას სელებზედ ისხდნენ.

საზოგადოება შესდგებოდა ქალებისა და კაცებისაგან. ქალებს შესვლის დროს ახალგაზდა ქურუმები ვარდის გონებს აძლევდნენ, ხოლო დიდებულთ ახალგაზდა შვილებს კი თან მოჭქონდათ უკავილები და სთავაზობდნენ თავიანთ გულის სატროფოს.

ეგვიპტელები ძალიან თავაზიანად და მოწინებით ექცევოდნენ ქალებს, რომელთა შორის ლამაზები ძალიან ცოტანი იყვნენ. მაგრამ ვინც იყვნენ, უკელას სელებზედ ოქროს სამაჯურები ჭქონდათ და ფეხები, ეგვიპტის ჩვეულებისამებრ, წითლად შეღებილი. ტანსაცმელიც ძალიან მდიდრული ეცვათ, სულ ძვირფასის ფარისა; ზოგს ისეთი კაბა ეცვა, რომ გულის მარჯვენა მხარე სრულიად ტიტული ჭქონდა.

როგორც კაცებ შორის, სილამაზით, სზარსუთის თავადი ბარტია ირჩეოდა, ისე ქალებში ნიტეტისი, ფარაონის ქალი, ეგვიპტის უკელა ქალებსა სჯობდა. მეფის ქალი თავის ვარდის ფერის კაბით და თმებში დატანებული უკავილებით თავის დის გვერდით დადიოდა და ისეთი ფერ-მკრთალი იყო. როგორც დაფეთქილი უკავილი, რომელიც იმის ღედასა ჭქონდა თმაში გაკეთებული.

დედოფალი ლადისა, ჩამომავლობით ბერძენი, ბატოს ვირენელის ქალი, ამაზისის გვერდით იდგა და ახალგაზდა სზარსელებს თავის შვილებს აცნობებდა. მას თავზედ ედგა ოქროს გველი—ეგვიპტელთა დედოფლების თავის მოსართავი. სახეზედ კეთილშობილება და მიმგებლობა ეტყობოდა, და უფაგლივკ მისი მოძრაობა განჩვენებდათ, რომ იგი აჩის მექონი გრაციისა, რომელსაც მხოლოდ ელინუკი აღზრდა აძლევს.

თავის მეორე ცოლის ტენტხეტის შემდეგ, რომელიც ებკიპტელი ქალი იყო და დედა ტახტის მემკვიდრის ფსამპტი-ხისა, ამასისმა შეუღლედ ეს ქალი ამოაჩნია ბერძნების სიყვარულის გამე და ქურუმთა გამოჯანულებით.

ლადისის ახლას მდგომარე რი ქალი, ტახტი და ნიტეტისი, ტყუუბად ითვლებოდენ. მაგრამ მათში არ იყო არავითარი ისეთი მსგავსებება, რომ მათი ტყუუბად დახადება გვეფიქრნა.

ტახტი ქერა იყო, ლურჯ თვალებიანი, მოძვრო ტახისა და კარგის აკუბულებისა, ნიტეტისი კი მალაღი და სრულად, შავის თვალებითა და თმებით და ყოველ მოძვრობაში მეფური ჩამომავლობა ეტყობოდა.

— რა ნაირი ფერ-მკრთალი ხარ, ჩემო ქალი, უთხრა ლადისმა და აკოცა ნიტეტის ღოყაზედ. გამხიარულდი და მომავალი გწყაბდეს. მე მოვიყვანე შენთან ძმა მომავლის შენის ქმრისა, კეთილშობილი ბარტია.

ნიტეტისმა აიღო მალა თავის შავი თვალები და დიდ ხანს აკვირდებოდა მშვენებურს ახალგაზდას. უკანასკნელმა მდაბლად თავი დაუქრა, აწითლებულის ქალის ტანსაცმელს აკოცა და უთხრა:

— გებეუბი შენ, როგორც მომავალს ჩემს დედოფალს და დას. მწყაბს, რომ შენი გული იტანჯება სამშობლოს, მშობლების, ძმებისა და დების მოშორებით; მაგრამ ნუ იწუხებ, ამისათვის რომ შენი საქმრო დიდი გმიროს და ძლიერი მეფე; ჩვენი დედა კასანდრანა — დედა-კაცთა შორის ერთი უკეთესთაგანია და ქალის სილამაზე და გულ-კეთილობა შატრე-ცემულის სპარსეთში ისე, როგორც მზის ნათელი, რომელიც სიცოცხლეს ჭყენს ქვეყნებობას. შენთან კი ახ ნიტეტისის დედა,

რომელსაც მინდა მასთან ერთად **«გარდა»** დაეძინოს, ბო-  
დიშს ვინდო, რომ მოკვდიოთ და გაშორებთ საუკეთესო მეგობარს.

ახალ-გაზდა სპარსული დანტქერდა ლურჯს თვალებს მშვენიერის ტანოტისას, რომელმაც დაიდო გულზედ ხელი, მდუმარედ დაუჭრა თავი და დიდ ხანს არ ამოარება თვალს მიმავალს ბარტას, როდესაც ამისისმა წაიყვანა იგი მოთამაშე ქალების სჩვენებლად. მოთამაშე ქალებს მხოლოდ სუბუქი მატყრის იუბკები ეცვათ და მათი მოქნილი ტანი ირხეოდა საკრავის ხმაზედ. ამათ შეძლეგ გამოვიდნენ ასპარეზზედ ეკვიპტის მოძღვრელები და მანქანები.

ბოლოს ზოგიერთა სასახლას-კაცნი დაჩბაზიდად გავიდნენ მხოლოდ ჯარის უფროსნი, სპარსეთის საელჩოს კაცნი და ზოგიერთი დიდბუღნი მეჯლისის გამგემ დაიჭირა და შეიყვანა შვირთისად მოკოთულს. ოთახში, სადაც სუფრა საბუქმნეთის გემოზედ იყო გაშლილი ხელახლად ღებინის გასაჩაღებლად.

ამისისმა ძალაღს სელზედ იჯდა სუფრის თავში; მარცხნივ მოხუცებული კრეზი, აქვე იყვნენ ნაცნობი მეგობრები შოლოკრატისა, თევდორე და ივიგო, ზრეთვე ჯარის ახალი უფროსი არისტომანი.

ამისისმა, რომელმაც აქ ამას წინად კრეზს, ღინჯად ელაშანაკებოდა, ესლა ხუმრობა დაუწყო. გვერდებოდა, რომ იგი კვალად გაუმაწვილდა და ძველებურ მხიარულ აფიცრად გადაიქცა. იგი ძალიან ოხუჯობდა და ხუმრობდა თავის სტუმრების შესახებ; სტუმრებიც გულთანად იცინოდნენ; თასი თასზედ იცლებოდა და მხიარულობა მეტის-მეტად გაჩაღდა; ამ დროს სუფრის გამგებელი გამოჩნდა ოქროში დათყრილას. შატრის მიმართ, იგი აჩვენა სტუმრებს და უთხრა:

— დადიეთ, იხუმრეთ და იმხიარულეთ, ამისთვის რომ ძალიან ძალე ყველანამ ამ მუმიას დაემსგავსებოთ.

— მხიარულობის დროს სიკვდილის მოგონება თქვენში ჩვეულებად იქნება? ჭკითხა მას ბარტიამ და მცირედ დაღონდა, — ან იქნება შენმა სუფრის გამგებელმა გაბედა ამისთანა ხუმრობა?

ძველადგანვე, მიუგო ამასმას, მიღებულია ამისთანა მუმიების ჩვენება, რომ მოქვიფეთ უფრო ადუქნათ სიმხიარულის მადა, რომ მათ მოიგონონ სიკვდილი, დაუშურნენ სიცოცხლით დატკობას, სინამ დრო არის. შენ, ახალ-გაზდა მოქვიფეს, ჯერ კიდევ ბევრი დრო გაქვს საქვიფოდ; მაგრამ ჩვენ, მოხუცებულები, მეგობარო კრეზო, ამ სიკვდილის მოგონებას უნდა ჩაუფიქრდეთ. მერიქიფევ, დროით ალავსე ფიქლები, რომ არც ერთმა ჩვენი სიცოცხლის წამმა უნაყოფოდ არ განგლოს! როგორა სვამ, ახალ-გაზდა სპარსელო! ღმერთებს შენთვის ისეთივე დიდი ყელი მოუციათ სასძელის ჩასაყლანად, როგორც მშენიერი თვალები და უმშენიერესი სიტურფი! მადი ერთი გაგონო მომხიბლავო ახალ-გაზდაკ, უარგისო ყმაწვილო! ჩემი ქალი ტახოტი სხვა აღარავიფედ ლაპარაკობს, თუ არ ამ უსუსურზედ, რომელმაც მოხიბლა იგი პირველად ნაზის ცქერით და შემდეგ გრძნეულის სიტყვებით. რადა სწითლდება, ახალ-გაზდა ქარაფუფუტა! შენისთანა ახალ-გაზდას ნება აქვს დააჩქრდეს ხელმწიფის ქალებს; მაგრამ შენ, თუ გინდ თვით მამა-შენი კირი იყო, მაშინაც არ გაგატანდი ჩემს ქალს სპარსეთში.

— მამა! უთხრა ჩუმიად ხელმწიფეს ტახტის შემკვიდრე ფსამეტისმა და შეაწვევტინა ლაპარაკი. — მამა, ენას ბევრს ნებას ხუ აძლევ და მოიგონე ჭანესი.

მეუკემ შეჭმეხვნით შეხედა შეიღეს, ქეითი წახედა და ამის შემდეგ მსოფლად ხანდისხან იღებდა ლაპარაკში მოხაწი-  
ლეობას.

ახისტომასხი, რომელიც კრეზის პირდაპირ იჯდა, სხარ-  
სელებს თვალს არ აშორებდა, ხმას არ იღებდა და არც ამ-  
ზისის სუმრობაზედ იცინოდა. როგორც კი ფარაონი გაჩემ-  
და, მან თამამად ჰკითხა კრეზს:

— მე მსურს გაგიგო, ლიდიელო, თოვლი მოდიოდა მთე-  
ზედ, ოდეს სხარსეთიდან წამოხვედით?

ამ საკვირველის სიტყვებით გაოცებულმა კრეზმა, ღიმი-  
ლით უპასუხა:

— მომეტებული ნაწილი მთებისა მწკანით იყო შემოსილი,  
როდესაც ჩვენ ამ ოთხის თვის წინად ეგვიპტეში წამოგე-  
დით; მაგრამ კამბიზის სახელმწიფოში ისეთი მთებიც არიან,  
რომლებზედაც თოვლი დიდს სიცხეშიაც არა სდნება, და ეს  
მთები თუთრად ბრწყინავდენ, როდესაც მოკდიოდით.

სხარტანელს სახეზედ მხიარულება დაეტეო. კრეზმა,  
რომელსაც ეს დამკვიდრე კაცე მოეწონა, ჰკითხა მას სა-  
ხელი.

— მე ახისტომასხი მქვია.

— შენი სახელი თითქოს მაგონდება.

— შენ ბეკრს ელინელს იცნობდი და ბეკრს მათგანს ჩემი  
სახელი ერქვა.

— როგორც ლაპარაკზედ გეტყობა, შენ დორიის მოდგმის  
ერს უნდა ეკუთვნოდე; სხარტანელი ხომ არა ხარ?

— წინად ვიყავ.

— ესა?

— ის, ვინც ნება-დაურთველად სამშობლოს დასტოვებს, სიკვდილის ღირსია.

— შენ შენის ნებით დასტოვე სამშობლო?

— დიაღ.

— რადა?

— რომ შეურაცხებას მოკშორებოდი.

— მერე ცუდი რა ჰქენი?

— არაფერი.

— მაშ უსამართლოდ შეგწამეს დანაშაული?

— დიაღ.

— ვინ იყო შენი უბედურების მიზეზი?

— შენა.

კრეზი შესტა. სპარტანელის დინჯის ლაშარაკმა და მოჭმუხნილმა სახემ აფიქრებინა, რომ იგი არა ხუმრობდა.

ეგელა იქ მჯდომნიც შეშინდნენ და სთხოვეს არისტო-მასს განემარტა თავისი სატყუები.

სპარტანელი უყოობდა. ეტყობოდა, რომ მას ლაშარაკი არ ესამოკნებოდა; მაგრამ როდესაც შეთქმნულ სთხოვა, მან დაიწყო ასე:

— შენ, კრეზო, დაუჭერე ორაკულის სიტყვას და ჩვენ, ლაკედემონელი, როგორც უძღაერესნი, ამოგვიჩნიე შენს მომხრედ სპარსეთის წინააღმდეგ, რისათვისაც გუაჩუქე ოქროს აპოლონ გერმესის ტაძრისათვის, რომელიც აშენებულა ძორჩესის მთაზედ. ამისათვის უძღაერებო გუადანწუგბტეს ეჩუქებინათ შენთვის ძალიან დიდი ჭურჭელი, საგულის-გულოდ სპილენძისაგან გაკეთებული, რომ სასძელი შეგენახს. ამ ჭურჭლის მოსაწოდებლად შე ამომიჩნიეს. სინამ ჩვენ სარდესამდის მოვიდოდით, ჩვენნი ტუმი და მასთან ჭურჭელიც ქარიშხალმა დაღუპა ზღვაში. ჩვენ

მხრად ჩვენი თავები გადავარჩინეთ და სამსამდის მოვედით. როდესაც სამშობლოში დავბრუნდით, მე ცილი დამწამეს, ვითომც გემი და ჭურჭელი სამოსელის ვაჭრობისთვის ძამეუიდავს. მაგრამ რადგანაც დანაშაული ვერ დამიმტკიცეს და ჩემი დაღუპვა ვი უნდოდით, ამისათვის გადამიწყვიტეს სამარცხინო სვეტის ძირში ორზოდ დღე და ღამე დაკმდგარიყავ. სინამ ჩემი შეურაცხების დილა დადგებოდა, ჩემი ძმა მოვიდა ჩემთან და იღუძალად ხმალი მომცა. მე თავი უნდა მოშეკვია, რომ შეურაცხებას გადავრჩენილიყავ. ვერ მოვიკვალ თავი, რადგანაც ჩემის მტრების ჯვრის ამოყრა მინდოდა, ამისათვის მე თვით მოვიჭერ სვეტზედ მიბმული ჩემი ფეხი და ევროტოსის ჩაღიანში დავიმალე. ჩემს ძმას ჩემად მოჭედიდა და სასმელ-საჭმელი. ორი თვის შემდეგ მე ამ ხას ფეხით სიარული შევიძლეთ. ჩემს მაგივრად ახლოვნმა ამოიყარა ჯვარი, რადგანაც ჭინძა ჩემი მტრები სრულად გაწყვიტა. თუმიცა იგინი დაიხრცნენ, მაგრამ მე მაინც ვერ დავბრუნდი სამშობლოში. გიძიუმში მე გემში ჩაკვავი, რომ შენთან ერთად, ვკრზო, სპარსელების წინააღმდეგ მებრძოლა. როდესაც ტაოსში ნაპირს მივაგუქი, გავიგე, რომ შენ ხელმწიფე აღარ იყავ. ძრეულმა კირმა, ამ მშენიერი უმაწილის მამამ, რამდენსამე კვირას დაიმორჩილა ძლიერი ლილია და უმდიდრესი მეფე დარბად განსადა.

უველა მოჭეიფენი გაკვირვებთ უცქეროდენ არისტომასს. ვკრზმა მას ხელი ჩამოართვა და ხსალ-გაზდა ბარტამ სთქვა: — სწორედ რომ სპარტანელი ხარ, მე მინდა ჩემთან სურხაში წამოხვიდე. ვუთხრა ჩემს მეგობრებს, რომ ვნახე ისეთი მამაცი და პატროსანი გარდ, რომლისთანაც ძნელად თუ შეიძლება.

— მეწმუნეთ, უმაწვილო, რომ უოკელა სპარტანელი ჩემსაკით მოიქცეოდა. ჩვენს ქვეყანაში უფრო დიდი გამბედაობაა. საჭირო იმისთვის, რომ მხდალი იყო, სინამ იმისთვის, რომ გმირო იყო.

— და შენ, ბარტიაკ, უთხრა დარბი, სპარსეთის მეფის ბიძაშვილია:— განა აიტანდი შეურაცხებას—სვეტთან დგომას?

ბარტიაკ გაწითლდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ისიც სვეტთან დგომას სიკვდილს აჩქევდა.

— შენა, ზოპირა? ჭკითხა დარბი მესამე სპარსელს ახალგაზდას.

— მე მხოლოდ შენი სიუვარულით დავიმასინჯებდი თავს და ჩამოართვა თავის მეგობრებს ხელი.

ზსამეტიან ახალგაზდა გმირებს დაცინვით უუურობდა; კრეზო, გიგესი და ამასისა სიამოვნებით; ეგვიპტელები ერთმანეთს უუურობდნენ, ხოლო სპარტანელი კი მხიარულად იცინოდა.

ესა ივიკმა სთქვა ორაკელის წინასწარმეტყველება, რომ არისტომასნი სამშობლოში დაბრუნდება, როდესაც მალაღ დათოვლილ მთებიდამ ხალხი მოვა, ამასთანავე ახსენა როდოპისის სტუმრის მოყვარე სახლი.

ფსამეტიანი უსამოვნოდ გახდა როდოპისის ხსენებაზე; კრეზმა გამაცხსნადა სურვილი გაეცნო ფრანკიელი მოხუცი ქალაქი, რომელსედაც ეზოში ბერს კარგს ელაზარაკებოდა, და როდესაც დამთვრალთ დაჩაზი დაუტევეს, მამინ ტახტიდამ გადმოგდებულმა მეფემ, პოეტმა, მექანდაკემ და სპარტანელმა პირობა დადეს მეორე დღეს ნაუგრატიისში წასულიყვნენ, რომ დამტკბარყვნენ როდოპისის ღაზარაკით.

## VI

აღწერილი ღვინის ღამეს მეფე ამაზისს სამი საათის მოსვენება ძლივსა ჰქონდა. როგორც სხვა დღეს, ესლაც, მძიმეობა იფიქრეს თუ არა, უმაწვილმა ქურუმებმა გააღვიძეს იგი. აბანაკეს, შემოსეს მეფურის ტანისამოსით და მიიყვანეს სასახლის ტაძარში, სადაც მან, ერის დასანახავად, ჩვეულებრივი მსხვერპლი შესწირა; უმაღლესი ქურუმი კი ძალადის ხმით ღოცვებს გალობდა, სთვლიდა მეფის კეთილს საქმეებს და ყოველსავე მოხდენილს ცოდვს მეფის მჩრეკლებს აბრალებდა, რომ მეფე არ გაეკიდნათ.

როგორც ყოველთვის, ქურუმები ამხნეებდნენ მას კეთილს საქმეებში, უკითხავდნენ სასარგებლო წიგნებს და შემდეგ წაიყვანეს ოთახში, სადაც მოხსენდა მთელი სახელმწიფოს ვითარება.

ამ ცერემონიებს, რომელნიც ყოველ-დღე ხდებოდა, ამაზისი წმინდად ასრულებდა, აგრეთვე სვინიდიისანად საქმობდა დბნიშნულს საათზედ, მაგრამ საქმის შემდეგ დარჩენილს დროს თავის ქეიფზედ ატარებდა, განსწკუთრებით მხიარულს საზოგადოებაში.

ამისათვის ქურუმები ჰკიცხავდნენ მას, რომ ვითომც იგი მეფურად არა სცხოვრობდა; მაგრამ უკთხელ განრისხებულს უმაღლეს ქურუმს უთხრა: აუუერე ამ შვილდ-ისარს; თუ რომ ყოველთვის გასჭიმამ, მაღე გაწუდება და დაჰკარგავს თავის ძალას. ხოლო თუ მხოლოდ ნახევარს დღეს იხმარებ და შემდეგ დაასვენებ, მაშინ იგი მაგარი იქნება და საქმეშიაც გაძაგდება იქამდის, სანამ არ გაწუდება.

ამაზისმა ის იყო მოაწერა ერთს ქალღმერთს ხელი, რომლის ძალითაც ერთს მოხელეს აძლევდა ნებას წყალ-დიდობისაგან დაზიანებული ნაწილების გამაგრებისას, რომ მოსამსახურებ მოახსენა: ტახტის შემკვიდრე მსამეტისი გახსნათ და თქვენთან რამდენსავე წიხს მოლაპარაკება უნდა.

ამაზისმა, რომელმაც სასიამოვნო ამბები მიიღო მთელის სახელმწიფოს ნაწილებიდან, მხიარულად მიიღო მოსამსახურის მოხსენება, მაგრამ მალე ჩაფიქრდა. შემდეგ რამდენიმე ხნის სიჩუმისა, უბრძანა:

— წადი და სთხარე ტახტის შემკვიდრეს შემოვიდეს.

მსამეტისმა, როგორც ყოველთვის, თერ-მერთაღმა და დაღვრემილმა, შევიდა თუ არა მამასთან, მსამეტის-ცემით დაუგონა თავი.

ამაზისმა გაჟავრებით ჭკითხა:

— რა გინდა შენ ჩემგან? მე ჩემი დრო განაწილებული მაქვს.

— განსაკუთრებით შენი შვილისათვის; მიუგო თსამეტისმა და ტუჩები აუგანგაღდა. — შვიდ-ჯერა გთხარე დიდი მოწყალების მოღება, რომელიც მხოლოდ დღეს მივიღე.

— უკედრებას თავი დაანებე! მე მივხვდი შენი მოსვლის მიზეზს. შენ გინდა განმარტო შენი ეჭვები ნიტეტისის ჩამოშვლების შესახებ.

— მე ცნობის-მოუკარე არ ვხსენავარ და უფრო ამისთვის მოკედი, შეგატულობინო და მოგაკონო, რომ, ჩემს გარდა ეს საიდუმლოება სხვამაც იცის!

— ჭანესმა?

— მაშ სხვამ ვინ? აგი, განდევნილი ეკვიპტიდან და თავის სამშობლოდან, რამდენიმე დღის შემდეგ ნაუგონისადაც წავა.

ვინ გიძგება თავდებად, რომ იგი სპარსეთის წინაშე არ გაგვრემს?

— გულ-კეთილობა და შეგობრობა, რომელსაც მე მას უფლეთის საქმით ვუმტკიცებდი.

— მას შენ ხალხის პატივის-ცემა გწამს?

— არა, მაგრამ მე მრწამს ჩემი ნიჭიერება, რომლის ძალითაც ხალხს კარგად ვცნობილობ. ჭანესი ჩვენ არ გვიღალატებს! გიმეორებ, რომ იგი ჩემი შეგობარაა.

— იქნება შენი შეგობარი იყოფს, მაგრამ ჩემი კი დაუძინებელი მტერია.

— მას შოკრადე. მე კი იმისი არ მეშინიან.

— შენ გი არა, ჩვენს სამშობლოს! ო, მამა-ჩემო, იფიქრე მასზედ, რომ მე გეჟავრები, როგორც შვილი, მაგრამ მანც ახლო უნდა ვიყო შენს გულთან, როგორც ეგვიპტის მომავალი. იფიქრე, რომ შენი საიკვდილის შემდეგ, რომლისაგანც დაგიხსნან დმერთებმა მრავალს წელს, — მე, როგორც ესლა შენ, ვიქნები წარმომადგენელი ამ საკვირველის ქვეყნის აწმყოფისი, რომ მომავალში ტახტიდამ ჩემი გადმოგდება ეგვიპტისა და შენის სახლის დაღუბვა იქნება.

ამაჩისი თან და თან ფიქრიანდებოდა, ფსამეტიხმა კი გულ-მხურვალედ განაგრძო:

— შენ უნდა დამეთანხმო და დამეთანხმები კიდევ, რომ მე მართალი ვარ! იმ ჭანესის ხელშია გადასცეს ჩვენი ქვეყანა რომელსაც გინდა გარეშე მტერს, ამისთვის, რომ მან ეს ქვეყანა ისევე კარგად იცის, როგორც მე და შენ. ამას გარდა, მან იცის საიდუმლოება, რომლის გამოაშკარავებითაც ჩვენს მიმხრეს ძლიერს სახელმწიფოს მტრად გადაგვიქცევს.

— შენა სცდები! ნიტეტისი თუმიცა ჩემი შვილი არ არის,

მაგრამ მაინც მეუფის შვილია და თავის ქმრის გულის ადვილად მიიზიდავს.

— თუ გინდ რომ იგი რომელიმე ღმერთის ქალიც იყოს, მაშინაც კი კამბიზი, გაიგებს თუ არა საიდუმლოებას, მტრად გაგვიხდება; შენ ხომ კარგად იცი, რომ სპარსელებს სიცრუე უდიდეს დანაშაულად მიაჩნიათ და მოტყუება დიდ სირცხვილად უჩნთ. შენ კი იმათგან ყველაზედ ამპარტაკანი და ძლიერი მოატყუე, და რას გააწყობს მარტო გამოუცდელი ქალი იქ, სადაც სხვა უფრო ბევრი ქალები ახვევიან მეუფეს, მანქანებითა და ცბიერებით ხავსენა?

— განა მართალია, რომ სიმძულვარე და ჯავრის ამოყრა მჭევრ-მეტყუელების საუკეთესო ოსტატია არიან? ჰკითხა მკვახელ ამაზისმა. უტუნ-ურო შვილი, ნუ თუ შენა გგონია, რომ ამისთანა ძნელი საქმე მოუთმობრებლად დავიწყე? დაუჭანესმა თუ გინდ დღესვე უამბოს სპარსელებს ის, რაც მან კარგადაც არ იცის და დამტკიცებით კი ვერ დამტკიცებს! მე—მამამ და ლადისა—დღემ უფრო უკედ უნდა ვიცოდეთ, ვინც არის ჩვენი შვილი. ჩვენ ორივენი ნიტეტისს ჩვენს შვილს ვეძახით; ვინ გაბედავს სთქვას, რომ ეს სიცრუეა? თუ რომ ჭანესა, სპარსელებს გარდა, სხვა მტრებსაც შეატყობინებს ჩვენს სუსტს მხარეს, და შეატყობინოს; მე არავისი მეშინიან! ნუ თუ შენ გინდა დამითანხმო ამ კაცის დასაღუპად, რომელსაც ჩემთვის სიკეთის მეტი არა უჭნია-რს და რომელიც ათს წელიწადს ერთგულად შემსახურა? გეუბნები, რომ დაღუპვის ნაცვლად, მე მზად ვარ ყოველივე შემწეობა ამოუჩინო, რომ გადავარჩინო შენს შურის-ძიებას, რომლის საზიზღარა მიზნად მე კარგად ვიცი.

— მამა!

— შენ გინდა დაღუპო ეს კაცი იმისთვის, რომ მან შეგაშალა სული ძალად მოგეტაცნა ნაუკრატისიდან როდობისის შვილის-შვილი, იმისთვის რომ ის ჯარების უფროსად დავნიშნე, როდესაც შენ ამ თანამდებობისათვის უნიჭო გამოდექი. ჭკვითღლები? სწორედ მადლობელი ვარ ძანესისა, რომ წინადაკე შემატყობინა შენი საზიზღარი განზრახვანი და ამით მომიტო შემთხვევა მიმეზიდნა გული იმ ხალხისა, რომელიც შეადგინს ჩემს ტახტის ძლიერებას და რომელსაც როდობისი ძვირად უღირს.

— მამა, როგორ შეიძლება უცხო ქვეყნელების აგრე ქება და ეგვიპტის ძველი დიდების დაკვიწება! გამლანძღე მე, რამდენიც გნებაგდეს; მე ვიცი, რომ არ გიყვარვარ, მაგრამ იმას ვინუ ოტყვი, რომ ჩვენი დიდებისათვის უცხო ქვეყნელნი საჭირონი არიან. გადაათვალიერე ჩვენი ისტორია! როდის ვიყავით ყველაზედ ძლიერნი? მაშინ, როდესაც უკვლავ უცხო ქვეყნელისათვის ეგვიპტის კარები დაკეტილი იყო; როდესაც ჩვენის ფეხით დაკდიოდით, გვწამდა ჩვენი ძლიერება და ვცხოვრობდით ჩვენის ღმერთების და მამა-პაპათ ძველის კანონებისა მებრ. ის დრონი მოწამენი იყვნენ რამისე დიდის ძლიერებისა, რომელმაც დაუმოწმიდა ჩვენს ძველა-მოსილს იარაღს უშორესნი ქვეყანანი; ის დრონი იყვნენ მოწამენი, რომ მთელი ქვეყანა ეგვიპტეს უძლიერეს სახელმწიფოდ სთვლიდა დედა-მინის ზურგზედ. ესლა რაღა ვართ ჩვენა? თვით შენის პირიდან მესმის, რომ შენ უცხო ქვეყნელ ღარიბ-ღატაკთ «სახელმწიფოს ზურგდა სთვლი; მე ვხედავ, თუ შენ, მეფე, როგორ ცრუობ, რომ მოიპოვო იმ ერთა ძეგლობა, რომლებზედაც არა ერთხელ გაგვიმარჯვნია იქამდის, სინამ უცხო ქვეყნელები ნადროსის ნაპირებზედ არ გამოჩნდენ. ეგვიპტის ქვეყანა მდიდრად

იყო მორთული და ძლიერიც იყო, ესლან კი იგი ფერ-წასულია და ზიზილ-პიპილებით მორთულია, რაგორც რასკაში დედა-კაცი.

— ენა დაიმოკლე! დაუუვირა ამისა და ფეხები დაუბრახუნა. ეკვიპტეს თავის დღეშიც არ უნახავს ამისთანა დიდება და აუვაკება! რამესემა გადიტანა ჩვენი იარაღი შორეულს ქვეუნიებში და სისხლის ღვრით დაიმორჩილა ზოგიერთა ხალხნი; მაგრამ მე კი ის მოვასურს, რომ ჩვენი ქვეუნი ნაწარმოები მიდის შორეულს ქვეუნიებში და სისხლის ნაცვლად სიძლიერე და საუნჯე მოაქვს ჩვენთან. რამესემა თავის ქვეშევრდომებს სისხლსა და რთულს აღკრეინებდა თავის სახელის დიდებისათვის, მე კი ის მოვასურს, რომ სისხლი უბრალო საქმისათვის არ იღვრება, რთული კი ყოველ მუშაობის დროს და რომ ყოველი მოქალაქე სიკვდილამდის უშიშრად და ბედნიერად სცხოვრობს. ნილოსის ნაპირებზედ ათი ათასი ადგილია მჭიდროდ დასახლებული, არც ერთი მტკაველი მიწა შეუმუშავებელი არ დარჩენილა, არც ერთი ბავშვი ეკვიპტეში არ მოიპოვება, რომ განონის მიფარველობის ქვეშ არ იყოს, ვერც ერთი ავაზაკი ვერ დაქმალბა ფხიზელს მთავრობას. თუ რომ ჩვენ მტრები დაგვეტყვიან, მაშინ, ჩვენი ციხეების, ზღვებისა, უდაბნოების და საკუთრად ეკვიპტის ჯარის გარდა, ჩვენა გვეყვანს საუკეთესო მეომარნი—სამი ათასი ელინი. ასეთად ჩვენი ეკვიპტის საქმეები. რამესემის დროს ბევრი სისხლი დაიღვარა ეკვიპტეში, მაგრამ დიდებული მაინც არ იყო; ესლან კი ნამდვილად და უტყუარად დიდებულია და ბედნიერი და ყოველივე ამის მიზეზი მე ვარ.

— მე მაინც ვეტყვი, უთხრა შემკვიდრემ, რომ ეკვიპტეზე, რომლის ტოტებსაც ჭია გასჩენია და დღესა თუ ხვალ სრულიად გაანადგობს. რქოსა და ვერცხლის მოპოვების სურ-

ვილმა, მდიდრულად და ბრწინვალად ცხოვრებამ ყველას გული წაუხდინა. უცხო ქვეყნულთ მდიდრულმა ცხოვრებამ სრულიად ბოლო მოუღო ჩვენს მარტივს შნე-ჩვეულებას. ხშირად მესმის რომ ეკვიპტელნი, ელინებისგან გარყვნილნი, დასცინიან უძველეს ღმერთებს; ჩხუბი და აყაღმყაღი ჩამოკარდა ქურუმების და მეომრების შორის. უცხო ქვეყნელნი და ეკვიპტელნი ყოველს ცისმარე დღეს ჩხუბობენ. მწვემსი და სამწესო ერთმანეთში ჩხუბობენ; სახელმწიფოს წისკვილის ერთი ქვა მეორე ქვას ამტკრეკს იქამდის, სინამ ორივენი მტკრად არ იტყვიანდოდ, მამა-ჩემო, თუ ყოველისთვის დღეს არ ვიტყვი, სხვა დროს თქმა აღარ შეიძლება მისი, რაც ჩემს გულს აწუხებს! იმ დროს, როდესაც შენ სახელმწიფოს ბურჯს — ქურუმთა წოდებას ებრძოდი, გულ-მშვიდად უყურებდი ნორჩი სპარსეთის სახელმწიფოს გაძლიერებას, რომელმაც მრავალი ქვეყნები დაიმონა და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გაძლიერდა. იმის მაგივრად, რომ დახმარებოდი ღიადილებს და ბაბილონელებს, როგორც წინა პირველად გინდოდა, შენ ეხმარებოდი ბერძნებს მათის ცრუ-ღმერთებისათვის ტამრების ასაშენებლად. მაგრამ როდესაც ყოველივე წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო, როდესაც სპარსეთმა ნახეარ ქვეყანა დაიპყრო და, რაც ნებადა, იმას სთხოვდა ყველა ხელმწიფეთ. მაშინ უკვდავმა ღმერთებმა ერთხელ კიდევ მოისურვეს შენი შველა ეკვიპტის დასახსნელად. კამბიზი დაინიშნა შენს ქალზედ; მაგრამ შენის სასურსის გამო ვერ გაიმეტე შენი ქალი შეგვიწირა მთელი სახელმწიფოს ბედნიერებისათვის და უგზავნი სხვა ქალს, რომელიც შენი შვილი არ არის; ამას გარდა შენის უხასიათობით იფარავ იმ უცხო ქვეყნულს ვაცს, რომელსაც ხელთ უჭირავს შენი სახელმწიფოს ბედი და უბედობა; თუ რომ იგი უფ-

რო ადრე არ დაირღვა შინაურის აჩუქების გამო!

აქამდის ამაზისი, სიბრძნისგან გაუვითლებული, უფროს უგდებდა შვილის დაპაჩაკს. მაგრამ ესლა კი კვლავ მართმინა და სახიანის ხმით შეჭყვიანა:

— შენ იცი, ვინ უნდა გამეწირო სასიკვდილოდ, თუ რომ ჩემი შვილები და ჩემგან დაარსებული სახელმწიფო სახლი უფრო ძვირად არა მღირებოდა, სინამ ამ ქვეყნის კეთილ-გან-განწყობილება? იცი, შენა, ტრახასა და გესლიანის გულის პატრონო შვილო, ვინ არის ის კაცი, რომელიც ამ მშვენიერის უძველესის სამეფოს დამტყვევი შეიქმნება? ეს შენ თვითონა ხარ, თვამეტის, რომელსაც მთელი ერი შიშით გიუფრებს, შენ, რომლის გულშიც არ იცის სიყვარული, მკერდმა—მკობრობა, სახემ—ღიმილი და სულმა—შებრალება! ღმერთების წყევლამ დამღუბელი სასაათისა გაგხადა და უოკელსავე შენს დაწყობილობას ცუდი ბოლო მოუღის. ესლა შენ დამიგდე უფრო, რადგანაც მინდა გითხრა ის, რისიც თქმას აქამდის მამობრიული გული ნებას არ მამლეკდა. მე გადმოკვადე ტახტიდამ მეფე და ძალა დავატანე თავის და ტენტხეტი ჩემთვის მოკთხოვებინა. მან შემოეკარა და იმედი მქონდა, რომ ერთის წლის შემდეგ მამა გახდებოდა. შენი დაბადების წინა-ღამეს, ჩემის ცოლის კრატის გვერდით მჯდომს ჩამეძინა. მაშინ სიზმარა ვნახე, ვითომც დედა-შენი ნილოსის ნაზირხედ იწვა. იგი შემომჩიოდა გულის-ტკივილს. მე დავხედე მას და დაკინახე, რომ იმის გულზედ კიპარისის ხე ამოსულიყო. ხე თან და თან იზდებოდა და აქედ-იქით ტოტებს უშვებდა, თვსკები კი დედა-შენს გარს შემოეხვია და დაიხრო. შიშისაგან გავიყინე. მე მინდოდა გაჭტეულიყავ, მაგრამ უეტრად აღმოსაკლეთილამ საშინელი ქარიშხალი ამოეარდა, კიპარისის ხე მოკლევს დასე.

რომ მისი დიდბრძენი ტოტები ნილოსში ეწეო. მათინ მდინარე შეგუბდა, მისი წყლი გაქვავდა და ჩემს წინ მდინარის მაგივრად უდიდესი მუმიად იღო. წყლის ნაპირის ქალაქები მიწასთან გასწორდენ და გადაქცნენ სასაფლაოებად, რომელნიც, სამარესაგით, ნილოსის უსარ-მასარს გვამს გარშემო შემოვლებოდენ. ამ დროს გამომეღვიძა და ვუბრძანე სიზმრის ამსსნელება მოგვინათ. ვერც ერთმა მათგანმა ვერ ამისსნა ეს საკვირველი სიზმარი; ბოლოს ამონ ლივიის ქერუით ამისსნეს ამ გვარად: «ტენტსეტი შეილის შობის შემდეგ მოკვდა, ვიზარისის ხე შეილია, მოსმუსენილი და ავის გულის კაცი, თავის დედის დამხრჩობი. ამის მეფობის დროს აღმოსავლეთის ხალხი ნილოსს, ე. ი. ეგვიპტელთ, მოჭკლავს და მათს ქალაქებს დაანგრევს».

ფსამეტიხი გაფითრებული იდგა მამის ჰიზღაპირ, მამამ განაგრძო:

— დედა შენი მოკვდა შენი შობის შემდეგ; შენ გაიზარდე და გასდი ბორბოტი კაცი; უბედურება ყველგან თანა გდეგდა, რისათვისაც საყვარელი ცოლი და ოთხი შვილი დაჭკარგე. როგორც მე ბედნიერს ვარსკვლავზედ ვარ დაბადებული, ისე შენ, ვარსკვლავთ-მრიცხველების გამოანგარიშებით, დაბადებულხარ მამინ, როდესაც საშინელი ჰლანეტი სება გამოჩენილას; შენ...

ამაზისმა გასწევიტა ლაზარაკი, რადგანაც ფსამეტიხს, რომელმაც საშინელი ამბები გაიგონა, გუფი წაუვიდა და კვნი-სით მხოლოდ ამასლა იძახდა:

— იემარე, სასტიგო მამავ, იმასუდ მანც ნურას იტუეო, რომ მე ერთად-ერთი შვილი ვარ მთელს ეგვიპტეში, რომელსაც მამა მდეგნის.

ამაზისმა დახედა გაუვითლებულს კაცს, რომელიც მის თვხთ წინაშე დაეცა. მისი მრისხანება სიბრალულად გადაიქცა. მან იგრძნო, რომ ძალის სისტიკად მოექცა შეიღს, რომ თავის ღაპარაკით ფსამეტისს გული დაუგოდა მიოი, რომ მოგონა რამოდის წლის წინად მომკვდარი დედა. დიდის ხნის შემდეგ მან პირველად შესედა, როგორც მამამ და ნუგეშის-მტემელმა პირ-მქუშ შეიღს, რომლის გულშიაც სიუკარული და სიბრალული არადღეს არ ყოფილა. მის ჩივილს გულს ესლა პირველად მიეცა შემთხვევა მოსწმინდოს შვალს ცრემლები. დიდის სინარულით ისარკებლს მან ამ შემთხვევით, მკვნესარი ფსამეტისის წინ დაეშვა და აკოცა მას შუბლზედ, მერე წამოაყენა ზეზედ და გულ-მტკივნეულად უთხრა:

— მამატივე, შვილო! შენი გამაჯვარებელი სიტყვები ამაზისის პირიდაც გი არ ამოვიდა, არამედ სიბრალის ყბიდაც. შენ მრავალთა წლის განმავლობაში მაჯვარებდი შენის გულგრილობით, მტარვალობით და უხბავობით. დღეს შენ ჩემს საუკეთესო გრძნობას ცრუად შეეხე, ამისათვის მეც გავბრალდი, ამას იქით ჩვენ შორის უკვლათური კაცგად იქნება. თუძცა ჩვენ ხასიათებთ ისე გავიჩქევით ერთმანეთისაგან, რომ, არა მკონია რჩივეს გული ერთად მათავსდეს, მაგრამ ამას იქით გი ჩვენ ერთმანეთის თანახმად ვიმოქმედოთ და სიტყვა დაუუთმოთ.

ფსამეტისმა თავი დაუგრა და აკოცა მამას ტანისამოსზედ.

— არა, კგრე არა, უთხრა მამამ: ტუჩებში მავოცე. აი კვსხვსა საქმეს, სწორედ ასეც უნდა იყოს მამა-შვილთ შორის! რაც შეეხება იმ საშინელს სიზმარს, რომელიც მე გაიმბე, იმისი ნუ შეგეშანდება. სიზმარი — მოჩვენებაა, რომელსაც ღმერთები

გვიკლინებენ, მაგრამ მისი მსსნელები სცდებიან. შენ ხელები ისე გიგანგალებს და სახე გაუკითლებული გაქვს. მე ძალიან სასტიკად მოგექექ, ისე სასტიკად, რომ მამას...

— ისე სასტიკად, რომ უცხო უცხოს არ მოექცევა ასე, უთხრა მეფეს მეძვეიდრემ. შენ სრულიად გამანადგურე; თუ აქამდის ჩემს სახესუდ ღიმილი არა სჩანდა, ამას იქით ეს სახე იქნება საჩვე უბედურებისა.

— არა, უთხრა ამჴისმა და მხარსუდ ხელი დაადო, თუ მე შენ დაგვოდე, მოსარჩენი წამალიცა მაქვს. მითხარ, რაც გასურს შენს გულს და მე ავისრულე!

ფრასეტასს თვალები გაუბრწყინდენ, მის გაუკითლებულს ზასეს სიწითლე დაეტეო და უთხრა მღელვარეს ხმით:

— მამეცი მე ძანესი, ჩემი მტერი.

მეფე რამდენსამე ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ უთხრა:

— მე ჩემს უნებურად უნდა ავასრულე შენი თხოვნა, მაგრამ უფრო სასიამოვნო ვი იქნებოდა ჩემი ნახევარ ხაზინა გეტხოვნა. რაღაც იდუმალი სმა ჩამურჩეულებს, რომ უნდა ჩავიდინო ისეთი საქმე, რომელიც არ შემეფერის და რომელიც დამღუპველი იქნება, როგორც ჩემთვის და შენთვის, ისე მთელის სახელმწიფოსათვის. ჯერ კიდევ იფიქრე, სინამ მოქმედებას დაიწყობდე; მაგრამ წინადავე გუბნება, რომ ძანესის შესახებ, რა ვინდ ცუდი განზრახვა გქონდე, როდოპისის თავსუდ ერთს ბევრსაც ნუ ასლებ ხელსა; ამასთანავე უნდა ეცადო, რომ შენგან ჩემას მეგობრას დეკნა საიდუმლოდ დარჩეს, განსაკუთრებით ბერძნებისათვის. სად ვიპოვი ისეთს სარდალს, მჩჩეკელს და მოსაუბრეს, როგორც ის იყო? მაგრამ ის მანინჯ ჯერ შენს ხელში არ არის და ამისათვის წინადავე გავგონებ, რომ თუ შენ სარ ცბიერი და მოხერხებული, როგორც ეგვი-

პტელი, არც ძანესს აკლას ცბიერება და სერსი, როგორც კლანელს! განსაკუთრებით დაუტევე ყოველივე განსწრასვა როდობისის შვილის-შვილის შესახებ. რაც შეეხება ეგვიპტეს, გიმეორებ, რომ ჩემი სასკელმწიფო ამასკედ ბედნიერი თავის დღეში არა ყოფილა. მხოლოდ უკმაყოფილო ქურუმნი და ხალხი ამბობს, რომ ეგვიპტე ესლა უბედურიაო. შენ გინდა შეიტყო ნიტეტისის ჩამომკვლობა? მაშ ყური დამიგდე, შენის საკუთარის საბგებლობისათვის ამ საქმის შესახებ უნდა ჩუმიად იყო!

ფსამეტისი დიდის ყურადღებით უგდებდა ყურს მამის საუბარს და, როდესაც გაათავა, მადლობა გადაუხადა.

\*) თბილისის აღმარებელის ხოჯას (საჭურისი, დაკოდილი) ალა-მაჰმად-ხანის შემდეგ, შაჰად დასჯდა მისი ძმის-წული ფათალი შაჰი. ამისი შვილი იყო მელიქ ყასუმი მირზა, რომლის ცოლი 1845 წ. მოვიდა თავრიზს და ჩამოხდა ერთს ბაღში—კარავეზში. მე მასთან და მის ცოლთან საქმე მქონდა და წაველ სანახავად, თავრიზს. მე მიმიღო შაჰზადის ცოლმა თავის კარავში, ბრძანა, რომ ყავა და ყალიონი მოიტანონ, ყავის შემდეგ ორი ყალიონი მოიტანეს, ერთი იმისთვის და ერთი ჩემთვის, და როდესაც ყალიონს ვეწოდდი იმასთან ლაპარაკით, არაოდეს არ შევხედე ყალიონს.... და შემდგომად ვნახე ის ყალიონი—თავზე ჰქონდა ხატები ქრისტეს ოთხი სასწაულისა ე. ი. შობისა, ნათლის-ღებისა, ჯვარცმისა და აღდგომისა, მინაქრით და ყოვლის ოთხ-კუთხე თვეუღლით იყო მოჭედილი, ეგრეთვე ყალიონის გარეშემოც თვეუღლით იყო მოჭედილი და შემკობილი. ვკვირებ ეს სად გიშოვნიათ, და მითხრა: ფათალი შაჰმა ხაზინიდან გამოატანინა და ჰარის-სანახავად მიბოძაო. ეგ არის თბილისის აღების დროს წამოღებულიო.... გალესტ შერმაზანოვი.

ვითარცა მითქვამს, რომ უკან დაბრუნებულყო მოსულსავე გზა-ზედ შუშის ხანის დასასჯელად, მაგრამ უარბაღის მთები აბრ-გოლებდნენ მას, უმეტესად სამიარის მოსწრობისათვის, რად-განაც იმ მხარეს ძლიერ მალე მოდის სამთარი, აჩნივეს ყო-ველთ რომ არ წავიდეს უარბაღის გზით, სულეიმან-ხანი სარ-დალი და უსუფუ-ული-ხანი დუმბული დამახილიყენენ დიდის ძღვნებით და შაჰი წავიდა თავრბისა, რომ დამდენსამე დროს დაჩხეს იქ.

ბანაკი აიყარა ერკენის მხარეს წასასვლელად და ეს ამბები შეეტყოთ მცხოვრებთა, აყრილიყენენ და გაფანტულიყენენ მთე-ბისაკენ, და ჩვენ გაგვივლიდით ხოლმე ტარელს სოფლებში და, რასაც სულდგმულს ცხოველს ენახავდით, ვართმევდით და ვჭამ-დით და სიცივის გამო სახლების ძელები და ჭერი გვათბობდა.

სამთარის პირი იყო, ოდეს მივედით თავრბისა, და ერკე-ვანი, ნახევანი და მარხა დაფუტვეთ ავერანბული და ჩვენ აქ შევიტყუეთ, რომდესაც შაჰი თბილისში იყო, რომ ხორასანი გადამდგარიყო, და ამისთვის შაჰმა აღარ ინდომს უარბაღზედ მისვლა, რომ არ დაუგვიანდეს და თვითონ ამბობდა სტუმრად მივდივარ სარდალთან. ჩვენ გვიმაღამდა და ცოტა რამ ხანი დაჩხა თავრბის, აიყარა და წავიდა თეიჩანს. მე და ჩემს ხელ-ში მეოთვი ჯარი დაუჩხითა თავრბისა.»

## ქართული თეატრი

ბეჭდი აზრი თქმულა და, რასაკვირველია, კიდევაც ითქმის, თეატრის დიდ მნიშვნელობაზე და მისს საჭიროებაზე. საკუთრად ჩვენს ცხოვრებაში რომ მას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, ამასაც შევხება ჩვენი მწერლობა, თუმცა ამ საგანს მრავალ-მხრივი გამოკვლევა ჯერ კიდევ წინ უძევს. სხვათა შორის აღიარებულა, რომ თეატრსაც ისეთი ადგილი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში, რა გვარც ლიტერატურას; როგორც მწერლობა არის გამომხატველი ცხოვრებისა და მხვენებული კეთილს გზისა, აგრეთვე თეატრი სარკვეა ჩვენის ცხოვრებისა და შექცევისა იდეალებისა. ზოგი თეატრის მნიშვნელობას უფრო მაღლა აყენებს მწერლობისაზე და, მართლაც უნდა ვსთქვათ, საბუთიცა აქვს, რადგანაც სტენა უფრო ცოცხალს სურათებით, ცოცხალს სასუბით, ხელოვნების უოველის დონით შეტყუროლი, გვიხატავს ცხოვრებას; მწერლობას კი თავის იარაღად მხოლოდ ლიტონი სიტყვა, ბეჭდვა აქვს. ეს უზარატესობა არამც თუ ჩვენის ცხოვრების გარემოების მიზეზით არის, უკუგან ასეა. რაც უნდა მაღლად განათლებული და გონება-გახსნილი ევროპის საზოგადოება ავიღოთ, მისთვისაც კი ნიჭის და გუნდის ნაწარმოების უბრალო კითხვას — სცენაზე წარმოდგენილების ადგილი ვერ დაუჭერია. ზირიქით ევროპის საზოგადოე-

ბა წამდენადაც განათლებულა, იმდენად უფრო თეატრის მოყვარება და მის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. აგრეთვე უსწავლელი ნაწილიც კვრავის საზოგადოებისა მისი მოყვარება. სტენა მას სწავრთნის და აჭყავს იმ სიმაღლემდე, რომელზედაც კვრას უფლა აზიის უმეტარი და უსწავლელი ხალხი. ამ გვარად კვრავში უმეტარ ხალხისთვისაც, რომელსაც ნაწავლ საზოგადოებისთვის თეატრი მარტო შექცევად კი არა ხდება, სკოლათაც ხდება.

თუ განათლებულ კვრავის ქვეყნებში ამისთანა ადგილი უჭირავს თეატრსა, რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენის უკან დარჩენილ ხალხსაც საზოგადოებისათვის უფრო მომეტებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ავიღოთ უმეტესი ნაწილი ჩვენის თეატრის მაყურებელთა: რა ახალის მშენიერის ნათლით უნდა გაუნათლდესთ გული და გონება, რომელსაც წინ ესატება საჭკვენო გენიოსის გამოხატული მაღალი, მშენიერი ცხოვრების იდეალი, რომელიც აქამდის არც უნახავსთავის სიცოცხლეში, არც გაუგონია და არც წაუგითხავს; ანუ რომელსაც ესატება ბაწიკა, დაცემული ცხოვრება, რომელსაც აქამდის თავისში ან სხვებში იქნება მჭრალად ენახოს, მაგრამ ისე აშკარად სამუშაოებად არ სჩვენებოდეს.

აქ ერთი მხარე ავიღოთ თეატრის მნიშვნელობისა, აღმზრდელი მხარე, რომელსაც სკოლის მაგვარი ხასიათი აქვს. კიდევ სხვა მხარეებია, რომელნიც შედომქმედებენ მწერლობაზე და საზოგადოდ ხელაგებებსა. ამ საზოგადო მნიშვნელობათა გარდა თეატრს კერძობით უოკელ საზოგადოებაში, უოკელს ხალხში სათვითად განსხვავებული თავისი საკუთარი მიდრეკილებაცა აქვს, რომლის ცნობა და გამოჩვენება შეიძლება თვითოველის საზოგადოების და ხალხის ისტორიულ ყოფაცხოვრებისა, მდგომარეობისა, დროისა და ვითარებისაგან.

ამაების ხსენება და გამოკვეთვა ვრცელის ტრანქტატის სა-  
გნად გამოდგებოდა და მისი დაწვრილებითი შემუშავება ჩვენ-  
თვის თვითად საჭირო და უეჭველია; ეს მწერლობის საზრუნ-  
ველია და მისი გამოკვლევის საგანია.

ჩვენ მსუდველობაში ერთი რამა გვაქვს წარმოვსთქვათ,  
რომ, რაკი ჩვენს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სტუ-  
ნასა, რომელიც აღიარებულია, ჩვენმა მწერლობამ ღირსეული  
ფურცადლება უნდა მიაქციოს კიდევ. იგი მუდამ შეუწყვეტლად  
თანვს უნდა დასტრიალებდეს ისე, როგორც თვით მწერლობას.

სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა თეატრს ყურად-  
ღება არ ჰქვამდა ჩვენის ლიტერატურისაგან, მაგრამ ეს ყუ-  
რადღება უფრო ერთის დღის წარმოდგენასე რეცენზიასა ჰგვა-  
ნებია, თვით რეცენზია ყოფილა სპექტაკლზე, ანუ სპექტა-  
კლებზე. ესე იგი არ დაჰკვირვებია და არ გამოუკვვეია თეა-  
ტრის საქმე ისე, როგორც საჭირო იყო და არის. მასთანადმე  
სასურველია მწერლობამ ამ შემთხვევაში განსაზღვროს თავისი  
ურთიერთობა სტუნიანდში ცნობიერად და არა ერთის რომელი-  
სამე ფაქტის ნახვით. ამ აზრის ცხადად დანახვისათვის მაგა-  
ღითს მოვიტანთ ჩვენისავე მწერლობიდან.

დღევანდლამდე ამ ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში, მე-  
ტადრე უკანასკნელ წლებში, აქტიორ-აქტრისებისაგან აღიარებითი  
იძარტება. ამ შემთხვევაში როგორი აზრი უნდა გამოეჩინა  
ჩვენს მწერლობას და საზოგადოებას? ყველა იტყვის, რასაკვირ-  
ველია, მართალი მხარე უნდა დაეჭირაო. ვინ იქნებოდა მარ-  
თალის და მტყუნის გამჩევი, ვინ იყო მოსამართლე? არავინ.  
ისევე თვითონ აქტიორ-აქტრისების მითქმა-მოთქმას უნდა აჭყო-  
ლოდა საზოგადოებაც, რადგანაც ჩვენი მწერლობა თვით ვერ  
არჩევდა საქმესა ცნობიერად და აქტიორების ხმას მისდევდა.

განა მართლა ჩვენი აქტიორ-აქტრისები არიან დამოუკიდებელი, შეუძლიათ ასწონონ ან მნიშვნელობა თეატრისა, ან მისი ავი და კარგი მხარე? ცხადია, რომ მბდგომის გამოკიდობა ან ერთის მხრისა ან მეორისა. ეს იყო მიზნები, რომ აქტიორ-აქტრისებმა თავები იპოვნეს და მბრძანებლობის ხასიათი დაიჭირეს თეატრის საქმეებში; იმათთვის აღარც საზოგადოების აზრია სავალდებულო, არც მწერლობისა და აი ამიტომ პირველად მრთელის ჩვენის საზოგადოებისაგან პატივცემულნი, დღეს პატოვის-ცემის მოკვლელნი დაჩნნენ.

ამაში იქნება თვით აქტიორ-აქტრისებსაჲ ბრალი ქონდესთ, მაგრამ ცხადია, რომ ჩვენს მწერლობასაც დიდი ბრალი ადევს. და ბრალი იქიდანმ წარმოსდგა, რომ გამოარკვეული ადგილი არ ეჭირა მისს მსჯელობასა.

ეს მაგალითი მოვიტანეთ იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ, თუ მწერლობა ყოველის მხრის განსჯით არ ეპყრობა თეატრის საქმეს, ეს ნიშნავს რომ მას ჯერ განსაზღვრული არა ქონია თვისი ურთიერთობა სცენასთან; არ გამოურკვევია რომელი უნდა ეპყრობოდეს თეატრის საქმეს; ალალ-ბედით უნდა უყურებდეს საქმეს, თუ მაღლიდამ უნდა დახედოს თავისის შიშ-მხედველობით? აქტიორ-აქტრისების დადადებას უნდა ხანი მისცეს, თუ საკუთარი აზრიც უნდა ეპოკებოდეს? დროებითი, დღევანდელი, ან წლეკანდელი ინტერესი უნდა იქონიოს მხედველობაში, აქტიორებისა ან აქტრისებისა, თუ სამუდამო თეატრის, სცენის, ხელოვნების ინტერესი? ამაების გამოურკვევლობა დიდ ნაკლულეკანებად უნდა ჩაკვეთვალოს. ამიტომ საჭიროა განსაზღვრას და მოთუქრება, მწერლობა რა რიგად შეხოს სცენის საქმესა?

უკვლასათვის ცხადი საქმეა, რომ მოთუქრებლობა და გაა

მოუჩვენებლობა უოკელ საქმეში გზას გვიხსნის. თუ რაიმე საგნის მნიშვნელობა კარგად არა გვაქვს ახსნილი, არ ვიცით იმისი წარსული და აწმყო მდგომარეობა, არ აგვინიშნავს მისი მომავალი საჭიროება და საშინაოდისი, — რომლისამე ფაქტის ნამდვილად დაფასების ნაცვლად დობე-უორეს გვასდის, გვათამაშებს, გვაწვალებს და თვით საქმის წარმატებას უშლის, აყენებს. მოვიგონოთ უგანასკნელი რც-და-ხეთი წელი ჩვენის მწერლობისა: სანამ იგი დაფასებდა და ასწონდა თავის ძალ-ღონეს თუ ნივთიერს და თუ სულიერს, ისტორიულს, ანუ დროებიდს, — რამდენი შეცდომა, და მძიმე შეცოდებაო, ჩადინა? გადასაყუთ თვალი ყურნალ-გაზრთებს, დააკვირდით კრიტიკულს და პოლემიკურს წერილებს და ნახვით, რამდენი სასტიკი, უშეკრი, უსამართლო და ბევრჯელ უკადრისი აზრებოა გამოთქმული. ხან წარმოვიდგებთ ბავშური თანებლობა დიდგულს უმეტრებისა, ხან ძალად ეკრძვიულს კრიტიკასზე გამოტყნული მოსაზრება, მატრამ საზოგადო ლიტერატურის და ისტორიის ცოდნისთან სრულადი უმეტრება საკუთარის ლიტერატურის და ცხოვრების ძალ-ღონისა; იქ კესმისთ განხარებულის სხანას-სხუბით ეკრძვიულ მოაზრეთა მსჯელობის გადასხვანაფერება, მომართული პაწის რამე უსაგნო საგანზე; აქ გაზვიადება და სასტიკი სჯა მცირე შეცდომისა. სშირად წარმოვიდგებთ რაღაც კაღვა-გაკავასება, რომლის მიზეზს კარგის ძებნითაც ვერ მოსძებნით და მხლოდ მიზეზად ჰხვებთ თვით დამწერის გულთიცხობას, ან რხუჯობის მოყვარულობას. ერთი ითხოვს მერკესაგან იმისთანას რასმე, რომელიც შეიძლება ეკრძვის შეიღას მოეთხოვოს და ეკრძვის საზოგადოებაში, სადაც წარსულს ვითარებას მოუმიზადება ძასადა ჭ ნიადაგი. დღეუანდელი შემთხვევით გამოჩენილი ფაქტი, საზოგადო მოკლენებათ ითვლება

მწერლისაგან, და არ აკვირდება მისს შემთხვევით გამოჩენასა. სამუდამო თაქტებს, — როგორ რა არის, რისაგან, რა მიზეზით არის? — ამას არ დასდევს და არ იკვლევს. ვინ მოსთვლის, რამდენი დრო უქმად დაიკარგა და რამდენი სასარგებლო დრო დაჰკარგა ამ გვარმა უთაუბლო პოლემიკამა; რამდენი კაცი გაფანტა ანუ დააშორა ერთად მშრომელობასა? დღესაც წარსული ნაანდერძები არ მოჰკლებია ჩვენს მწერლობასა, მაგრამ მაინც და მაინც საკმაოდ შესამჩნევად იკლო უაზრო და უსამართლო მოპყრობამ. ბოლოს დაწყებულა ჩვენი მწერლობა, რომ ძველებურად უსაფუძვლოდ მოვიდობა სალიტერატურო სამუშაო საქმესთან ვნებას თუ არ მისცემს, უქმად ჩაუვლის შრომა, მაშინ როდესაც ლიტერატურას უკვლავ მომატებულად ეჭირება და მოეთხოვება ცნობიერება მოსაზრება და მეტადრე თვის საკუთარ საგნის შესების ყამსა.

სამწესარო უნდა იყოს, თუ თეატრის საქმეშიაც შეცდომა ჩაიდინა მწერლობამ, როგორც თავის საკუთარ საქმეში. მან გამოსცადა თავისი მდგომარეობა ყოველის მხრით; თუ აქამომდე სრულად კარგა ვერ აუწონია თავისი ძალ-ღონე, მაინც საკმაოდ ხედავს; თუ კარგა გამორკვეული არა აქვს, ჰგონობს მაინც. ეს მას უნდა შეელოდეს თეატრის საქმის გაგებას, და არ ეკიდებოდეს ალაღ-ბედათა. ეს მისი ვალდებულებაა, რომ ასეთს ახლო საგანს, როგორც თეატრია, ჩვენის უწინდელ ჟურნალ-გაზეთების პოლემიკის და ცნო კრიტიკის მსგავსად არ შეეხოს.

ეს აზრები გვეჩინდა ხელმძღვანელად, როდესაც «ივერიის» წარსულ ნომერში ვლახანაკობდით თეატრზე და მუდამ ეს აზრი გვეჩნება, როდესაც ამავე საგანზე ვილახანაკებთ.

გაზ. «დროება» შეესო ჩვენს ჯანახანას და გვისა-  
შვედურა, ვდომიც მიიყვებით, ანტრეპრინის, სამეგობ-

როდ დაგვიწეროს ჩვენი წერილი. არ ვიცი, რა სახითი აქვს, მერე კი იქვე ანტრეპრეზის უვარვისობის დასამტკიცებლად და თავის აზრების გასამართლებლად ჩვენი ნათქვამი მოჭყავს.

ძალიან შესაძლებელია, რომ «დროების» მწერალს სამეგობროდ თქმული ეგონოს ჩვენი სიტყვა, მაგრამ ვის სამეგობროდ? თუ მართლა ანტრეპრეზიონის სამეგობროდ გვიწერია, რაღად ვაჩვენებდით ჩვენს წერილში ნაკლებუნებას სეზონისა და ანტრეპრეზიონისას? მაშ რაზე სწერება ასე უღონოდ «დროების» მწერალი? მიზეზი ის არის, რომ არცვის, როგორც მოკუზრას თეატრის საგანს.

ორი თვე ჩუმიდ იყო «დროება». თავის გასამართლებლად ის მოაქვს, ვითომც არ გვინდოდა საზოგადოების თეატრიდამ დაფრთხობა, «იუკრის» რეცეზენტი ტყუილად გვისაყუდღურებს ამ სიჩუმესაო. თუ საყუდღურათ ვინმე მიიღებს ჩვენს სიტყვებს, რომ «რუსულმა მწერლობამ მომატებულად უწოდებს მიაქცია თეატრსაო», ეს საყუდღური თვით «იუკრისადაც» უნდა მიემართოს და არა მარტო «დროებას»? მაგრამ გული-სა პირმან ამოსთქვასო, ნათქვამია. სჩანს რომ «დროებას» მართლა ბრალეულობა გულში ჩაჩნია. ვარგის თუ ეს გრძნობა არ გაჭქრობია, მაგრამ ამითაც მანაც თავის გამართლება არ შეიძლება, საზოგადოების დაფრთხობის ბრალი არ გვინდოდა თავს გვედგაო.

რატომ? თუ კი საქმეს ცუდად ხედავს, მაკნებლად, საუკუდმართოდ, ვაღიბებელია უოკელი პატიოსანი მოღვაწე ხმა ამოიღოს; თუ შეუძლია და ღონე მოსდევს, უნდა შეაყინოს ხალხი, აუხსნას მაკნებლობა, რომ თვით საგულგებელი საქმე მართლა გაკეთდეს და არ ჩაიფუშოს. მერმედ, თუ მანაც და მანაც თქვენ თითონ გრძმანობთ რისამე სარგებლობა-მაკნებლობაზე,

უანა მწერლობას არა აქვს მოსაზრება, მოხერხება, რომ საგანს ისეთის მხრით გააჩნევდეს, ისეთის სიფრთხილით, რომ გული არ აუტრუნოს მსურველებს? ნაკლუდეკანება აჩვენოს სცენის მსახურთა ისე, რომ აგრძნობინოს ნაკლული და არ აწყენინოს სიტყვით? რის თვის განმავლობაში რუსული გაზეთები («Новое Обозрѣніе» და «Кавказъ») კვირაში რაჯულ დაზარაობდნენ ქართულ წარმოდგენებზე; განა უკლავდნენ ანტიკუპრიანის სამეგობრო უთქვამთ? მაგრამ თქმაც არის და თქმაცა. ნაკლუდეკანებაზე არ დახუმიბულან, დირსებაც უნახავთ; მათს სიტყვას რამე მნიშვნელობა ჰქონია საზოგადოებისათვისაც და აქტიურებისთვისაც. ნუ თუ «დროების» მწერალს არა ჰსურდა თავისი აზრიც ეზიარებინა ვისთვისმე? მაგრამ იქნება არა ჰქონდა აზრი გამორკვეული და ამიტომ თავი მიანება.

«დროების» წერილი (№ 35, 1885 წ.) გვეუბნება, დაფრთხობა არ გვიდოდა თეატრის საზოგადოებისათვის ასე არ განლაგოს. რა თვის წინადა, როდესაც საწინაო სიტყვა დაბეჭდა «დროებაში», (№ 271, 1884 წ.), მაშინ სსკა იმისთანა აზრი იყო გამოთქმული, რომელშიაც საზოგადოების დასაფრთხობა რამ საკმაოდ მოაზრებოდა. ჯერ ერთი, გადასსკაფრებული იყო ფაქტები, რომ ვითომც დასათეატრო დასის ნაშთს თავისი დამამშენებელი ტალანტები «ლარ ჭყავსო», მაშინ როდესაც თამაშობდა გაბუნია, უიფიანი, აწყურელი და აუღდა მხლელ საფაროვისა, დანარჩენნი (კ. აბაშიძე, გ. მესხი, ვ. მესხიევი) არც სეზონის დაწყებაში იყვნენ დასში და არც შარშან; მაშასადამე მათს ჩამოცლაზე დაზარავი არ შეიძლებოდა. მერე, აგრესლოები დაცარიელდა და მარტო თეატრის კასსირი დაღვრედილი გამოიყურება თავის უაფასიდაძლო. წარმოდგენები ბილეთის გაუყიდველო-

ბის გამო ღარ იმართება. » ამისთანა გარემოება ამ ხუთ-ექვს წელს, მეტადრე შარშის, უფრო ხშირი იყო, ვიდრე უკანასკნელს სეზონში. ეს ამოღენა ბრალი ანტრეპრიზაზე მოჭრული განა სიფრხილისათვის სიჩუმეა, როდესაც, მეტადრე, გადასხვაფერებულა ფაქტები? ამისთანა ლაპარაკს მართლა შეეძლო გულის ატრეება. ღ იქნება «დროებაში» მერე იგონო ამისი უტაქტობა და ამიტომ დაჩემდა. თვითონ ამბობს, სეზონის გათავებას უცდიდითო, რომ აზრი გახედვით წარმოგვეთქვა და გვეჩვენებინა, თუ როგორ გაგვიმართლდა წინასწარმეტყველება.

წინასწარმეტყველება ასე ახლათ, რომ წარსულის სეზონის ანტრეპრიზა მეტისმეტი სუსტი აღმოჩნდა და გამოუსადეგარო. უკანასკნელი წერილი «დროებისა» (№ 35) მომართულია ამ კალოზე და თავის აზრების დასამტკიცებლად იმეორებს იმ ნაკლულებებს ჩვენის წერილიდან, რომელშიაც ვცდილობდით მიუთქვებლად და არა სამეგობროდ დაგვეფასებინა ერთგვარად წარსულის სეზონის ღირსებაც და ნაკლულებებსაც. «დროებისა» მწერალმა თავისი აზრი მხოლოდ ნაკლულებებისაზე დაამყარა და სრულიად არა ჭბოვა რა ანტრეპრიზაში სასარგებლო. თუ თავის აზრების დასამტკიცებელი საბუთი იზოვა ჩვენს წერილში, რატომ წინააღმდეგ აზრებს ვი უურადლებარ მიაქცია? იქნება სულ-მოსაჭიდებელი რამ ეზოვა ჩვენის აზრის დასარღვევი, და სტენის სასარგებლო. ეს ემჯობინებოდა კვირის ფელტონისტის ლაუბობას, საკუთარ გასართობად დაწერილს. მაგრამ, არა. «დროებისა» წერილი მხოლოდ ანტრეპრიზის საწინააღმდეგოდ არის ნაწერი და არას უფიქრდება თეატრის მდგომარეობას: რაოდენ გაცვეთილ და საზოგადო სიტყვების გამოთქმის მეტს (რომ გარკვი ანტრეპრიზიონისა საჭირო,) არას გვეუბნება.

საქმე რაში მდგომარეობს? ჩვენ აზრი წარმოვსთქვით, რომ ანტრეპრიზას დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრისათვის და მაგალითად მოვიყვანეთ წინანდელი მდგომარეობა, როდესაც აქტიორებს ამხანაგობამ თავი ვერ შეუმაგრა და გაიფანტნენ მისი ტალანტები. წელს გამოჩნდა ერთი კაცი, იკისრა ანტრეპრიზა და შეჭკრიბა დასის ნიჭიერი არტისტები. უამ ანტრეპრიზოთ შესაძლებელი იყო, ეს აქტიორები ან შემოსუდიყვნენ დასში წინა წლის მსგავსად. მართალია, ზოგი ძველი არტისტები არ იყვნენ ამ დასში, მაგრამ ვისი ბრალი იყო, ეს არ ვიცით. ვიცით, მაგალითად ისა, რომ კოტე მესხი სამსახურში შესულა, ვიცით განცხადებიდაც, რომ ვას. ახაშიძე რეჟისორად იყო მოწვეული და მერე წარმოდგენების დაწყების უამს ვი აღარ გამოჩნდა. ვისაც ადრე უთამაშნია, ყველა არტისტების ნახვა სასურველი იყო, მაგრამ ბეგრჯვალ-ბეგრის სხვა-დასხვა მიზეზების გამო, მეტადრე ჩვენის სტენის მდგომარეობის გამო, შესაძლოა ყველანი ერთად არ ვნახოთ სტენაზე, ვინც ერთხელ გვინახავს. სახელდობრ მაგალითად მოვიტანთ იმ გარემოებას, რომ იქნება ნამდვილმა ნიჭიერმა არტისმა მეტი ჯამაგირი მართხოვოს და ღონისძიება არ იყოს მისი დაკმაყოფილებისა; შეიძლება, რომ, როგორც ვიცით, აქტიორების და აქტიორების ჭინჭყლიანი ხასიათი, ვინკლანობა მოუვიდეთ ერთმანერთში, და არ ისურვონ ვინმემ დასში შესვლა, რომელსამე არტისტთან ერთად ყოფნა. ამისთანა მიზეზების გამო ხშირად იშლებოდა ამხანაგობით შედგენილი დასი. ამ მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია ფულისან ანტრეპრიზას; ამიტომ სინახურულით მოვიხსენეთ მისი გამოჩენა და აღვნიშნეთ, რომ მის დასმარებით ენკენისთვიდან დიდ-მარხვამდის სეზონმა ერთკვარის მდინარეობით ჩაიარა, არ შეწყდა ანტრეპრი-

ეს წინათ ნახუეს ცრუ-ანტრეპრიზებისაჲთ და არა იარ-ღირისა დასია. ამ გარემოებას ყურადღება მივაქცეთ, რომ წელს საკვირველი ყაყანი გავიგონეთ ჩვენს საზოგადოებაში, როდესაც საფაროვი აღარ გამოჩნდა სცენაზე. «არა, გინდათ თუ არა, ყველა არტისტები შეიყარებით ერთათაჲ.» ამასვე ამბობდა «დროების» რედაქტორთან მიმართული წერილი (№ 271. 1884 წ.), რომელიც ნამდვილის გულ-გუთილობით მოიწვევდა სცენის მსახურებს.

ეს გარემოება გვაჩვენებს, რა გულ-მარტივობითა სჯის ჩვენი საზოგადოება, ან «დროების» მწერალი. ჩვენ ვარჯა ვიცით, რომ არც ერთ ქვეყანაში არ იბოკება იმისთანა დასაჯაქტიორებისა, რომელშიაც არ იყოს განხეთქილება არტისტებში. ჩვენში, ჩვენს შოფოთს შეჩვეულს საზოგადოებაში ხომ უარესს უნდა მოგველოდეთ. როგორ მოათავსებთ, მთარბებთ აქტრისა-აქტიორებს, რომ წამ და უწუმი მამლახუნწასავით არ იხსუბონ და ჭინჭყელაანობა არ გამოიჩინონ. თუ ვი მუდმივი ჭინჭყელი ეკროპის ძალად ხარისხზე მდგომარე თეატრის გულსებშია, ჩვენ როგორ მოვსებთ ჩვენს ასლად ნაშობ სცენის მსახურებში, რომელნიც დაბლა დგანან გონება-გახსნილობით, ცოდნით, სწავლით და საერთოერთა ზნით ანუ ზნეობით. ამო იყო ყაყანი და საყვედური.

რამ გამოიწვია ეს ყაყანი. იმ გარემოებაში, რომ აქტრისა საფაროვი-აბაშიძისა, ოთხჯერ გამოსვლის შემდეგ, სცენაზე არ გამოჩნდა. როგორც ჩვეულებაა, ყოველ ნიჭიერ აქტიორს და მეტადრე აქტრისებს თაყვანისმცემელი ჭყვანან და აბა რა დააჩემებდა ამათ. «არაქა თეატრი დაიღუპა; თეატრის დასიდან ნიჭიერი ტალანტები გავიდნენ, უშველეთ ქართულ თეატრსაჲ.» ვინ გავიდა, რომელი ტალანტები გავიდნენ წრეკანდელის დასიდან,

ამაზე არას ამბობდნენ. საზოგადოებაში ზოგნი ზუგუნდნენ სწორედ იმ დროს, როდესაც ჰუბლიკამ თეატრში ცოტათი მოუსიდა სიარული. ზოგი ფიქრობდა, რომ ნუბიერიძის ანტრეპრინის მოშლა ვისმე ეწადინებაო და რაკი ახლა დღესასწაულებამაც მოატანა, იმას უნდა ეხარებოდესო. ასახელებდნენ კიდევ ანტრეპრინიარობის მსურველებს. ამავე ხანში გამოჩნდა მეორე დასი, რომელშიაც მონაწილეობდნენ საფარკვისა, ვ. აბაშიძე, ვ. მუსხივეი; გამართეს წარმოდგენა. ზოგს აიძულებდა, რომ ნუბიერიძის დასი დაიშლებო და შეუერთდეს ამ ახალ დასსაო. მაგრამ ეს მოთქმება ტყუილი გამოდგა, პირველად იმით რომ ნუბიერიძის დასმა შეიმავრა თავი, აქტიორ-აქტრი-სები ერთ-ხმად შეჰპირდნენ ერთმანეთს დადმარხვამდინ ერთად ემუშავნათ. მეორედ იმით გამოტყუნდა, რომ როგორც ვ. აბაშიძე აცხადებდა «დროებაში», მეორე დასის შედგენა ვითომც არავის სურდა, თუმცა კი ესეც უნდა მოვისხენოთ, რომ აფიშაში და გაზეთებში წინათ გამოცხადებული იყო, «სამშობლას» წარმოდგენას ქართული დრამატული «დასი» ჰმარტავსო. ამ დროს გულისუბიდან გამოტანილი სიმები იფინებოდა საზოგადოებაში, რომელმა აქტრისამ ანუ აქტიორმა როდის რა თქვა, როგორ შეეხასა ამხანაგსა, როგორ გამოლანძღა და სხვა და სხვა ჭორიკანობა, როგორც უოკულ თეატრის გულისუბის ადრია.

ამისთანა ლაპარაკის და ყაყინის დროს რა ჰმარტებდა მწერლობაში მოღვაწე კაცს. გამოჩვევას თეატრის საქმისა და ცნობიერად მოზურობა, თუ ავიღებოდა? «დროების» წერილმა ეს გარემოება არ იქონია მხედველობაში და პირდაპირ მოყაყინეთა მხარე დაიჭირა.

ერთის წლის დაშლის შემდეგ, ანტრეპრინის შემწეობით,

დასა შეიკრება, მასში მონაწილეობდნენ ნიჭიერი არტისტები  
 ვახუშია, უიფიანი და აწეურელი. ამ დასს და ანტრეპრიზას  
 ბრძოლას უხენდნენ, უნდოდათ მისი მოშლა, როგორც წინა  
 წლებში რამდენჯერმე მოუხდენიათ აქტიორებს ცრუ ანტრე-  
 პრენიორების წინააღმდეგ, რომელთაც ფული არ ჰქონებიათ  
 ჯამაგირისათვის. ახლა აქტიორ-აქტრისებს ნებიერიძე დაპირე-  
 ბულ ჯამაგირებით აკმაყოფილებდა. ამისთანა შემთხვევაში ერთის  
 არტისტის გამოკლებას განა ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ  
 მისთვის გკენაცვალებინა ანტრეპრიზა და მისი დასი? «დროე-  
 ბის» წერილმა კი ასე ჩაიდინა და სთქვა, სტენას «დამამშვენებუ-  
 ლი ტალანტები აღარა ჰყავსო, წარმოდგენები აღარ იმართე-  
 ბა, ბილეთების გაუყიდველობის გამოო».

ამისათვის იწვევდა დრამატიულს საზოგადოებას: «შეკლა  
 უნდა და საჩქარო შეკლაო.»

მაგრამ რა იმედი შეიძებოდა დრამატიული საზოგადოე-  
 ბის კომიტეტისაგან ამავე სეზონში, როდესაც მას ფული არა  
 აქვს და მის ამორჩეულ კაცს საანტრეპრიზოდ ხელში არა ექ-  
 ნებოდა-რა. შეიკრება დეკემბრის 30 დრამატიული საზოგადოე-  
 ბა; თურმე ნუ იტყვიო, წელს ზაფხულს აქეთ კომიტეტს სხდო-  
 მა არც კი ჰქონებია, რადგანაც მისი რვა წევრისაგან ოთხნი  
 ქალაქი გარეთა ცხოვრობენ (ბ. აკაკი წერეთელი, გიორგი წერე-  
 თელი, გიორგი შარვაშიძე და ვაწაძე, ეს უკანასკნელი ნაკთლულ-  
 შია) და დანარჩენ ოთხისაგან სამი სშირად თურმე გადის ქა-  
 ლაქიდან გარეთ, (კნ. ბაჩათაძე, რ. ერისთავი და ალ. რა-  
 ბელიანი). საზოგადოების თავსმჯდომარემ შეკრებილებას  
 მოახსენა, რომ ამისთანა გაჭირება გვადგასო. საზოგადოებამ  
 ამ კრებაში მხოლოდ ეს ერთად-ერთი საგანი განიხილა და  
 სთხოვა თავს-მჯდომარეს, კომიტეტის წევრებს აცნობოს ეს

გაჭირებს, რომ ამ დონით ეგებს გამოიწვიოს იმათი ან მუდამ მონაწილეობის მიღება, ან უარის თქმა, რომლის შემდეგ შეიძლება ასახვი წვერების ამოწმება. უნდა შევნიშნათ, რომ დღევანდლამდე (28 თებერვ.) ამ კრებაზე ადრეობაშია არა თქმულა-რა და არც აქამდის ვიცით, თავს-მჯდომარეს მიუწერია რამე თუ არა? ან ადრეობა ამ დალოცვილის კომიტეტის და ამ დრამატული საზოგადოების შეკვლას მოკლად «სახქაროდ.» რა შეეძლო ამისთანა კომიტეტს, რომლის წევრებიც კისრულაობენ თანამდებობას, და საჭმისთვის არც შრომა, არც ანიციატორება შეუძლიათ.

მაგრამ ეს განა ასახვი ამბავია? ძალიან ძველი საქმეა. ჯერ საჭირო იყო, რომ თვით დრამატული საზოგადოების კომიტეტი მართლად მშრომელის, მოღვაწე წევრებით შეესაბუთებოდა, მუდამ ქალაქში მცხოვრებლებით, მას უფრო ამ კომიტეტს დონისძიება და ფული მოკრებებინა და შემდეგ შესდგომოდა ანტრეპრენიორის ამოწმებას. ეს სომ. ერთს დღეში «სახქაროდ» ვერ მოხერხდებოდა. ეს შეიძლებოდა სამეძრის სეზონისათვის გზიერა და ამასე ლაზარავი, რდა საჭიროც იყო და არის. იმუდინ უნდა ვიჭონით, იქნება დრამატული საზოგადოებამ მართლად დონე შეიკრებოს და მკვიდრად მოკრებს თავის საგანსა.

მაგრამ მომავლის იმედით, რაც დღეს შემთხვევას მოუცია, ის ხელიდამ არ უნდა გაუშვას. დღეს ანტრეპრენიორს გამარობა, სულის მობრუნება არ დაეცალეთ და უაყანი მოკრეთ, იმისი ჩაშლა გვიდოდა. ერთი მაგალითი, პირველი მაგალითი გამოჩნდა ქართულ თეატრის ცხოვრებაში, კერძო პირი გამოჩნდა, იკისრა ხარჯი, ზარდა და მოკვება თავს იღვა და შორმხედველობის უჭონლობით ამასე გავიდაშქრეთ! რა მოსაზრება უძღვებოდა ამ გალაშქრებას? მადი და ნუ დაუფიქრებო. ზო-

გიერთების დაზარაქს, რომ დღესასწაულები ახლოვდება, ანტრეპრენიორის მოწინააღმდეგეთ დამდენიმე სპექტაკლი უნდათ გამართონ და ეს ალაზარაკებსო და ანა მართლაც თეატრის ბუდიო. მაგრამ ვთქვით ეს წვრილმანი ანგარიშია და ამის სურვილი ანავისა ჰქონდა; ვსთქვათ ასე იყო, მაგრამ განა «დროებსა» არ ჰმართებდა ამ აზრების მსედველობაში მიიღება, რომ ანტრეპრენიორის მოშლას, თეატრის საქმის შეშლას იყო?

მაგრამ ამასე გვეტყვიან, «დროების» უგანასგნელი წერილი ანტრეპრენიორის ნაკლულებებს გვითვლის, თქვენგანვე მოხსენებულსაო.

მართლაც, ნაკლულებებსაც იყო. ეს არც დაგვიფარავს და არც დაუფარავთ; მაგრამ მაგ გვარი ნაკლულებებს მართლაც კაცზე სომ არ არის დამოკიდებული; გარემოებსზედაც არის. ახალი პიესები არ განსეთო. განა ეს მართლაც ანტრეპრენიორს უნდა დაბრალდეს, მწერლობასაც სომ ბრალი აქვს. აი მაგალითად, განა «დროების» რედაქტორი ან «ივერიისა» არ იმყოფებიან ამისთანავე მდგომარეობაში, რომ რედაქტორობის იდეალს ვერ ასრულებენ? მაგრამ განა მათი ბრალია? მართლაც ივენი წარსული და აწყო ყოფა-ცხოვრება, ივენი გარემოება, ივენი მწერლობაა მიზეზი. რა უნდა ვქნათ? განა უნდა მკაცრად კავილასქროთ, იერიშით მიუადგოდ ერთმანერთის ნაკლულებებსა და სხვა ყოველი დავთრები დაკვარვით? მტკიცე იმედი გვაქვს წარმატებისა და ამიტომ იოლად მიგვიყავს, ვწონთ ერთმანერთის ძალ-ღონესა და იმ ნიადაგს, რომელსაც ამოუცუნებია ეს ძალ-ღონე.

თუ კი მწერლობაში, ივენს თავზე გვრძნობთ გაჭირების ძალას, სხვა საგანსაც, თეატრსაც რატო ასე არ უნდა მივხედოთ? მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, «დროების» წერილი ამას

არ დასდევდეს. ჩვენს კოქკით, ანტრეპრიზას ვიციით რომ რეჟისორობას სურდა უკეთესად წაეყვანათ. «დროების» წერილი ჩვენს ნათქვამს დასტინის, რომ «სურვილი ანგარიშში მოსატანი არ არის, სურვილი სურვილადვე რჩება.» რა კარგი პასუხია. მოკლედ თქმულა და გათავებულა, ვითომ და ყველანაირი ახსნა.

მაგრამ სანამ ვისმე სურვილი აუსრულდებოდას რომელსამე ასპარეზზედ, წელიწადების საჭირო და არა ორიოდ თვე. ეს არის კაცს დაუწყია შრომა, რატომ არ უნდა დაკაცდეთ ავარჯიშოს თვისი ღონე, ენერჯია; რატომ არ მივსცემთ მხარს, რითაც კი ხელი მაგვიწვდება, რატომ არ გამოვარკვევთ წინათ ყოფილს გარემოებას, რად ვივიწყებთ თითო სეზონში რამდენჯერმე მოხდენილ ალიაქოთას, ხან დაშლას დასისას, ხან მოკლე ფეხს ანტრეპრიზას და სხვა და სხვას?

თუ ჩვენ აქტიურ-აქტივისების ჭკუას ავყევით, თეატრის საქმე მუდამ ალიაქოთში იქნება და წარმატებას ვერა ნახავს. მათ უფრო ეს ინტერესი აქვთ მხედველობაში: თეატრში ხალხა იარებოდეს, სახელი იზოვოს მათეუბლებში და ჯამაგირი მიიღოს. მწერლობას სხვა მომატებული ინტერესი აქვს და მისი მსჯელობა უფრო შორს უნდა სწვდებოდეს. «დროების» წერილები კი უფრო პირველს ეკუთვნის, ვიდრე მეორეს. უქმი იქნებათის საზოგადო აზრების წარმოთქმა, რომ კარგი შეგნებული ანტრეპრიზა გვეჭირება. კარგი და შეგნებული მოთავე ყველა საქმეში გვეჭირება, მაგრამ, აბა რომ მოვდივართ — მოკტირით და ვერსაიღამ გვაპოვნია? ფული უნდა, თავისუფალი კარგი უნდა, კარგი სტენის მცოდნე, კარგის ჭკუისა, ნიჭიერი, მოხერხებული, მარჯვე, ლიტერატურის მცოდნე და სხვა და სხვა... ვიციით საჭიროა ამასთანავე თეატრისათვის, მაგ-

რამ სანამ ამისთანა გამომჩნეობდეს, ჯერ თვით თეატრის აჩსება, მისი აქტიორ-აქტრისების აჩსება ბევრზე ჰქვიდა. ერთი წელიწადი მიიძინა თეატრმა, შესაძლებელია ორმა-სამმა წელიწადმა ასე გაიაროს და გაუქმდა კიდევ სამუდამო დასი, სამუდამო თეატრი! ამისთანა დროს თუ ვისმე ვატყობთ, რომ თავის ძვირე შეძლების სდებს თეატრის შრომისათვის, ჰკრებს გაფანტულ ძაღს და გვაგონებს მის ვარგ დღეებს, ეს გარემოება დასაფასებელია, არა დასს გარეთ დაჩინილის აქტრისის ან აქტიორის თვალთ, არამედ უფრო შეგნებულის თვალთ.

გათავდა წარსული სუზონი და ნებიერიძის ანტრეპრიზა-არ ვიცით ნამდვილად, მომავალში როგორ იქნება საქმე. ანტრეპრიზას, — ნებიერიძე ისურებს თუ სხვა ნამდვილად ფულის პატრონი ვიქნება, ან დრამატიული საზოგადოება, თუ ფული ექნება მას ორის ხელთ უნდა მოეპოვებინეთ. რაც უნდა სუსტი მხარე ჰქონდეს ანტრეპრიზას, (რასაკვირველია ფულიანს გამბობთ და არა უფულოს,) ყოველთვის ემჯობინება არტისტების ამხანაგობას, რომელსაც ვერაფერი ვერ დაუტერს თავის და მალე დაიშლება. როგორც მაკალითებმა გვიჩვენა ამიტომ უნდა ვაფასებდეთ ანტრეპრიზას.

დაწმუნებული ვართ, რომ ნიჭიერი აქტიორ-აქტრისები რამდენადმე აფასებენ და უყვართ ქართული სცენა. უნდა გაგონ გაჭირებული მდგომარეობა თეატრისა: თუ ნამდვილად მისი სიმტკიცე სურთ, მარტო თავის ჟინის გზაზე არ უნდა იარონ, არამედ დაუფიქრდნენ და განსაჯონ. ყველასათვის სასურველი იქნება ყველა ნიჭიერ არტისტების დასში ერთად შეკრება. მაგრამ ეს შეიძლება ერთმანერთის იოლად წაღებით, და არა თავის ჟინის მიუხედავად, კინკლაობით და გარე-გარე გაწევით. მათ ორი გზა აქვთ. ჩვენში ერთი თეატრია, რომე-

დიდ ძლიერს იჩინეს თავსა: ან ამ თეატრში უნდა შეგროვდნენ, ან სამუდამოდ გამოსაღმნენ. არჩევანი ადვილია. თუ არა და საწვალბუქს ცსოვრებს ნურც თვითონ ისდიან და ნურც სხვას უსდიან. მაინც ეს დიდ ხანს ვერ გასტანს და კარგა მოთქმეობა მათრებთ. მათ, ჩვენმა ნიჭიერმა არტისტებმა, უნდა იცოდნენ რომ საზოგადოება წინათ, პირველ ხანებში მათი პატივის-მცემელი იყო; მერე თან და თან დაჭკარგეს ეს პატივი და დღეს მათ ისე უტყურობან, როგორც არც ერთ დაბალ წოდების დაწყებულს ვაჭებს არ უტყურობან. ამ მდგომარეობიდან მითის გამოსვლისათვის, არ ვიცი, შეუძლია რასმე დასმარება და ამალება, თუ არა? ძალიან ძნელია, თუძცა შეუძლებელიც არ არის.

რაც უნდა მოხდეს არტისტებში, ჩვენ მაინც იმას ვიტყვით, რომ სასცენო საქმეში მწერლობას თავისი განსაზღვრული ადგილი უნდა ეჭიროს დირსეულად და შორ-მსუდველობით. შენდომა უოველთვის შეიძლება, მაგრამ ამასაც ზომს აქვს. მისი აზრი უფრო ღრმად და ძირიანად უნდა სჭვრეტდეს სცენის საქმეს, თორემ დაჭკარგავს ავტორიტეტობის ძლას. თეატრისათვისაც, აქტიორებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. მისი შესება ამ საგნისადმი უფრო ცნობიერი უნდა იყოს და არა ალალ-ბედითი.

## ბ უ ზ ი.

ხარები მოწმენ ალღსა, ბღღმით გაჭიმეს ხნულები,  
ახლა შინათკენ მიდიან ჯაფისგან მოქანცულები!...  
გუთანი მიაქვთ ღრეჭინით, ბუზი შამოხვდათ გზაზედა,  
შესძახა მეორე ბუზსა, შაკ ხარს რომ ეჯდა რქაზედა:  
ასადა ყოფილხარ, დობილო? რად დაგგვივიწყე ჩვენაო? »  
მან უზასუხა: « ვმუშაობთ, ვერ მოვიცადა მენაო:  
გუთანი გვება მინდორში, გამოვიყვანეთ ალოო,  
ახლა პურს გვაქვს სალქო, უნდა დავმართოთ ვალოო!.. »

თ. რაფ. შრისთავი.

მინორ  
თავი თავზე ატარებ

\* \* \*

მეც ღმერთი ვარ ერთი — ვინმე უარობი  
მდიდარი ვარ გულდით, ჯიბით ღარიბი!

---

მოღობ, ძმანო, ღმერთიანათ დაკლიათ,  
ღარდი, წყლული გულში მოკვლათ, დაკლიათ!  
ოხერია, სედავთ, წუთი სოფელი;  
სიცოცხლე აქვს ჩვენთან გასაყოფელი!

---

მეც ღმერთი ვარ — ერთი ვინმე უარობი,  
მდიდარი ვარ გულდით, ჯიბით ღარიბი!

---

ჩვენი ბიჭი რადისზე დაღონდება?  
სჩანს, სიკვდილი, ძმანო, არ გაგონდება!  
ჩვენ ვიღმერთოთ, რა მიგვდევს საიჭიროს?  
დე, სიკვდილმა ბრძანით თავი იჭიროს!

---

მეც ღმერთი ვარ — ერთი ვინმე უარობი,  
მდიდარი ვარ გულდით, ჯიბით ღარიბი!

---

ვის აბრალდებთ თქვენ ბედს და უბედობას?  
დაანებეთ თავი მაგვარ უბედობას!

ეე! მუდრეგ! ჭა!... წელში გაიჭიმე:  
 ლოთიანი, ძმებო, მიუგვარს ბიჭი მე.

მეც ლოთი ვარ—ერთი ვინმე უარბი,  
 მდიდარი ვარ გუფით, ჯიბით ღარიბი!

რას განუძლით, ჩამოუშვით ყიფკები?  
 გაიციანთ, ნუ სარტ მეთქი ბრყიფები!...  
 რას მაქვიან ტირილი და წუსილი,  
 გავანინოთ სეფათ მუშტის ქუსილი!

მეც ლოთი ვარ—ერთი ვინმე უარბი,  
 მდიდარი ვარ გუფით, ჯიბით ღარიბი!

ბიჭობას ამ დროში დასაკვიხი,  
 მტერს დაკასკდეთ თავზედ, როგორც რომ მესი!  
 თითო ზორობათ დაგაგეროთ გვერდებში,  
 გენაცვალეთ მაგ ქრასტებში, დმერთებში!

მეც ბიჭი ვარ—ერთი ვინმე ღლეული,  
 თუ არ გამომთ, ვიყო ღვთისგან წუეული.

ავ. საგარელო.

არის ანტიკომ  
1840-ის 1578

→ უინაური მიმოხილვა

დადგა მარხვა სინანულისა, მოკიდა დღე განკითხვისა. ამ განკითხვისა ვი არა, რომელსაც საშინელი განკითხვა ჰქვია და რომელსაც ჯოჯოხეთი და «ღრტენა ვბილთა» მოსდევს. არა, ბატონებო, ეს იმისთანა განკითხვაა, საცა თვითონ ბრადეული თავისის თავის გამკითხველია და მსაჯული. მაშასადამე, აქ «ვბილთა ღრტენას» და ჯოჯოხეთს ადგილი არ ექმნება. აქ მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კაცმა თავისი ცოდვები ჩამოთვალეს და ჰსთქვას: ვინანიო. რაკი ეგრეთ, უკელა კაცი უნდა დაუთვიქრდეს თავისს წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ ჰსურს ქრისტიანული წესი აღსრულოს და დრო სინანულისა ტყუილ-უბრალოდ არ გააქარწყლოს.

მეც ქრისტიანი ვარ და არა რა ქრისტიანობრივი არ მეუცხოების. მეც დავიუენე ჩემი თავი ჩემ წინა, ვითარცა მსაჯულმა და გამკითხველმა, და ვკითხუ: ახა რას ინანი და რას

არა? სანანებელი ცოდვაა და არ სანანებელი მადლიაო, მივასუს-  
 სა. ახა მამ ჩამოთვალე თვითოეული ცოდვა, რაც შენ ჩაგიდუ-  
 ჩია-მეთქი. ჭკერ მიბძანეთო, მივასუსხა: რა არის ცოდვა და  
 რა არის მადლი და მე რე იმისდა გვარად მეც მოვასუსებო.  
 ამისთანა პასუხმა დავთრები სულ მთლად ამირა. ჩავიხედე  
 ჩემის გულის დაკთარში და თუმცა მაგისი პასუხი იქ ვიპოვე,  
 მაგრამ დავთრის ბოლო ფურცელზედ ეს ეწერა: შენი შენთვის  
 შეინახეო, საქმე ის არის სხვა რას ჭფიჭრობს მაგ საგანზეო.  
 მიმოვიხედე ჩემს გარეშე, დავეკითხე ძველსა და ახალსა,  
 აქედ ვეცი, იქით ვეცი, შრავალი ჭკვიანი კაცი ვნახე, მრავალი  
 წიგნი წავიკითხე და ვცან, რომ ადამიანის უბედურობა დღემდე  
 იმაში ყოფილა და დღესაც იმაშია, რომ ვერ მიუგნია რა არის  
 ცოდვა და რა არის მადლი? რას ჭკვიან კეთილი და რას ბო-  
 როტი? რაც გუშინ ცოდვით აღიარებულა, დღეს ის მადლათ  
 მიგვაჩნია, რაც ერთს ჭკვიანში მადლათ ჩათვლება ადამიანს,  
 ის მეორეში ცოდვაა, რაც ერთს შემთხვევაში ცოდვაა მო-  
 მავკდინებელი, ის სასულთვანი საქმეა მეორეში. მაგალი-  
 თებრ, უწინ <sup>გაგილი</sup> გაგილი კინაღამ რეცხლში დაჭსკეს—რად  
ჭსთქვიო, მზე დგას და დღა-მიწა ტრიალებსო და ესლა  
ვი რომ შირველის გლასის ბაღდმა ეგ არა ჭსთქვას, როზ-  
გით გაჭსეთქენ. სპარსეთში რომ მთავრობას აშკარა ცუდი  
 რამ დაუწინო, ენას მოკვრიან, ინგლისში რომ ეგვე ჭქმნა,  
 გზას მოკვებენ დიდებისა და სასულისათვის. კაცმა რომ აბე-  
 შახს მოგიყვანოს, შენი ადამიანობა შეჭლახოს და შემოგაკვდეს,  
 დაგახრჩობენ, რაში რომ ერთის მაგიერად ათასი სული გა-  
 ყლიტო, სასულთვან კაცად ჩათვლიან. მშვიერ-მწუფურვალთა  
 სიკვდილისაგან გადასარჩენად ერთი ლუგმა პური რომ მოიპა-  
 რო, კირის აბანოში გაკვრენ თავს, მტრის ჭკვიანა რომ მთლად

გადაჭბუგო და ათასი კაცი შიმშილით ამოასრხო, სახელოვან საქმედ ჩაგუთქვლება. ახა მოდი და ლარი გაახი, ლარს იქით ცოდეებს მოუყარე თავი და ლარს აქედ მადლსა!... რად უნდა იყოს ესე, თუ გონება ადამიანისა ეკვლეგან ერთ-ნაირად საღია და მართლი? რა ქმნას გამკითხველმა და მსაჯულმა როცა ამისთანა უთავ-ბოლო დაკთარი აქვს ხელში ცოდევა-მადლის გასარჩევად? გამკითხველს და მსაჯულს კიდევ არა ეკნება-რა, რა ჭქმნას თვითონ განსაკითხველმა და განსასჯელმა? როგორ მოაწუროს თავისი დღეები ცხოვრებისა, სად დაისიოს უგან და სად წაიწიოს წინ? რა იხელთოს და რა უგუიროდოს? რას გაეჭტეს და რას მოეწიოს?

კეთილი და ბოროტი, ცოდევა და მადლი მარტო ადამიანის გულის-ხმის საქმეა. უტუეის ბუნების წინაშე არ არსებობს ეგ განსხვავება. ადამიანის გარედ ცოდევა და მადლი არ არის და რადგანაც ადამიანი ეკვლეგან ადამიანია, მასსადაც, რაც ერთგან და ერთისათვის ცოდევაა და ბოროტი, მეორესათვისაც ცოდევა და ბოროტი უნდა იყოს ეკვლეგან, ეოკვლთვის და ეკვლა შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და დღე-მუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. რატომ? «რატომა»? საქმეც იმაშია, რომ მაგ «რატომს» ჟურ აქამომდე ადამიანმა გულ-დაჯერებულად ვასუსხი ვერ მოუზოვა.

ესლა ხან ერთის დიდად გამოჩენილის მწერალის ნაწერი წავიკითხე. საკვირველი ჟოჯოხეთი გამოუვლია თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში, თუმიცა მისთვის ბედს ეოკვლის ფერი უხვად მიუნიჭებია. რა გინდა, სულა, გულა, რომ მას არა ჭქმნია: დიდი ნიჭი მწერლობისა, დიდი სახელი, დიდ-გაცობა, დიდი ოჯახი, დიდი სიმდიდრე, ძალიან კარგი ცოლ-შვილი, ჯანა, სიმართლე, ერთის სიტყვით, ეოკვლის ფრით და მრ-

კალ-გეტად ბედნიერი ყოფილა გარდაცემ, თუ ეგრე ითქმის. სო-  
ლო შიგნით კი, გულში ერთი ჭია ასჩენია, რომელსაც უღრ-  
ღნის მისი სულიერი აწსება და იმისთანა სასოწარკვეთილებამ-  
დე მიუყვანია, რომ გადაუწყვიტოს, — ვეკლავთერი ფუჭიაო,  
სიცოცხლე სიცოცხლედ არ ჰქონდა და ჰქამოდა თურმე თა-  
ვის თავის მოკვლას. დღე ყოველი მისი ერთი დაუძინებელი  
ბრძოლა და ჭიდილი ყოფილა, გამწვავებულ ბრძოლა და ჭი-  
დილი სულიერი, რომელიც უფრო მწვაია, ვიდრე გაზით  
სოროცის გლეჯა, ვიდრე სოროცის წვა გახურებულის შანთითა.  
ამ სასოწარკვეთილების მიზეზად ის გახდომია, რომ ვერ მი-  
უგნია: ცხოვრებას რა აზრი და საგანი აქვს ანუ უკედ ვსთქვათ,  
რამა აზრი და საგანი ცხოვრებისაო. თითონ თქვენც იტყვიან,  
რომ ეს ამიტანა შეჩვენებული ამიტანაა. რაკი ეს ამისთანა ამი-  
ტანა შეუჩნდება ადამიანს, მე არა მგონია, სხვა უარესმა ჯო-  
ჯოხეთმა-ღა ბუდე გაიკეთოს ადამიანის გულში. საცოდავია  
კაცი, დეგნული ამ ამიტანსაგან, მაგრამ დიდებულად კია. ღონე  
სულისა მეტად განდიდებული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ  
ამიტანას შეეჭიდოს და გაემკლავოს. ეგ შეეჭიდება და გამ-  
კლავება ვიდრე არაფერი. საქმე იმაშია, რომ კაცმა თავის  
სიცოცხლის ძაფი მაგ ამიტანას ჩააბას, ან გაკახუნა მისი  
კვანძიო, ან არა და თვით სიცოცხლის ძაფი ჩემი ზედ შევა-  
წყვიტოო.

სწორედ ეგრე გადუბამს თავისის სიცოცხლის ძაფი ამ  
ამიტანაზედ ხსენებულს მწერალსა. ყოველივე მეცნიერება ფსკე-  
რამდე გონების თვალთ მოუჩხრეკია, გამოუძიებია, არ დაჩ-  
ქნია არც ერთი ფილოსოფოსი ძველი, თუ ახალი რომ ზედ-  
მიწევნით არ შეესწავლოს, ყოველივე ჭკუისა და ხელის ნა-  
მოქმედად ადამიანისა აუწონ-დაუწონია, ყოველივე სოროციელი

სიკეთე ამა წუთი-სოფლისა სელთა ჭქონია და გამოუგვლევია, უკვლავ და უკვლავსათვის ერთი და იგივე უკითხავს და იმ წუთის ამიდანის ნამდვილი და გულ-დასაჟერებელი ზასუსი კერ მოუპონია კერსად, კერათერში და კერავისგან. რაკი ეგრეთ და სინტონსლის აზრი კერ მოიპოვებო, მას სინტონსლე სინტონსლეთ არა ჭლირსო და უოფნას არ უოფნა ჭსჯობიაო. გადუწიეტი და თავისთავის მოკვლავად მიმდგარა. ამ ამიდანის რომ ნამდვილი, უცილობელი, გულ-დასაჟერებელი ზასუსი მოენახებოდეს, მაშინ ჩვენს «რატომსადა» წამალი დაედებოდა და შავი შავი იქნებოდა და თეთრი—თეთრი უკვლავსათვის, უკვლავ და უკვლავს შებთხევაში,

ამ წუთის ამიდანის ჭიას დიდი ხანია კაცის გულში ბუდე გაუკეთებია. ჯერ კიდევ სოლომონ ბრძენს, რომელს იგი გამოჩენილი მწერალიც ამის გამო ისვენებს თავის ნაწერში, მაგ ამიდანამ დაუწულულა გული და ეს უნუგეშო, გულ-საკვლავი სიტყვები ამოკუნესა: «ამაო ამოკებათა და უოკვლავე ამაო.» აი რა გვარმა მსჯელმა ამ მიიყვანა სოლომონ ბრძენი ამის თქმამდე:

«რა უმეტესობა არს კაცისა უოკვლავე შინა შრომისა მისსაო? ნათესავი წავალს და ნათესავი მოვალს და ჭკუყანა ჭტობს უგუნისამდე, აღმოხდების მზე და დახდების მზე» და თავის ადგილადვე მიიზიდებაო; გარემოს გარემოვლით დადის სული და სიმგვრველსა თვისსა ისეუ მოიქცევისო; უოკვლავი ღვარნი შესდიან ზღვასა და ზღვა მინც არ ივსებაო; უოკვლავთა სიტყვათა შრომისათა მამა-კაცი კერ შემძლეველ არს თქმად და არა აიკლება თვალთა და არცა უური სმენითა; რაც უოფილა, იგივე იქმნება, რაც საქმნელია, იგივე ქმნულა და არა რა არს მისესა ჭკუე ისეთი, რომ შეიძლებოდეს

ითქვას: აჭა ეს ახალია. რაც აწ იქმნა, საუკუნეთა შინა ქმნულნი არიან წინასწარ ჩვენსაო. მე მეფე ვიყავი ისრაელთა ზედა და მივეცი გული ჩემი გამოძიებად და განხილვად სიბრძნისა ყოველთათვის ყოფილთა ცათა ქვეშე, ვნახე ყოველნი ქმნილნი და ნაქმარნი მზესა ქვეშე და აჭა ყოველი ამაოება და აღჩეკვა სულისაო! აჭა განვდიდდიო და შევიძინე სიბრძნე უფროს ყოველთა, რომელნიც იყვნენ უწინარეს ჩემსა, გული ჩემი მივერგ ხედავდ სიბრძნისა და მეცნიერებისა და გულმან ჩემმან ნახა მრავალი სიბრძნე და მეცნიერება, იაკობი და ხელმოკნებისანი და ვცან, რომ ესეცა ამაოებაა და აღჩეკვა სულისაო. განვადიდე ქმნულნი ჩემნი, ავიშენე სახლები, დავნერგე ვენახები, გავიკეთე მტილნი და სამოთხენი, დავნერგე მათშინა ხენი უოგლისა ნაყოფისა გამოკვივანე ჩემდა საბანებლად და იმ ნორჩოვანთა ხეთა საწყავად წყალნი, მოვიგე მონანი, მხეკალნი, შეკანდნენ სახლის-წულნი, შევიძინე მრავალი სამრეწლოსი და სამწესოსი, შევიკრიბე კერტხლი და ოქრო და სიმდიდრე მეფეთა ქვეყანისა, შევიკრიბე მეძლეურნი მამანი და დედანი ჩემდა ყურთა დასატებობად, შევიძინე სიბრძნე უფროს ყოველთა, ჩემზედ უწინარეს მეფეთა და სიბრძნე ჩემი დავადგინე ჩემდა, ყოველი რაც ჩემმა გულმა და თვალმა ითხოვა, არა რა დავიკელიო. ხოლო რა მივიხილე მე ყოველთა ჩემთა ნაქმართა, რომელიც ჰქმნეს ჩემთა ხელთა, ვჰსთქვიო: «აჭა ესეცა ამაო და აღჩეკვაო სულისა!» მივიხილე მე ხილვად სიბრძნისა და უგუნურებისა და ვნახე სიბრძნე ჰსჯობს უგუნურებისა, როგორც ნათელი ბნელსა, ბრძენი სინათლეში დადის და უგუნური ბნელშიაო. მაგრამ რა გამოვიდაო? ერთი და იგივე შემთხვევა ორივეს ერთ-ნაირად წაგვანდენსო, უგუნურის შემთხვევა მეც შემთხვევიო და რაღა უმეტესობაა სიბრძნეშიო?

ბრძენსაც ისე დაივიწყებენ, როგორც უგუნურსა, სიკვდილი  
 ორივეს თანასწორად ჰხრცის, ყოველნი მიწისაგან შექმნილნი  
 არიან ჭ მიწადვე მიიქცევიან და მოკიდულე ცხოვრება და ყოველნი  
 ჩემნი ქმნილნი, მოკიდულე მე ყოველი სოფელი და შრომა  
 ჩემი, რადგანაც იგი უნდა დარჩეს «გაცნა ყოფადსა შეძგო-  
 მად ჩემსა» და ვინ იცის ბრძენი იქნება თუ უგუნურა იგი,  
 რომელიც დაებატრანება «ყოველთა შრომითა ჩემთა, რომელ-  
 სა დაუშეკრ და რომელსა ვბრძნობდი მზესს ქვეშეთ.» და აჴა  
 ესეცა ამოებან.

მამლარი მშენის წერილად უფშენიდაო, რომ იტყვიან,  
 სწორედ ეს არის. ამ დალოცვილს ყველაფერი, რაც კაცის სა-  
 ნატრელია და დამატებელი, ხელთა ჰქონია, ასე რომ ქვეყა-  
 ნაზედ სხვა აღარა დარჩენია-რა სასურველი. ამ ყველაფრობას,  
 მისდამი ისე უხვად ბედისაგან მინიჭებულს, გული აუსუებია  
 და რასაკვირველია, რომ გულ ასუეებულმა ყველა, რამაც გული  
 აუსუეა, ამოებთ ჩასთვალოს, ნამეტნავად მამინ, რაცა თვალ-  
 წინ წარმოუდგება, მაწა ვარ და მიწადვე მივიქცევაო. აბა პა-  
 ტარა დაიქვეითონ და ზოგი ჩვენა გვიითონ, ჩვენ მდაბიოთა  
 სიკვდილის შეიღთა, რომელთაც ყველაფერა გვენატრება, რა-  
 მელნიც ყველაფერს სისხლით, ოფლით, წვითა და დაგვით  
 გმოუღობთ და წილად გვხდომია იმავე წვითა და დაგვით ნა-  
 შოვნ-ნაამაგვარი დავიცათ და შევირჩინოთ. ჩვენა გვიითონ და  
 ჩვენ ვეტყვათ: რამაც არის აზრა, საგანი ცხოვრებისა. მამინ  
 გამოჩნდება, — რა არის ცოდვა, რა არის მადლი, მამინ ერთ  
 ნაინად გაისამზღვრება ერთიც და მეორეც ყველგან, ყველასა-  
 თვის და ყოველ შემთხვევაში. ჩვენ ამას არავინა გვიითხვას და  
 თუნდაც ივითონ ვინმემ, «ვერ შემძლებულ არს მამა-კაცი თქმად  
 ამისად» სოლომონ ბრძნისა არ ზეოს. შენც სუ! და მეც სუ!

ესა თუ არა, ჩვენ ამ მძლავრ ფაქტებში ტრიალს თუ არ დავანებთ თავი, შორს წავა საქმე. სოლომონ ბრძენს მარტო უგვადება-ღა ჭქონდა სანატრელი, სხვა ყველა ბედს მასთვის მიუნიჭებია. ჩვენ კი «არსებითი პურიც» გვენატრება. სად ჩვენ და სად სოლომონ ბრძენი? ჩვენ მისამდე არც ხელი მიგვიწვდება და არც სურვილი. ჩვენ ჯერ ბეჭი გიბეები გვაქვს ასასვლელი და ჯერ არც ერთს საფეხურზედ თესიც არ მოგვიკადებია. უბედურს ვაცს ქვა აღმართში მიეწვავა. ჩვენ თუმიცა ძალიან ბედნიერი ვართ, მაგრამ ყველაფერი ფათურაგის საქმეა: შეიძლება ქვა აღმართზედ ბედნიერსაც მოეწიოს და ამას წინასწარვე გაფრთხილება ჭმარებებს.

თუმიცა სოლომონ ბრძენს გავუბედეთ და სიტყვა მტრ-ნაკლებობით შეგუბრუნეთ, მაგრამ მე და ჩემმა დემეტრამ ზოგში კი აშკარად მართალია. მართლად, საშინელებას, რომა შენს ნაწვავ-ნადაგსა, შენს ნაჯათავსა, შენს ნაბრძნობსა უგუნური დაუბატონება. გინდა თუ არა სოლომონ ბრძენსავით ამოიგვესებ და იტყვი: თუ ეგრეა (და რომ ეგრეა, აშკარად ვხედავთ) რისთვის დაგვერ და რისთვის ვბრძნობდი მზესა ქვეშე?

ყველა ყველა, მტყვიან: შენ შინაური მიმოხილვა დაგუბირდი და მაგას რაებსა ვბოდადი. დემეტრი — რჯული მეც არ ვიცი რაებსა ვბოდადი. ეს კი ვიცი, რომ მართლად ვბოდადი. რომორღაც გზა-კვალს ამერია და დაიბნეო. თავი სინანულით დავიწე და ღამის წაწმედის გზაზედ გავიდე და სამგლე გოჭსავით გავისისწერიო. იქნება არ დაიჯეროთ და ერთი საოცარი, უცნაური სენა დამიქმდა. ამბობენ, ეს სენა მარტო მე არა მჭირს. თურმე ნუ იტყვი, ყველას, ვისაც ჭკუასთან რამე საქმე აქვს, იმთავც ის ემართებათ, რაც მე. დავფაქრდები

რახვედმე თუ არა, ან ჩაუუკვირდები რასმეს და ტკინის ძაფები-  
 მოძრაობაში შეკვლენ, ერთი რაღაც სულთა-მსუთათასავით ამეტუ-  
 შება თვალ-წინ და არა მშორდება. ესლაც ამ ყოფაში ვარ,  
 თუმიცა თქვენცა სედავთ, რომ ჭკუასა და ამ ნაჯღაბნს ერთმა-  
 ნეთში არაფერი გავშირი აქეთ. ესლაც თვალ-წინ მიდგა და სა-  
 შინელს ჯადოს მიკეთებს. მე ერთის თქმა მიბნდა, ის სულ  
 სხვას მალაპარაკებს, ენა ჩემი იძვრის, სიტყვა იმისია, კლამ-  
 ში ჩემი სწერს, აზრი იმისი გამოდის. რა შემართება არც  
 მე ვიცი. ჭეყანა ჩემ თვალ-წინ როგორღაც უსერიოდ, წაღმა-  
 უკუდმა ტრიალებს, თითქო ღერძი გაუტყდა და საცა არის  
 ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიმსხვრევა. მე ვშიშობ  
 და ვკანკალებ, მართლაც ესე არ მოხდეს მეთქი, ის ჩემი სულ-  
 თა-მსუთავი გი თავს მადგია და იღრიჯება, იტინის. რას იღ-  
 რიჯები, შე უგვარო, უმგზავსო მეთქი, ვეუბნები. იმან ზასუ-  
 ხად ღორის ეშვებსავით თავისი სიბერისაგან ფანფულა ღოჯუ-  
 ბი წამომიყარა და ამოჭკარტლულ ბუნარსავით შავი ჰარი უფ-  
 რო დიდად დააღო. ფუ, ეშმაგო! მეთქი, დავიუვირე, მაგრამ  
 კერც ამან გასჭრა. ზირჯვარი დავიწერე, შენც არ მომიკვდე,  
 არც ამან მოაწყვლევისა ფეხი. რა ყოფილა თქვენი ჭირბეთ!  
 ესე ამ ყოფაში ვარ ხოლმე, მინამ მამალი იუიკლებს. რაჟი ის  
 დაღოცვილი წამოიუიკლებს ხოლმე, სულთა-მსუთავიც უცხად  
 თვალ-წინ გამიფრთხება, გაჭრება, როგორც ქარისაგან ხოლი.

ესლაც გი საათი ჭეყნისა მოშლილთა და არ ვიცი ამ ყა-  
 მად მამლის ყივილამდე ბეჭი დრო დარჩა კიდევ თუ არა.  
 ვზივარ და შეკუთრებ სულთა-მსუთავს, ვზივარ ღოდინით და-  
 ლაღული და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვი-  
 ლოდინო, როდემდის! შე დაღოცვილო მამალი, რაღას უუ-  
 რებ და არ დაიუიკლებ!...

მანც რისთვის გავხი დაზარალი სოლომონ ბრძენსა და იმ წყეულ ამიდანაზედ, მეც კერ გამოვია. მე ვგრძნობ, რომ ძალიან შეგტოვებ და თავს ბოლო ველარ გამოვახი. რით და-გისრულეთ სიტყვა, არ ვიცი. ჩემი კალამი ჩემს სურვილს ეუბნება. ჩემგან ნახვენებს ბარდებში ბილივი თქვენ თვითონ გაიგნეთ. მე კი ვდუმილები და ვიდრე მამალი დაიფივლებდეს და ეს სულთა-მხუთავი გამიფრთხებოდეს, მე ჩემსას არას ვიტყვი და ისევე სოლომონ ბრძენს ვადაზარავებ. არც საშიშია, არც საკრძალოელი.

სოლომონ ბრძენი ამბობს, რომ უკვლას თავისი დრო და ყამი აქვს ცათა ქვეშეო და ასე განაგრძობს:

ყამი შობისად და ყამი სიკვდილისად, ყამი დანერგვად და ყამი აღმოფხვრად დანერგულისა, ყამი წყეულებად და ყამი გურნებად, ყამი დარღვევად და ყამი შენებად, ყამი ტირილად და ყამი სიცილად, ყამი გოდებად და ყამი განცხრომად, ყამი განყრად ქვათა და ყამი შეკრებად ქვათა, ყამი გარდახვევად და ყამი განშორებად გარდახვეულისაგან, ყამი ძიებისად და ყამი წაწმენდისად, ყამი დამარხვისად და ყამი აღმოთხრობისად, ყამი განხვევისად და ყამი შეკერვისად, ყამი დუმილისად და ყამი მეტყველებისად, ყამი სიყვარულისად და ყამი სიძულელისად, ყამი ბრძოლისად და ყამი მშვიდობისად.»

აი თურმე სად უნდა გვებოთ ვასუხი იმ წყეულის ამი-ცანისა? აი თურმე სად უნდა მოიძებნოს აზრი ცხოვრებისა! მე შოკს, ფილოსოფიის მორკუში არ შედივარ, თავი ხომ არ მომიძულებია, რომ დასახრჩობად გამოვიძეო. მე მოკლედ ვსჯი და მოკლედ ვსჭრი: აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიძინო: ყამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, განყრას, თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვა-

რუღსა თუ სიძულადს, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა, რაც ჩამოთვლილია სოლომონ ბრძნისაგან.


«დროს ჭსჭვრიტე, უამთა რა მოაქვს,

რას ისხამს, რა მოითვლები?»

ქართველთაგან თქმულია. მეც ქართველი ვარ და არა ქართული არ მეუცსოების, ამიტომაც ღმ ამიდანას ამისთანა მასებს ვაძლეე და ზედ დავაწთავ:

„თუ უამს ხელთ აქვს ისარიო,

შენცა ხელთ გქონდეს ფარიო.“



# მედიცინათა განრიხი

ბ. ბ. გოგებაშვილის და ღულაძის

წიგნების შესახებ.

ქართულს ჰედაგოგიურს ყუჩნაღ «ნობათში» იყო, როგორც უწყიან მკითხველებმა, ბიბლიოგრაფიული წერილი ბ. ი. გოგებაშვილისაგან შედგენილის წიგნის «კონის» შესახებ. მის მასხვად «კონის» ავტორმა დაბეჭდა გაზეთს «დროებაში» საბაასო წერილი, რომლითაც «ნობათის» რედაქტორმა ბ. ა. ღულაძემ ჰსცნა «შეუჩაცსყოფილად როგორც ნობათის პატროსანი განზრახვანი, აგრეთვე შიწდათ თავის თავი.» ამის გამო, «დროების» საშუალებითვე, მოითხოვა ბ. გოგებაშვილისაგან მედიტორების დანიშნა ამ საქმის გასარჩევად. მასი მასშინდელი აზრით, მედიტორებს უნდა განესიდათ, როგორც «ნობათში» დაბეჭდილბ ბიბლიოგრაფიული წერილი და მისი დიწსება, აგრეთვე ბ. გოგებაშვილის საბაასოცა და გადაწყვიტათ: ა) რაქმდენად საფუძვლიანად უარ-ჰყოფს უკანასკნელი შიწველსა და ბ) რა უფლებით აძლევდა ბ. გოგებაშვილი თავის თავს ნებას, რომ უპატრიურად იხსენიებდა, როგორც «ნობათის» სახელს, აგრეთვე მისი რედაქტორისა. »

ბ. გოგებაშვილი დათანხმდა მედიატორების აღმორჩევა-ზე და ესეთი კითხვები დადგინა პირველად «დროებაში» და ბუქდილ პასუხში: 1) მოყვრულად ვექვევოდით ჩვენ ნობათსა და ვცდილობდით მის წარმატებისა და გავრცელებისათვის, თუ არა? 2) «საყმაწვილო კონის» შესახებ მისი წერილი საფუძვლიანი და ზრდილობიანია, თუ უსაფუძვლო, ბავშური და ბრყული, და მან ამ წერილით სიკეთისთვის ბოროტი მოგვარა, ანუ ვინ სტუეის: ბ. ლუაძე, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ «კონა» უოკლად გამოუსადეგარი წიგნია, თუ სტუეოდა კერძო კომიტეტი, რომელსაც შეადგენდენ ყურნაღის «კრებულს» რედაქტორი ბ. კირილე ლორთქიფანიძე და რამდენიმე მისი თანამშრომელი, რომელმაც ათი წლის წინად განიხილა ჩვენი წიგნი და სცნო იგი იმდენად სასარგებლოდ, რომ არამც თუ დაბუქდა იმ ფუფით, რომელიც ბ. ზარაფოკვა შესწირა ქართულ საყმაწვილო წიგნების გამოსაცემად, არამედ კიდევ დააჯილდოვა ზარაფოკვისავე რც თუმბანან პრემიითა. 3) მართლა ჩვენ რამე შეუსაბამო შეურაცხყოფა მივაყენეთ ბ. ლუაძეს, თუ მისი წერილი სწორედ ღირსი იყო იმ გვარა პასუხისა, რომელიც ვაგეთ მას? თუ ბ. ლუაძემ უსაიდად მოიკატუნა თავი, განზრახ ჩასთვალა თავისი თავი შეურაცხყოფილად? 4) სასარგებლოა ჩვენი პედაგოგიური ლიტერატურის აღორძინებისთვის იმ გვარა კილვა, რომელიც ბ. ლუაძემ უძღვნა «კონას», თუ მავნებელია და სათავილო უოკლ ყურნაღისათვის?»

რაცა აღმორჩეულნი მედიატორნი შეუდგნენ საქმის განხილვასა და მოსთხოვეს ბ. ბ. ლუაძესა და გოგებაშვილს კითხვების დადგენა დაბოლოებით, მაშინ ბ. ლუაძემ შესცვალა თვისი, შემოხსენებული კითხვები, უარი განაცხადა გაკვერ-

ჩიას საქმე უოკელ მხრით, შეგხებოდით «კონის» შესახებ დაბეჭდილ წერილის შინაარსს, მის სიძაბრულესა და საფუძვლიანობას და წარმოუდგინა მედიატორებს გადასაწყვეტად მხოლოდ შემდეგი კითხვა: «მიუხედავად მისა, თუ რაკუნად მართალია სუბექტიური მსჯელობა რათა მოწინააღმდეგე მხარეთა წიგნის «კონის» შესახებ, გაისაჯოს და გადაწყდეს კითხვა: შესაწყნარებელია ბეჭდვაში ისეთი ლიტერატურული ფორმა, რომელიც მათ იხმარეს, თუ არა?»

ბ. გოგებაშვილმა, თავის მხრით წარმოუდგინა მედიატორებს უწინდელივე კითხვები, მხოლოდ ამ გვარად შემოკლებული: «გარჩევა კონისა, დაბეჭდილი ნობათში, პრინციპიალური კრიტიკაა, თუ უფრო პირდაპირი კიცხვა, საკსე საწყენი და დამამცირებელ სიტყვებით? თუ უკანასკნელი მართალია, უმართლებოდა ბ. ლულაძე გოგებაშვილს, თუ არა? გოგებაშვილმა გაამტყუნა თუ არა ბ. ლულაძის წერილი? იხმარა, თუ არა მან საწყენი სიტყვები, და თუ იხმარა, მისცა ბ. ლულაძემ საკმარისი საბუთი და საფუძველი, თუ არა?»

შემდეგ ამისა მოკისმინეთ იმავე კრებაში, რომელსაც საკმაოდ გარეშე პირებიც დაესწრენ, ბბ. გოგებაშვილისა და ლულაძისაგან წარმოდგენილი სადაო საქმის განსამარტებელი და თავიანთ თავის განმართლებელი წერილები, რომელთაც მათ, წავითხვის დროს, სიტყვიერადაც დაუმატეს, რაც რამ სათქმელი ჰქონდათ.

ჩვენ მედიატორებმა, მივიღეთ რა საფუძვლად რაივე მოდებუ პირთაგან წარმოდგენილი კითხვები, განვიხილეთ დაწერილებით, როგორც «ნობათში» დაბეჭდილი კრიტიკული წერილი «კონის» შესახებ, ისე ბ. გოგებაშვილის პასუხი; მივიღეთ ზრუნვე მსჯელობაში ბბ. გოგებაშვილისა და ლულაძისაგან

წარმოდგენილი წერილები თავიანთ თავის განსამართლებლად და უოკელივე, რაც კი მათ სიტყვიერად წარმოსთქვენს ჩვენს წინაშე და დაკადგინეთ შემდეგი დასკვნანი.

1) გარჩევა «კონისა», დაბეჭდილი ჟურნალს «ნობათში», ვერ ვსცანით ჩვენ პრინციპიალურ კრიტიკად. ის არის დაწერილი ცხადის განზრახვით დამცირებს უსამართლოდ, რომ გორც «კონა», ისე თვითონ მისი ავტორი საზოგადოების თვალში და დასდოს ლაქი მის პედაგოგიურსა და ლიტერატურულს ღვაწლს. კრიტიკულ წერილში არის ისეთი აგვალეზი და სიტყვები, რომელნიც უთუოდ უნდა ჩაითვალონ შეუსაბამოდ, არა საკადრისად, შეუწყინარებლად ბეჭდითი სიტყვაში, მეტადრე საუმაწვილო პედაგოგიურ ჟურნალში, და საწყენად და კიცხვად «კონის» ავტორისათვის.

2) აზრი, წარმოთქმული საბიბლიოგრაფიო წერილში, ვითომც ყველა გადმართარგმნილი და გადმოკეთებული გოგებაშვილისაგან მოთხრობანი «კონაში» გაფუჭებულნი იყვნენ, სრულიად უსამართლო არის. ის მაგალითები, რომელნიც მოჰყავს ბიბლიოგრაფიის ავტორს «კონის» შინაარსიდან იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ, ვითომც, შინაარსი წიგნისა წინააღმდეგი იყუეს მეცნიერებისა, — სრულიად უსათუძლო აღმოჩნდენ, როგორც დავრწმუნდით შემდეგ მათის შემოაწმებისა გამოჩენილი ავტორიტეტების ცნობებთან.

რაცა შეეხება «კონის» ენის ნაკლულეკანებას, საზოგადო მსჯელობა ბიბლიოგრაფიის ავტორისა მასზე, რომ, ვითომც, კონა წარმოდგენს ნამდვილ კონასა იმ დაგლეჯილ და წამხდარის ავლარულ ქართულ ენისას, რომელიც დაიბადა ქართულად მალაპარაკე სომეხთ-თათართ-ოსთაგან, მედიატორებს მიაჩნიათ ნამდვილ ცილის-წამებად, თუძცა კი, მართა-

ღია, «კონაში» ნახვენების ზოგიერთი ისეთი სიტყვები და ფრაზები, რომელნიც არ შეესაბამებინ ჩართული მართ-წილის კანონებს, მაგრამ ამ გვარი ნაკლუდეკანება, სამწუნს-როდ, საზოგადო ნაკლუდეკანებას შეადგენს ჩვენის აწინდელ მწერლობისას.

3) ბ. გოგებაშვილის საბასო წერილს აქვს შიროვნული ხასიათი. მასში ხშირად არის ნახმარი მედიდური და დამამცი-რებელი სიტყვები და ფრაზები, რომელთაც არ უნდა ქჭონ-დესთ ადგილი მწერლობაში. მართალია, ბ. ლუღაძემ თავისი უსაფუძვლო და ბოროტ განზრახვის წერილით მიმართა და მისცა მიზეზი ისეთ შიროს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის თავისი პედაგოგიურის და ლიტერატურული ხანგრძლივის, ფრად სასარგებლო შრომით ჩვენი საზოგადოებისა და სასა-მოსარდის თავობის წინაშე, მაგრამ მაინც კიდევ არ უნდა ეკადრებია მას იმ გვარი კილო თავის პასუხში, მით უფრო, რომ კილო ბ. ლუღაძის კრიტიკული წერილისა შედარებით უფრო ზომიერია.

დასასრულ, მედიატორები სამართლიანად ჭხადიან წარ-მოსთქვან, რომ ბ. ბ. ლუღაძისა და გოგებაშვილის პოლემიკურ-ნი დაჟა ისეთი განსაკუთრებითი თავისებისა არ იყო, რომ ის უთუოდ სამედიატორად გამხდარიყო. ჩვენის აზრით, უმჯობე-სი იყო, ეს საქმე თავით ჩვენი მეოთხეული საზოგადოების მსჯელობისთვის მიენდო ბ. ლუღაძეს.

ეს ჩვენი განჩინება უეტველად დაბეჭდოს როგორც გა-ზეთს «დროებაში», ისე ჟურნალს «ნობათში.» წინცა შეესე-ბა განმარტებითს წერილებს, რომელნიც მოდავე პირთ წარმო-

უდგინეს მედიკოსებს, ამათი დაბეჭდვა მიენდოს თვათ იმათ  
 ჯეტორებს, თუ წამი ისურვებენ.

მედიკოსები:

{ დიმ. ბაქრაძე.  
 ვ. ყიფიანი.  
 გიორგი იოსელიანი.

1885 წ. მარტის 2-ს.

# განმარტავითი წერილი

გეოიატორიკთა სამართალს.

მედიატორთა სამართალმა, რომელიც შესდგა გასარჩევად პოლიტიკისა ბ. ღულასქსა და ჩვენ შორის, კალად დაგვიღო წარგვიდგინა მისთვის ახსნანი და გასამართლებელი დამატებანი იმ ანტიკრიტიკისა, რომელიც ჩვენ დაგვიტყდით «დროებაში» შესახებ «გონის» კრიტიკისა; ეს უგანასკნელი დაბეჭდილი იყო «ნობათშია». ჩვენ წარგვიდგინეთ მას შემდეგი წერილი, რომლის დაბეჭდვა «ივერიის» ფურცლებზედ საჭიროდ დავინახეთ.

„მოთხრობანი, მოქცეულნი კონაში, დანიშნულნი აჩიან: საბავშვო ბაღებისათვის, სახელობისა და სკოლისათვის. ეს სამ-გვარნი დანიშნულება ბ. რედაქტორს ნობათისას შეუსაბამო რადმე მიანინა და სთვლის წიგნის პირველს ნაკლულევანებად. მაგრამ რომ იგი შემცდარი და უსაფუძვლოდ სჯის, აშკარად სჩანს იქიდგან, სხვათა შორის, რომ ვაგნერის მოთხრობებს სამის დანიშნულების მაგივრად ოთხი დანიშნულება აქვს მიტეული; ვაგნერის წიგნზედ აწერია: საბავშვო ბაღებისათვის, საბავშვო თავ-შესაფარებისა (ДЛЯ ДѢТСКИХЪ ПРІУТОВЪ), ოჯახობისა და სკოლისათვისაო. ჩვენი წიგნის მკაფხველი, თავის თავის გარდა, ვერ დაგვიასხელებს შერევი პირსა, რომელსაც ეს ოთხ-

გვარი დანიშნულება ვაგნერის წიგნისა ნაკლულებსებად ჩაეთვა-  
ლას. თუ ცოტა ოდნად საქმეს ჩავაკვირდებით, დავინახავთ,  
რომ ამ სამსა და ოთხს დანიშნულებაში გამოისატება ერთი  
და იგივე დანიშნულება, სასულდობრ ისა, რომ მისცეს ბავშვებს  
მოსასმენი და საკითხავი ელემენტარული მოთხრობანი ბუნების  
მეტყველებიდან. როცა ბავშვები ჯერ კიდევ პატარები არიან და  
იმყოფებიან ან საბავშვო ბაღებში და ან სასკოლაში, მათ მათ  
დიდები უკითხავენ ამ მოთხრობებსა, ანუ უკად ვსთქვათ, უამ-  
ბობენ ზეპირად, ცოცხალი სიტყვით: როცა მოაზრდებიან და  
წერა-კითხვაში გამაზრებიან, მიშინ თვითონ ბავშვები კითხუ-  
ლობენ მოთხრობებსა. ეს ისეთი ელემენტარული რამეა, რომ  
მისი გაგება უკვლას უნდა ჰქონდეს.

ჩვენ «კონის» წინასიტყვაობაში ვამბობთ, რომ ვიდრე  
მეორე საკლასო წიგნი არა გაქვს, მისს ადგილას კონა შეი-  
ძლება იხმარებოდეს თქო. ჩვენი წიგნის ძვირფასი მოკვდომია  
და ითხროს დაამტკიცეთ თქვენი აზრის საფუძვლიანობა. უნდა  
გავტყუდეთ, რომ დამტკიცება სრულიად არ შეგვიძლიან, როგორც  
არ შეგვიძლიან აშკარა გაესაღათ იმისთანა აშკარა საგნები, რო-  
გორც: ორიც ორი ოთხია, ბნელს ოთხში, თუ ღამეა არა გაქვთ,  
სანთელი უნდა აანთოთ, თუ რომელსამე ქვეყანაში რკინის გზა  
არ არის, ქვა-ფენილიც ღვთის წყალობაა, თუ სახანი არა გაქვს,  
პლედი უნდა წაიხერო და სხვანი. კონა მიშინ იქნებოდა დამ-  
ნაშავე, მეორე საკლასო წიგნი რომ გეჭონდეს და იგი ბრძო-  
ლად მიიწევდეს, დამიცალე ადგილი, ხომ სედავ მოკდივარო.  
როცამ გვარი წიგნი დაგვებადება, კონა თავაზიანად დაუფლის  
მას კლასში ადგილსა და თვითონ გარდაიქცევა მშველებელს და  
მარავე წიგნად და ახას დროს არ მიჰბამავს. ზოგიერთა პირ-  
თა, რომელთაც რამე მალაღი ადგილი ბრძოა შემთხვევით და-

უჭკრათ, სრულად ვერ სწვდებიან თავის თანამდებობასა, მაგრამ ანამც თუ განვითარებულს და განათლებულს პირებს არ უთმობენ, უფლების შემოსაზღვრასედაც ცივს უარს ეუბნებიან.

ქონის მკიდველი ჩვენებით შედგენილად არც ერთს მოთხოვას არა სთვლის და ამბობს, რომ სულ უველანი ან ნათარგმნი, ან გადმოკეთებულნი არიანო. ამითი იგი ჩვენ გპწამებს სიცრუეს, რადგანაც ჩვენ წინასიტყვაობაში ვამბობთ, რომ თუმიცა მოთხოვების უმეტესი ნაწილი ნათარგმნია, ან გადმოკეთებულა, მაგრამ მცირე ნაწილი ჩვენებით არის შედგენილი მეთქი. ჩვენ დაუვსახელებთ მას ოც-და-ხუთამდის მოთხოვასა, და თუ იგი გვიჩვენებს დედნებს, საიდგანაც ჩვენ ეს მოთხოვანი გადმოკვიკეთებია, მაშინ ჩვენს თავს მტუყანად ჩავთვლით ამ კერძო ვითებაში; თუ ვერ დაგვისახელა, მაშინ მას უნდა დაბრალდეს ცრუ-პენტელას საქციელი.

მკიდველი გადმოთარგმნილს და გადმოკეთებულს მოთხოვებს სთვლის მშვენიერ, ჩინებულ ნაწარმოებად თვითონ იმ თხზულებებში, საიდგანაც იგინი არიან აჩოლებულნი; მაგრამ კონაში ვი ძლიერ ამაგებს იმის გამო, ვითომც ჩვენ თარგმნისა და გადმოკეთების დროს დაგვემანჩებინოს, გაგვეფუჭებინოს შინაარსის მხრით და ცუდი, სამარცხვინო ენით გადმოკველოს. მას თავისი აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, რომელთა უსაფუძვლობა, კვანებთ, დაკამტკიცეთ ჩვენს ანტიკრიტიკაში. ჩვენი ახლანდელი დამატუბიდგან უფრო აშკარა შეიქმნება უველასათვის, თუ რაკდენად ობიექტიური იყო ჩვენი გამტუყნება მოწინააღმდეგის აზრებისა.

პირველად, მკითხველი გუგულზედ მოთხოვობას სთვლის ვაგნერიდგან გადმოკეთებულს მოთხოვობას და ამბობს, რომ წიგნის შემადგენელს დაუმანჩებიაო. ჩვენს ანტიკრიტიკაში

მკითხველებს ვახველებთ, რომ კონის მოთხოვნა სრულიად დამოუკიდებელს ნაწარმოებს შეადგენს, ეკუთვნის სრულიად სხვა ავტორსა, სრულიად სხვა მიზნით არის დაწერილი და თუ არა სჯობია, ძარს არ ჩამოუვა ვაგნერის მოთხოვნასა. ამ შედეგის გარდა, ჩვენს მკითხველებს მოუვიდათ ერთი უშვერი შედეგისა, სახელდობრ ისა, რომ გუგუელს არ შეუძლია ნიჰილურიზაცია ჩადება ვეგეტაციისა სხვა ფრინველების ბუდეში და ეს თავისებურად მოთხოვნის გადმოხვედრებს ტყეში მიუწერია ამ ფრინველებისათვისა. ფრინველთა შესანიშნავია და სამწუხარო ის გარემოება, რომ მათ ამ უსაფუძვლო სჯაში ბანა მისცეს ზოგიერთ მკითხველებს და შემდგომად ჩაკვთვას იმისთანა ჰარმონიას, რომელთაც უმადლესი სასწავლებელი შესრულებული აქვთ. ეს ფაქტი ცხადად ამტკიცებს, თუ რაკვინად ნაკლებად არის მოფენილი ჩვენში ბუნების მეცნიერება და რაკვინად საჭირო და სასარგებლოა ქართულს ენაზედ მოთხოვნები ამ მეცნიერებებზე, არამც თუ ბავშვებისათვის, არამედ დიდებისათვისაც. მოკვლევს აქ რაი ხსენებებზე შესაბამი ადგილები ჩვენს გასამართლებლად და მოწინააღმდეგეთა გასაცრელებლად:

„Кукушка самка очень тщательно осматривает каждое гнездо, каждый кустъ до тѣхъ поръ, пока не найдетъ гнезда, которое покажется ей удобнымъ; тогда она сноситъ свое яйцо на землѣ, потомъ бережно беретъ его клювомъ и перекладываетъ въ выбранное ею гнездо (годъ въ деревнѣ, изданіе дѣтскаго сада, страница 607).

ქართულად: „დედალი გუგული ძლიერ ბეჯითად სინჯავს ყოველს ბუდესა, ყოველს ჩირკვსა იქამდის, ვიდრე არ აპოვნის მოსურსებულს ბუდესა; მაშინ იგი სდებს თავის კვერცხს დედა მიწაზედ, შემდეგ ფრთხილად იღებს ნიჰილურით და გადასწებს ამოწმებულს ბუდეში.“

გამოჩენილი ავტორიტეტი ბრემ ამ საკნის შესახებ ამბობს შემდეგსა:

„Отыскавши подходящее гнѣздо, если положеніе и постройка дозволяютъ, садится прямо на него; въ противномъ же случаѣ она кладетъ свое яйцо па землю, беретъ его въ клювъ и переноситъ въ гнѣздо (Брѣмъ, жизнь птицъ, стр. 55.)“

ქართულად: „გუგული რომ ავკნის მოხერხებულს ბუდეს, თუ მისი შენობა და მდებარეობა ნებს ამდეკს, დაჯდუბა ზედა. თუ არა და სდებს თავის კვარტსს მიწასზედ, იღებს ნისკარტით და გადააქვს ბუდეში.“

მოთხრობას „ხარა“, ჩვენი მკვიდრი იწუნებს, რად? განა მის აღწერაში რაიმე შეცდომა აღმოჩენია? სრულიადაც კერა, თუმცა ბევრს ცდილა. იგი შეუსაბამობას ჭხედავს თვით ფორმაში, რომელზედაც ჩამოსხმულია ეს მოთხრობა და ცდილობს დაამტკიცოს, რომ კაცს წარმოდგენა არა ჭქონდა არც ხენა-თესვაზედ და არც ურემზედ, როცა ხარა გააშინაურა. ესეც რომ ასე ყოფილიყო, მაინც მაშინაც კი დასახელებული გარემოება შეცდომად ვერ ჩათვლებოდა, რადგანაც მოთხრობას მიტეხული აქვს დრამატული ფორმა არა იმ განძრახვით, რომ კულტურის ისტორიული ფაზისები აუხსნას. ემაწვალსა (ამისთანა მიზანი ელემენტარული საბავშვო მოთხრობისათვის მტენარი სასულელო იქნებოდა), არამედ იმიტომ, რომ მომეტებული ინტერესი მისცეს ხარის აღწერას და მის მნიშვნელობასა. ჩვენს მოთხრობაში ხარის აშინაურებს არა კულური კაცი, არამედ ახლანდელი ადამიანი, რომელსაც სრული წარმოდგენა აქვს ამ სასარგებლო პირუტყვის დანიშნულებაზედ და გამოყენებაზედ. ამ გვარა ხერხა საბავშვო მოთხრობებში ხშირად

ინმარება და ჩვენც ამ შემთხვევაში იგი ჩავთვალეთ ძარჯვე ღონისძიებად. გამოხატულება „ველური კაცი“ ჰაზანებათაც არ მოიძებნება ჩვენს მოთხრობაში და თუ ეს სიტყვები შეილავდა დაგვაბრალა, იმიტომ, რომ ამ საკუთარი სიტყვის შემწეობით რაიმე ვილო გამოედევნებინა მოთხრობისათვისა. ესეც რომ ასე არა ყოფილიყო, თვითონ აზრი, ვითომც უწინდებურს კაცს ხარის დაშინაურებადის წარმოდგენა არ ექნებოდა ხენა-თესვა-ზედ და ურეპზედ სრულიად შემცდარი აზრია, რადგანაც მიწის შემუშავება ველურ მომთაბარე ხალხებმაც იცოდნენ, რადგან იმე თვის განმავლობაში ერთსა და იმავე ალავს რჩებოდნენ და სთესავდენ სხვა-და-სხვა მცენარესა, რომლის მოკრეფის შემდეგ სხვა ადგილას გადადიოდნენ. რაც შეეხება ურემსა, ასლაც ვი ბეკრჯან აკეთებენ უწინდებურად ჰატარა ხელით სატარებელს ურმებსა, როგორც ეს ჩვენ შენიშნევით ანტიკრიტიკაში. საზოგადოდ ხარი წმინდა სამეურნეო პირუტყვია. მომთაბარე ხალხებისათვის იგი ბეკრად ნაკლებად იყო გამოსაყენებელი, ვიდრე სხვა პირუტყვები. ჩვენ ესლაც ვხედავთ მაგალითებსა, რომ აჩაბები ცხორობენ აქლემებით, სხვა და სხვა მაწანწალა ხალხის ცხორებით, კალმუხელები ცხენით, სამოედები ირმებით: მაგრამ ვერც ერთს ხალხს ვერ დავასახელებთ, რომ ხარას მოშენებით ცხორობდეს. ისტორიაც ზშირად იხსენიებს ხსენებულ პირუტყვების ნახარისა, როგორც სხვა და სხვა მაწანწალა ხალხის სიმდიდრის გამომხატველს ქონებას (მოვიგონოთ, მაგალითად, აბრახამი); მაგრამ ამავე აზრით ხარის ნახარის ხსენებას ვი ვერ შეხვდები. ეს იმიტომ, რომ მეურნეობის გარეშე ხარი ნაკლებად არის გამოსაყენებელი. სამაგიეროდ მხენელ-მთესველობა ბეკრს ქვეყანაში თითქმის შეუძლებელი იქნებოდა უხაროდ. ამიტომაც კაცმა ხარი გააშინაუ-

რამაშინ, როდესაც მეურნეობას საჭიროება იგრძნო და ბინადრობას მოკვიდა. რაკდენად მაუცნილებელ საჭიროებად მიანხნათ ხარბი მეურნეობის მიმდევარს ხალხთა, სჩანს, იქილამ, რომ ეგვიპტელებს იგი კერძად ჭებადათ დასახული და ღმერთივით თაყვანსა სცემდენ. მზგავსი პატრივი ხარს არც ერთის მომთაბარე ხალხის თვალში არა ჭქონია, თუმიცა ცხვარს და აქლემს უბინადრო ხალხები ხშირად აღმერთებდნენ. ამ სახით ჩვენს მოთხრობას რომ ისტორიული ხასიათიც ჭქონოდა, მცოდნე და სკინიდაისიანი პირი მას ფორომის მხრით კილას არ გამობამდა.

მიილავი შეცდომას ხედავს შემდეგს ფარსაში: ძროხა სჭამს ბალახსა, ყვავილსა და ყველა ეს მის მუცელში იქცევა რძედ. რომ ძროხა სჭამს ბალახსა და ყვავილსა—ეს ყველამ ივის, რომ ამ საჭმლიდგან და ყველა სხვა საზროდოგან კეთდება რძე, ესეც უეჭველია; რომ რძე კეთდება მუცელში საზოგადოდ, ესეც აშკარაა. შეცდომა მამინ იქნებოდა, წიგნში რომ ნათქვამი ყოფილიყო—ძროხის კუჭში საჭმელი მთლად რძედ იქცევა ხოლმეო. თუ იმას იტყვის ვინმე, რომ კერძოდ უნდა დასახლებულიყო, რა ადგილს კეთდება სახელოდობ რძე, ჩვენ ვეტყვიით, რომ ეს ყოვლად შეუძლებელია საბავშო ელემენტარულს მოთხრობაში, რადგანაც ბავშვებმა სრულიად არ იციან შინაური აგებულება ძროხისა. თუ ნაკლებეკვანებათ სთვლიან იმას, აქ არ არის ნათქვამი ის, რომ ბალახი და ყვავალი მხოლოდ ერთი ნაწილით იქცევა რძეთო, ჩვენ კიდევ ვუზახუსებთ, რომ მოთხრობაში ვახუსი ეძლევა ამ კითხვას: რძე რისაგან კეთდება და არა იმას: რაკდენი ნაწილი საჭმლისა უნდება რძას კეთებას?

მაგრამ ყველაზედ მიუტყვებელი შეცდომა აღმოუჩინა ჩვენს მიილავს მოთხრობაში: «თხუნელა». მას უკანასკნელს უმეცრე-

ზად ჩაუთვლია ის გარემოება, რომ ჩვენს მოთხრობაში თხუ-  
ნელა ზევით მიწაზედ ამოდის და ამ დროს ებმება მასში;  
იგი ამბობს, რომ, როგორც თევზს არ შეუძლიან მშრალზედ  
ნადირობა, ისე თხუნელას ზევით მიწაზედ ამოსულან. ჩვენ  
ჩვენს ანტიკრიტიკაში სიცილით გუპასუხეთ; აქ მოგვევს სს-  
ბუთი ჩვენგნივ მისი მასხარად აგდებისა: აი რასა კვითხულობთ  
ამ საგნის შესახებ სსენებულს თხუწლებებში:

„Лѣтомъ по ночамъ или очень рано утромъ, кротъ вы-  
ходить на поверхность земли, отыскивать гнѣзда жаворо-  
нковъ и другихъ пернатыхъ, вьющихъ свои гнѣзда на землѣ,  
поѣдаетъ ихъ яйца и часто молодыхъ птичекъ. Послѣ такого  
завтрака, онъ идетъ на водопой и, утоливъ жажду, воз-  
вращается въ свою нору спать; (годъ въ деревнѣ стр. 501).

ჭართულად: «ზათხულობით, დამ-დამე, ან სისსამ დილა-  
ზედ თხუნელა ამოდის ზემოთ დედა-მიწაზედ და ეძებს ბუდეებს  
ტორღისას და სსვა ფრინველებისას, რომელნიც ბუდეს იკე-  
თებენ დაზდა მიწაზედ, სჭამს მათ კვერცხებსა და ხშირად  
ხარტუებსაც. ამ საუზმის შემდეგ იგი მიდის წყლის დასაღვვად  
და, წუგწვილის მოკვლისათხავე, ბრუნდება თავის სოროში »  
ბრემა ამავე აზრს ამტკიცებს შემდეგ სტრიქონებში:

«кротъ однако охотится не въ одной своей норѣ, но  
и на поверхности земли и иногда какъ, говорятъ, *самсе*  
*на воду* (Брэмъ. млекопитающія,“ стр. 283).

ჭართულად: «თხუნელა ნადირობს არა მარტო თავის  
სოროში, არამედ ზემოდ დედა-მიწაზედაც და ხანდისხან, რო-  
გორც ამბობენ, წყალშიც.»

ამ სახით, თვითოეული შეცდომა, დასასულებული ჩვენა  
წიგნის მკილველისაგან, არამც თუ ნამდვილი არ გამოდგა,  
აღმოჩნდა პირდაპირ წინააღმდეგო ჭეშმარიტებისა და დაამტკი-

და არა წიგნის შემადგენლის უძიებება, არამედ მასი....

აქ საჭიროდ ვრაცხთ გვიხსენით ერთი გარემოება. როდესაც უშინსკიმ გამოაცხადა თავისი სახელმძღვანელო «ДѢТСКІЙ МІРЪ», კრიტიკამ აღმოაჩინა შინაარსში ზოგიერთი ნამდვილი შეცდომანი და არა იმისთანა ტყუილი, რომელთა ნიმუშები გვახვენს კონის მკვლევარმა; მაგალითად: უშინსკი ამბობდა, რომ ცხენს კუდი მინიჭებული აქვს თითქო მხოლოდ იმისათვის, რომ ქარმა აფრიალოს და სილამაზე მისცეს ამ ცხოველსა. აგრეთვე ნათქვამი იქონდა, რომ ღმერთმა სიში ქვა ქვა-იენილასა და რკინის გზებისათვის შეუქმნა ვაცაო. კრიტიკოსებმა უხვენეს ეს შეცდომანი და სხვათა შორის უთხრეს, რომ კუდათ ცხენი ბუჩებს იტყობს და აგრეთვე იფარავს ზოგიერთა სასწრაფოებსა და ბილამაზისათვის კი არა, სარგებლობისათვის აქვს მინიჭებულიო. მიუხედავად ამ წერილმან შეცდომებისა, წიგნი აღიარებულ იქმნა კრიტიკოსებისაგან ფართად შესანიშნავ მოკლენად, ძლიერ სასარგებლო წიგნად და ბანძურს კონკურენტებშიაც კი არ აღმოჩენილა პირი, რომელსაც წიგნი უსირცხლოდ ჩაერიგოს უოვლად უკარგის ნაწარმოებად.

ამისთანავე უსარგებლო, წინ-დაუხედავი წერილმანობით იწუნებს კონის ენას მკვლევარი. იგი თავდაპირველად შეცდომად სთვლის ამისთანა სიტყვებსა, როგორც წრუწუნები, და ამბობს, რომ უნდა ყოფილიყო წრუწუნებით გტყობა მას არა სცოდნია ის კანონი ქართული ენისა, რომ თუ სიტყვა დაბოლოებულია სმოკან ასოთი ა, განსხვავდება მხოლოდ ამ დაბოლოებით სხვა სიტყვიდან, მრავლობითს რიცხვში იჩინეს სახელობითი ბრუნვის დაბოლოებას, რომ მისი ბრუნვა არ იჩინოს მეორე სიტყვის ბრუნვაში. მაგალითად: ცხვირა, კუდა; ბოლობეჭედა, წყალ-წყალა, თითა, ქალა, ციციანთელა,

მრავლობითს რიცხვში იქნება: ცხვირები, კუდაები, ბოლობუ-  
 ჭედაები, წყალ-წყალაები, თითაები, ქალაები, ციცინათელაები და ანა-  
 ისე, როგორც მკილეკელს უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგა-  
 ლითად, ქალა და ქალი ერთმანეთში აიჭვიან და უსულო თავის  
 ქალა სულიერ არსებად გადაქცევა. სხვა სიტყვებში კი უკვლავ  
 მოკვეცილი არის სასულობითი ბრუნვის დაბოლოება ორივე  
 რიცხვში, მხოლოდ ზოგიერთა სიტყვებში შეგვხვან, მაგა-  
 ლითად: ზეპელაები, თხუნელაები. მაგრამ აქაც უნდა ვსთქვათ,  
 რომ ზოგიერთები ამ სიტყვებში განზრახ სიტყვებენ სასუ-  
 ლობითი ბრუნვის დაბოლოებას, რომ გაადიდონ მანძილი ორ-  
 სამს ერთს ნაირს ასოს შორის და სიტყვას მისცენ კეთილ-  
 ხმოვანება. — ხის სულ ზემო ნაწილს ხალხი უძისის წვეროსა,  
 წვეროკინასა, ჩვენც ასე ვაჭვს ნახმარი. მკილავი ამას შეცდო-  
 მას ეძისის და ამტკიცებს, რომ ხის წვეროსაც ის სასული-  
 უნდა ერჭვას, რაც პირისახის თმისა ჭქვიანო — წვერი. აგრე-  
 თვე უსაფუძვლოა მკილავის შენიშვნა, ვითომც შეცდომით იყოს  
 ნახმარი თანდებული ამ გვარს გამოსატყულებაში: ბავშვებმა  
 ტყავიდან სათამაშოები გააკეთეს. თანდებული «დგან» ამისთა-  
 ნა შემთხვევაში მაშინ არის მეტი, როდესაც რომელიმე ერთა-  
 ნი მასალა მთლად გაქრდა და რაიმე ერთ ნივთად. მაგალი-  
 თად: ამ ხისას ბოდს გააკეთებ. თუ კი მხოლოდ ნაწილი მა-  
 სალისა ხმარდება რომელიმე ნივთის გაკეთებას, მაშინ უთუოდ  
 უნდა თანდებული დაემატოს; მაგალითად: ამ თიხის გროვიდ-  
 ვან გააკეთებ მე სურსა. ყოველ შემთხვევაში, თუ ამ ფორმის  
 ხმარებაში ერთგან-ორგან წვრილმანი შეცდომა მოგვივიდა, ჯერ  
 ეს შეცდომა თვითონ ბ. ნობათის რედაქტორმა უნდა აიცილოს  
 თავიდან და მერმე სხვას დააყუდროს. მის ყურწალში ყოველს  
 ბეგრდზედ თვალში გეხსიარება ეს მისგან შემცდარად აღიარებული

გამოხატულობა. ავიღოთ, მაგალითად, სამაგალითო გაკვეთი-  
ლები, რომელიც ენით ნობათის ბეჭის წერილებს სჯობიან და  
მესამე გაკვეთილში შესვდებით ამისთანა ფრასებსა: რისაგან  
აკეთებენ ქვაბსა, თუნგსა? ვინ სჭედს სპილენძისაგან ქვაბსა,  
თუნგსა? რისაგან კეთდება ნიტრა? რისაგან სთლიან გობსა,  
თასსა, ციცხვსა, კოვზსა? და სხვ. და სხვანი... მკილხველს  
შეცდომად მიაჩნია ისიც, რომ ჩვენ უელს ეუძახით და არა  
ვისურსა იმ ნაწილს ზღაძიანის სხეულისას, რომელიც თავს  
შეაერთებს ტანთანა. მაგრამ აქაც ჭეშმარიტება, ვგონებთ, ჩვენს  
მხარეს არის. საზოგადოდ ქართულს ენაზედ წვრილს ნაწილს,  
რომელიც არის შემაერთებული ორი დიდი ნაწილისა, ჭკვიან  
უელი. სურის უელი, გუტლის უელი, მიწის ყელი, გულის ყე-  
ლი, აქლემის ყელი, ზანამის უელი (панамский перешеек),  
სუეზის უელი (суэцкий перешеек) და სხვანი. ვაცის შესა-  
ხებ უელს ეძახიან იმ ასოს, რომელიც თავს ტანთან აერთებს,  
თუმცა «უელი» ამ ასოს წინა ნაწილსაცა ჭკვიან. ეს აშკარად  
სჩანს იქიდან, რომ ჰერანგის ზემო ნაწილს ჭკვიან საეელს  
და არა საკისრო, აგრეთვე იმ ნივთს, რომელიც ამ ნაწილს  
მთლად გარშემო ვახვეთ, ჭკვიან უელ-სახვევი და არა ვისურ-  
სახვევი. ვამბობთ: ბავშვი უელზედ მომეხვია, უელი მოუღერე-  
ბია, ამასა და ამას უარყარა ხელი აქვს, და სხვანი. ვისურს  
ვეძახით არა მთელს ხსენებულს ნაწილსა, არამედ უკანა, მაგარს,  
ნაწილს უელისასა. — ტერმინი «ცხენის ქუსლი» მკილაუთან ერ-  
თად ზოგიერთმა ვაყბატონებმა შეცდომად ჩასთვალეს. მაგრამ  
აქაც ტყუილად გაისარჯუნენ. ჭკვიან მაგარს ნაწილს ცხენის ფე-  
ხისას ჩემს სამშობლოში, ზემო ქართლში ქუსლს ეძახიან და  
ხშირად გაიგონებ: ცხენს ქუსლი გაუფუჭდა, ცხენმა გაქუსლა,  
ცხენას ქუსლები დაუტყდინე, ცხენმა მიწას ქუსლები ჭკრა, და

გაფრინდა და სხვანი. გვიტოსრეს, ქიზიყშიაღ ამაკე ტერმინს  
 სმარობენო. იმერეთში თურქე ეძახიან ფოლი, სანგილოში—  
 ჭეილი. გამოდის, რომ ცხენის ფეხის სულ ბოლო ნაწილს  
 ქართულს ენახედ საერთო სახელი არა რქმეკია. იმერული სა-  
 ხელი რომ მესმარა, ქართლ-კახეთი დამემდურებოდა, ინგილო-  
 ურისათვის მიმეტა უზირატასობა—სამივე საქართველო: აღმო-  
 საკლეთისა, დასაკლეთისა და სამსრეთისა გამაწერებოდა; ადუ-  
 ქით და ვიხმარეთ ის ტერმინი, რომელიც სამშობლოში გა-  
 გვიგონია. რაც შეეხება ტერმინს «ჩლიქი», ამ სახელს სმარო-  
 ბენ მხოლოდ ძროხის, სარის, კამეხის გაყოფილი ფეხის შე-  
 სახე; მაგრამ ცხენსედ ვი ამ სიტყვას არავისაგან არ გაიგო-  
 ნებთ, და ამიტომ მისი შეტანა კონაში უადგილოდ დავინა-  
 ხეთ.— გამოთქმა: «ერთს დაბურულს აფრიკის ტყეში». მკილავს  
 რუსიციზმად მიაჩნია. მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ. მართა-  
 ლია, ეს არა სხვა გვარი სიტყვის წუობითაც გამოისატება:  
 აფრიკის ერთს დაბურულს ტყეში, და ეს კონსტრუქციაც ხში-  
 რად შეგხვდება ჩვენს წიგნში; მაგრამ მოყვანილი სიტყვების  
 დალაგებაც განონიერა. რუსულს ენახედაც რა გვარი განონიერი  
 კონსტრუქცია არსებობს ამ შემთხვევაში: ВЪ ОДНОМЪ ДРЕМУ-  
 ЧЕМЪ АФРИКАНСКОМЪ ЛѢСУ და ВЪ ОДНОМЪ ДРЕМУЧЕМЪ  
 ЛѢСУ АФРИКИ. განვითარებითი სიტყვა «დაბურულს» ამ შემ-  
 თხვევაში არას დროს არ მიეწერება სიტყვას «აფრიკის», ამი-  
 ტომ რომ უგანასგნელი სიტყვა ნათესაობითს ბრუნვასედ სდგას,  
 პირველი მიცემულს ბრუნვასედ არის დაყენებული და კეთიანის  
 მიცემითს ბრუნვასედვე დაყენებულს სიტყვას «ტყეში». საზო-  
 გადოდ, ჩვენში ხშირად ეძახიან რუსიციზმებს იმისთანა გამო-  
 ხატულებას, რომელიც შეჭფერის ქართულს ენასა და ამასთან  
 ეთახნძება რუსული ენის განონებსაც. ხედვენ, რომ რუსულს

ფორმას შეესაბამება და არ უნდათ შეიზონ, რომ ამავე დროს ქართული ენის განონებიც ამავე გამოხატულობას მიათხლოვს. ანდა ხა: ფაფით შეშინებული დოს უბერავდა.ა, ხშირად ცხადდება ჩვენზედ ამისთანა შემთხვევაში. შეშინებულნი რუსიციზმებით, რომელნიც მართლა ამასინჟებენ ჩვენს ენას, ჩვენ მზად ვართ რუსუციზმებზედ მოკნათლად ის წმინდა ქართული გამოხატულებანიცა, რომელნიც რუსული ენის ბუნებასაც ეთანსმებიან... ჩვენი მკვიდრი დიდს შეცდომასა ხედავს შემდეგ ფრანსში: დორმა გოჭები შობა. მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ მხოლოდ ერთს ადგილს გაგვეკეთილშობილეთ დორმა და შეილება ეაშობინეთ, სხვა ადგილას იმავე კონაში იგი უბრალო წუწვი დორია და გოჭებსა ჰკრის, მეორე ესა, რომ რუსულს ენაზედაც ხშირად ხმარობენ: корова родила теленка, თუმცა ხალხი ამბობს: корова отелилась; რაც შეეხება ლექსიკონიდგან ნასესხს სიტყვებს „წიწობა“ და „ბაკანი“, რომელნიც ჩვენ არ ვიხმარეთ, მათ გაუკუებრობის გამო, ჩვენს მკვიდრულს ვეტყვით, რომ ამ სიტყვების არ ცოდნა ვი არ არის სათავილო ბავშვისათვის და ის ვი სწორედ სამარცხვინება, რომ პედაგოგიური უუნაღის რედაქტორმა არ იცოდეს თითების ქართული სახელები და ასე-ასოდ სთარგმნიდეს რუსულიდგან. სამაკალითო გაკვეთილებში სალოკო თითი მჩვენებულ თითად (указательный палець) არის ნახვენუი და არა თითი უსახელო თითად (безименный палець).

მაინც და მაინც ის წერილმანა შენიშნები, რომელნიც ანობათისა რედაქტორმა წარმოსთქვა შესახებ კონის ენის ნაკლულეკანებისა, მართალიც რომ გამომდგარიყვნენ, მაშინაც ვი არაკითარი უფლება და საფუძველი არა ჰქონდა დაედგინა დასვენა წიგნის უოკლად უპარგისობაზედ, ჯერ ამიტომ ამ გვარად

შეცდომანი ენის სიაშკარაკეს ან ამცირებენ და შინაარსის გაგებას იოტის ოდენადაც არ უშლიან, და მეტვე იმიტომ, რომ თვით საუკეთესო ქართული ენის მცოდნეთა ნაწარმოებშიც უოკლავის ამოაჩენთ ენის წვრილმან შეცდომათა.

ბ. ნობათის რედაქტორს მასშინ ექნებოდა საფუძველი ყოვლად უვარგის წიგნად ჩაეთვალა კონა, რომ იგი უფილილიყო დაწერილი იმისთანა ბავშური, გაუგებარ და უგანონო ტიტინით, რომორც შვილკელის ბიბლიოგრაფია, ან იმისთანა მახინჯი, უგანონო და სრულად გაუგებარი ენით, რომორის ნიმუშს წარმოადგენს ბ. ღულასძის უმაგალითო წერილი აღზრდაზედ.

კონის შვილკელის კრიტიკიუმი რომ სახელმძღვანელო აზრად აღვიაროთ, შიშველად ნობათის ყველა ნომრები მტკვარში გადასაყრელები აღმოჩნდება. დიად, ბ. ნობათის რედაქტორი თავის თავალში ტივის ხეს კერა ხედავს, და სხვისაში კომპაკვდაც ცოდვით სთვლის ორიოდე სამ ბეწვსა!

მაგრამ იგი ამას არ დასჯერდა, რომ კონას დასწამა ტუილი შეცდომანი, უსაფუძველოდ გაჭეიცხა იგი შინაარსის და ენის მხრივ და სრულად უსაფუძველო, მავნებელი დასკვნა დაადგინა მის ყოვლად უვარგისობაზედ. მან თავისი კილვა გაავსო ბევრი უზრდელი ბავშური კიცხვით, რომელსაც საგნად აქვს დამცირება არა მარტო წიგნისა, არამედ თვით მისი შემადგენელისა. აი ეს გამოხატულებანი: «უმზგავსი და სამარცხვინო გამოცემა», «მზე დაბნელებული კონა», «საზიზღარი კვხნა» უოკლად უაზრო აზრი», «განგაღა-განგაღა», «ერთს სოფელში მოახლე არ იყო და... «როგორ სამასხარო არ არის». «სამარცხვინო ენით ნათარგმნი», «თუ ავზინანი ბავშვივით არ გაგვიყინიანდებით»: «კონა წარმოადგენს ნამდვილს კონასა იმ

დაგლეჯილი და წამსდარი ავლანბრული ქართული ენისა, რომელიც დაიბადა ქართულად მოლაპარაკე სომეხ-თათარ-ოსთაგან, ამ სამარცხვინო ენის მეტი რომ არა ვიქონიოთ რა სახეში, ესეც საკმარისია ვსთქვათ: კონა, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, ყოვლად უგარვისი წიგნია.»

მარტო კონის კიცხვას არ დასჯერდა ბ. ლულაძე, — მან მოინდომა ინსინუაციის საშუალებით ჩავეყვანეთ მკითხველის თვალში იმ სიმდაბლემდის, რომელზედაც თვითონა სდგას, და გკათხრა, რა თქვენი საქმეა დამოუკიდებელი მწერლობა, თქვენც ჩვენსავით სხვებს უნდა ასწოვდნით თქვენი ნაწერებიო... ამანზედაც კიდევ შორს წავიდა და დამწამა ორი დანაშაულობა: «სიცრუე და განზრახ მობრუნება მასწავლებლებისა». ჩვენ კონის წინასიტყვაობაში ვამბობთ, რომ ნაწილი მოთხრობებისა ჩვენგანე არის შედგენილი მეთქი, — მკილველი კი ამტკიცებს, რომ არც ერთი მოთხრობა არ შეუდგენია გოგებაშვილისა, სულ ნათარგმნი და გადმოკეთებულიაო. რომ ეს სიცრუის დაწამებაა, ამას თვითონ ბ. ლულაძე აღვიარებს; მაგრამ ამავე დროს ენა უგარდება და უარს ამბობს ოც-და-ხუთის ჩვენის მოთხრობის დედნები დაგვიასხელეს. მეორე ადგილას მკილავი ამბობს, რომ გოგებაშვილმა თვითონ კარგად იცის, რომ მისი კონა კლასში საკითხავ წიგნად არ გამოდგებაო, მაგრამ უნდა მასწავლებლები შეცდომასში შეიყვანოსო. ამ სახით ჩვენი მოწინააღმდეგე დამნაშავეა არა მარტო საწყენი, დამამცირებელი სიტყვების ხმარებაში სრულიად უსამართლოდ და უსაფუძვლოდ, არამედ იმისთანა ტუფილ დაწამებაში, რომელიც შეურაცხყოფას შეადგენს. რადგანაც საწყენი, დამამცირებელი ტუფილების გაგრძელება შეადგენს ცილის-წამებასა, ამიტომ მკილველი უნდა ჩაიკრიცხოს ცილის-მწამებელად.

ერთი გარემოება მეტად ამძიმებს ბ. ლუღაძის მრავალ-  
მსროვანს დანაშაულობას, სასკლდობრ ისა, რომ ჩვენ შეძლე-  
ბისდა გვარად, ყოველს ღონის-ძიებას ვხმარობდით ნობათის  
წარმატებისა და გაკრცვლებისათვის საზოგადოებაში...

თუ სასეში ვიჭონებთ, რომ ჩვენი წიუნისა და ჩვენი  
კიცხვა დაბეჭდილი იყო საზავშეო ყურნალში, რომლის შედა-  
გოვიურს განყოფილებას ვითხულობენ არა მარტო მშობლები  
და მასწავლებლები, არამედ ბავშვებიც; თუ იმასაც არ დავი-  
ვიწყებთ, რომ ჩვენს მკითხველს საზოგადოებაში ბოლოდ  
ურვეკიან იმისთანა შიწნი, რომელთაც თავისთავად არ შეუძლიან  
რომელიმე კიცხვის უსაფუძვლობა გაიგონ და შესაბამი გრძნო-  
ბით აივსნენ მის დამწერის შესახებ, ცხადი შეიქნება, რომ შა-  
სუხი საჭირო იყო. ჩვენც მივეცით შასუხი და, აზრების გამ-  
ტყუენების გარდა, ბიბლიოგრაფიის დამწერს და რედაქტორს  
მიავწერეთ ეპიტეტები, რომელნიც მათ დაიმსახურეს: სიბავშვე,  
სიბავშვე და უეცრობა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ბევრით ნაკლე-  
ბად ვანმართ საწუენი, დამამცირებელი სიტყვები, ვიდრე ჩვენ-  
მა მოწინააღმდეგემ. განსხვავება აქ მხოლოდ ის არის, რომ  
მან გაგვიცხა და გვაგადრა ბევრი უზრდელი სიტყვა სრულად  
უსაბუთოდ და უსაფუძვლოდ, ჩვენ კი მას დავარქვით შესაბამი  
სასკლები სრული უფლებით და საფუძვლიანობით. საკმარისია  
ცოტადენი ყურადღებით გადავითხოთ კონის გარჩევა და ბ.  
ლუღაძის უცნაური წერილი ავზრდასუდ, რომ სთქვათ, გო-  
გებაშიელი სწორედ ემართლებოდაო. ამასთან არ უნდა დავი-  
ვიწყოთ, რომ პოლემიკაში ვეკლგან, როგორც ჩვენში და რუ-  
სეთში, ისე ევროპაში ბევრით უარესი ეპიტეტები ძალაან სში-  
რად იხმარებან მოწინააღმდეგეთა შესახებ არამც თუ მარტო  
მაშინ, როდესაც მეზოლემიკე შიწნი გამოწვეულნა არიან კიც-

ხვით და ცილის-წამებით, აჩამედ მასინაც, როდესაც მათ არც  
 კი შეჭსებიან. დღე არ გავა, რომ პეტერბურგის ლიტერატურ-  
 რებმა არ დააჩქან უსირცხლო და უსინდისო ადამიანის სახე-  
 ლი არა მარტო იმისთანა მკვლახნელებს, როგორც არის  
 მინუტის რედაქტორი, აჩამედ უფრო გამოხენილ მწერალ-  
 საც. თვით მშვიდნი და დარბასიული პედაგოგები როზ-  
 გსა და შოლტს ხმარობდენ იმისთანა ზიარების წინააღმდეგ,  
 რომელნიც თავის სიბრყეით და უმეტრებით აბეჭებდენ სა-  
 ზოგადოებასა. მოგვეყვას ერთი საუფრადღებო მაგალითი. ამ  
 რცხი წლის წინეთ პეტერბურგში დიდის ბაქი ხუჭობით გამო-  
 ვიდნენ პედაგოგიურს ასპირანტს რადონეჟსკი და ფილონოვი.  
 მათ გამოსცეს საკითხავი წიგნი, სახეს მტენარი უმეტრებითა  
 და ამასთან განუზომელი პრეტენზიებითა. მშვიდმა უშინსკიმ  
 გააჩნია მათი ნაწარმოები, მათი შედგენილი წიგნი და წგებ-  
 ლებსაც არ დააჯერა, შოლტი ახმარა მათ წინააღმდეგ. მან,  
 სხვათა შორის, უთხრა, რომ თქვენ არამც თუ წიგნის შედ-  
 გენის უფლება არა გაქოლო, აჩამედ ზიარულ-დაწყების სკო-  
 ლაშიაც არ შეიშვებით, იმდენად უმეტრანა ბძანდებითო. აი  
 უშინსკის სიტყვები:

„Что это такое, наконец, гг. Филоновъ и Радонежскій? Вѣдь это такое глубокое невѣжество не въ естественныхъ наукахъ (куда уже здѣсь до науки), а въ общихъ зна-  
 ченіяхъ, которыми обладаетъ всякій крестьянинъ на западѣ и которые даже въ Турціи сдѣлались обыкновенными, такое невѣжество, каторое не даетъ вамъ права не только сос-  
 тавлять книги для чтенія, но даже просто учить грамотѣ въ какой нибудь школѣ“ (собраніе педагогич. Соч. 583 ст.).

უშინსკის წინააღმდეგ რადონეჟსკის და ფილონოვის ერთი  
 სიტყვაც არ უთქვამთ; იგი არა უყოფილა გამოწვეული ბრყეუ-

ლი გიცხვით. მიუხედავად ამისა, მისი სასტიკი მოქცევა ხსენებულის პირების წინააღმდეგ არამც თუ არავის უმართებულად არ ჩაუთვლია, ყველასაგან მოწონებული იქმნა. მით უმეტეს შეუძლებელია ჩვენგან ზოგიერთა სასტიკი სიტყვების ხმაობა ჩაითვალოს უმართებულად, უკადრისად, რადგანაც გამოწვეული გიუხვით მოწინააღმდეგის უსამართლო გიცხვით, ცილის-წამებით, უზრდელად მოპყრობით. უმართებულობა, უკადრისობა, ზრდილობიან კაცს ბრევი დაარქვა, ჭკვიანს და განკითარებულს—უმეტარი, დაბნასულს—ბაკში, დამოუკიდებელი აზრის და მოქმედების პატრონს — ლაქია, მაგრამ თუ უზრდელი უზრდელად გიცხვით, უმეტარი უმეტრებს გწამებთ, ბაკში სიბაკშიეს, თქვენ სრული უფლება გაქვთ ეს ეპიტეტები უკანვე დაუბრუნოთ, თუნდა სარგებლობაც.

ერთი სიტყვით რომ გამოიწეროს შინაარსი ბასისა, გამოკა: ჩვენს წიგნზედ და ჩვენზედ მოწინააღმდეგეთ გააგრძელეს დამაინტრიგებელი სიტყუე, ცილის-წამება; ჩვენ გადაუხსადეთ იმითი, რომ მათზედა ვსთქვით მხოლოდ ჭეშმარიტება, მართალია, საწუენი, მაგრამ უჭკველი ჭეშმარიტება. ჩვენ მაშინაც ვი მართალნი ვაჩვენებოდი ჩვენი მოწინააღმდეგის წინაშე, ცილის-წამება რომ ცილის-წამებითვე გადაგვეხადა, თუნდა ორ-გეცი ცილის-წამებით. კისაც გადაუგოთხნია ის სტატები სამართლის წესდებულებისა (судебные уставы), რომელნიც შეეხებინა ურთი-ერთს წყენასა, ყველა გონიერი და მიუდგომელი პირი დაგვეთანხმება, რომ ამ მხრითაც მთლად მტუენია ბ. ლუაძე. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება: როდესაც კაცი პოლიემიგურს წერილს სწერს, მას სახეში აქვს არა მარტო პუბლიკა, არამედ მოწინააღმდეგეს თვისება, ხასიათი, და ცდილობს ისეთი ღონისძიება, კილო იხმაროს, რომ დაუგარგოს

მას წადილი უზრდელი კიცხვისა და პრინციპიალურს კრიტიკას დაახეიოს. ხოლო საზოგადო ასწარესზედ ხშირად გამოდიან ხინი, რომელთაც თქვენ რბილრ, თავაზიანი მოპურობით არამც თუ ვერ გადაახვეთ სიბრყევისა და უზრდელობას, კიდევაც წასაქმებთ....

ბ. ღულაძე ძრეერ გაუცხარება ჩემს დაპირებას, რომ შემდეგში იქნება საჭიროდ დაკინახოთ თქვენი უვარგისობის დამტკიცება, როგორც რედაქტორისა და მასწავლებლისაო. ეს მოსკლას იმიტომ, რომ მას დაუიწეება, რაც ჩვენზედ სთქვა. მან გაგვიცხა ჩვენ არა მარტო როგორც შემადგენელი კონისა, არამედ საზოგადოდ, როგორც მწერალი, და გვითხრა, რა თქვენი საქმეა დამოუკიდებელი წერაო. განსხვავება ჩვენს შორის აქ მხოლოდ ის არის, რომ რაც ჩვენზედ უკვე სთქვა უსახუთოდ აწმდგომში, იმისივე დამტკიცება მის შესახებ ჩვენ აღუთქვით მოძაკალში,— მან სთქვა ის ჩვენზედ, რაც, ხსკებთან ერთად, მიანია უსაფუძვლოდ და ცილის-წამებად, ჩვენ კი აღუთქვით იმისი გამოაშკარავება, რასაც ჩვენი მოწინააღმდეგის შესახებ სიმართლედ, ჭეშმარიტებად სთვლიან ჩვენთან ერთად უველანი, ვინც მისი ცოტადნად მანც საქმის გარემოება იცის. ნუ დაუიწეებთ იმისაც, რომ უშინსკიმ უარ-ჭყო რადოქენსკი და თილანოვი, საშუალო სკოლის მასწავლებლნი, არა როგორც შემადგენელი უხეირო წიგნისა, არამედ როგორც მასწავლებლნი და უთხრა, რომ თქვენ ელემენტარულს სკოლაშიც შესასკვლელი არა ხაროთ. — ცილის-წამებას აწმდგომში ჩვენ დაკუბირდაპირეთ მართლის თქმა მოწინააღმდეგებზედ მოძაკალში; ნუ თუ აქაც აგრეთვე სიმართლე სრულად ჩვენს მხარეს არ არის და დანაშაულობა მთლად კისერზედ არ უნდა დაწვეს ბ. ღულაძეს?

აქ საჭიროდ ვჩანსთ მოვისსენოთ ერთი გარემოება. ოცნა წელიწადია, რაც ჩვენ, შეძლებისდაგვარად, მონაწილეობას ვიღებთ პედაგოგიაში და ლიტერატურაში. ამ სანგრძლივის დროს განმავლობაში მოწინააღმდეგენი ვერ დაგვისასულებენ ვერც ერთს სასტიკს წერილს, ჩვენგან დაბეჭდილს, თუ გამოწვეული არა ვყოფილვართ ბრიყულია, უსაფუძვლო და უზრდელო კიცხვით. თუ ცოტაოდნადაც მანც პრინციპიალური წერილი დაბეჭდილა ჩვენს გამოცემებზედ, თუნდა ეს წერილი უსაფუძვლოც ყოფილიყოს, ჩვენ ან პასუხი სრულიად არ გაგვიცრია, და ან თუ გვიპასუხებია, თავაზიანად და ობიექტიურად. ივანე მესხიმ დაბეჭდა «დროებაში» კრიტიკა დედა-ენის შესახებ და ჩვენ კრინტიც არ დაგვიძინავს, — «მნათობში» დაბეჭდა კრტიკი განხილვა ჩვენი ანბანისა და ჩვენ სიტყვაც არ ამოგვიღია; აგრეთვე უპასუხოდ დასტოვეთ კრიტიკა: ბ. კურდღელაშვილისა კონის შესახებ, უცნობი ავტორისა «დედა-ენისა» და «ბუნების კარის», შესახებ, მალაჩოელი გლეხისა და კიდევ სხვებისა. წარსულ შემოდგომაზედ ობიექტიურად დაწერილს განჩევასზედ «დედა-ენისა» ჩვენ ვუპასუხეთ ობიექტიურივე და თავაზიანი წერილითა. ეს ფაქტები აშკარად ამტკიცებენ იმ პირთა ჭოროვანობას, რომელნიც ჭყვირიან, რომ გოგებაშვილი არავის ხმას არ აღებინებს თავის წიგნებზედაც.

ბ. დუღაძე ბევრ გვარად არის დამნაშავე ამ საქმეში. დამნაშავე ჯერ იმითი, რომ საბავშვო ყურნალი გახდა პიროვანი ანგარიშის და შერის-ძიების ორგანოდ, დაბეჭდა მასში ბოროტის განზრახვით ყოველად უსაფუძვლო კიცხვას წიგნისა, რომელიც მეტ-ნაკლებით, სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს — მეტადრე ჩვენი ღარბი ლიტერატურისათვის, — დამნაშავე იმაში, რომ მარტო წიგნის კიცხვას არ დასჯერდა და ბევრი

უზრდელი და საწყენი სიტყვები იხმარა თვითონ შექადგენელის წინააღმდეგ და გაჭკიცხა იგი არა მარტო როგორც ავტორი «კონისა», არამედ, როგორც მწერალი საზოგადოდ, — დამნაშავეა იმაში, რომ ყოვლად-უსარგებლოდ და კგონებ განკებ ჩასთვალა თავი თავის შეურაცხყოფილად და ტყუილ-უბრალოდ გამოიწვია სამედიცინო სამართალი, — დამნაშავეა იმაში, რომ მედიცინურად ამოიჩინა ქუთაისში მკვლევრები პირი და არა თბილისელი ვინმე და ამითი სამი დღის საქმე სამი თვის ტვირთად გახდა, — დამნაშავეა იმაში, რომ ბოლოს ჭინჭყლობა დააწყო, უარი სთქვა იმ პირობებზედ, რომელთ ძალით მან გამოიწვია სამედიცინო სამართალი, საქმე დაუსრულებელი გახდა, არა ერთი პირი მოატყდა კერძოს და საზოგადო საქმეებსა და ამ სახით მან ჩაიდინა ის საქციელი, რომელსაც ძალიან ცუდი სახელი ჰქვია. »

ახლა საზოგადოებამ გასინჯოს, ჩვენ დავასხით თავზედ ლაფი ბ. ღულამის, როგორც იგი გვაბრალებს, თუ მან საკუთარი ხელით გადასხა თავზედ ლაფი და დაასხა თავის თანამოზიარებელს?...

### იაკობ ბოგებაშვილი.

P. S. ჩვენ საჭიროდ დაკინახეთ გვესარგებლა მედიცინურთა ნება-დართვით და დაგვებუჭდა ეს დამატებითი მოხსენება, რომ მეითხუელს საზოგადოებას საქმის ყოველივე საბუთი ხელში ჰქონოდა და თვითონვე გაესინჯა: რამდენად სამართლიანად ამტყუნებს მედიცინურთა სამართალი ჩვენს მოწინააღმდეგეს, როგორც პრინციპიალური, ისე პიროვნული მხრით და რამდენად იდეალურს, ურომელო მასტაბს, ალბას ხმაწობს, რო-

დესაც არ გვაძარტლებს ჰუბლიკის წინაშე იმაში, რომ იბუ-  
ლებულნი ვიყავით გვეხმარა სიტყვები: ბავშვი, უმეტესად იმისთან-  
ა მოწინააღმდეგის შესახებ, რომელმაც განძრავს დასწერა და  
დაბეჭდა უსაფუძვლო, უსაძარტლო, სიცრუით და ცილის-წამე-  
ბით სავსე წერილი?

ი. ზოგებაშვილი.

## „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(годъ пятый)

Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить въ 1885 г. по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по прежней программѣ,

при содѣйствіи многихъ прежнихъ и нѣкоторыхъ новыхъ сотрудниковъ, въ томъ числѣ: К. Д. Анциферова, А. Я. Ашеберга, С. М. Арцруни, Ф. К. Бакало, Д. З. Бакрадзе, О. А. Быкова, Г. О. Івиніева, А. А. Гребенщикова, Я. И. Гурлянда, К. В. Долгова, И. Я. Долголенко, Г. А. Джаншіева, Д. И. Киціани, Д. В. Квиркелія, П. М. Лебединскаго, А. Е. Носа, П. А. Опочинина, Я. И. Рапета, М. А. Селитренникова, Н. П. Смиттена, В. Д. Спасовича, А. Т. Тимановскаго, Я. Г. Теръ-Іоаннисяна, В. А. Хлѣбникова, Н. И. Чижевскаго и др.

Независимо статей общаго юридическаго характера по вопросамъ гражданскаго и уголовнаго права и судопроизводства, межевымъ, нотаріальнымъ, судебнo-военнымъ и пр., а также о внутренней жизни Кавказскихъ судовъ и о вопросахъ дня,—въ 1885 г. будутъ помѣщены: грузинскіе законы царя Вахтанга, съ необходимыми предисловіемъ и примѣчаніями, и продолжены изслѣдованія законовъ: армянскихъ—по Мхитару Гошу, еврейскихъ—по Маймониду, мусульманскихъ, собственно Кавказскихъ народностей; ихъ адаты и пр.—Кромѣ того, Ст. І. Гулишамбаровъ, Н. А. Шавровъ и др. обѣщали статьи по вопросамъ Финансовымъ и экономическимъ; П. И. Коваленскій, З. А. Блюмъ, Г. И. Еджубовъ, А. А. Павловскій и др.—по судебнo-медицинскимъ.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа: Тифлисъ, Сололакская ул., д. вн. меликова и въ Центральной Книжной торговлѣ.

Подписная цѣна на журналъ съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 20 к., на мѣс.—1 р. 25 к.

Расзрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ и полугодовыхъ подписчиковъ.

Желающіе приобрести журналъ за прежніе годы уплачиваютъ: за 1881 г.—8 р. 20 к. и за всѣ послѣдующіе по 10 руб.

Иногородные подписчики «Юрид. Обзор.» имѣютъ право на полученіе, чрезъ редакцію, свѣдѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тиф. судеб. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмездно, письменныя и телеграфныя—по соглашенію съ редакціею журнала.

Редакторъ-издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.

ნ 383  
1885

### ბანახალბა.

ამა 1885 წელს ჟურნალს «ივერიაზე» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მახათია:

სელის-მოწერა მიიღება, როგორც «ივერიისა» აგრეთვე «დროების» რედაქციებში. პირველი იმყოფება მიხეილავის ქუჩაზედ, გ. ქართველიშვილის სახლებში, (მისაკალი ეზოდამ), სოლო მუარე სასახლის ქუჩაზედ, სახლი დ. სარაჯიშვილისა.

მკუთაისში, შილაძის ძალახაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათამესთან.

თელავში ვანო როსტომაშვილთან.

ქალაქს გარეშე სელის-მომწერთ წერილი და ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисѣ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ» иль «ДРОЭБА»*

მსურველთ შუქდიან ერთის წერილით დაიხაროს გაზეთი «დროება» და ჟურნალი «ივერია» ადრესით.

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, კთხოვით, მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორი ილ. ჭავჭავაძე.